სავსებით ბუნებრივია, რომ საზოგადოების მხრიდან მიგრაციული მოვლენებისადმი ყურადღება გაიზარდა. იგი გამოვლინდა მრავალი ფორმით, მათ შორის, ეფექტიანი სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკის შექმნის მცდელობითაც¹, პოზიტიური მომენტების მიუხედავად, შედეგი, ჯერჯერობით, მცირეა, ხოლო პერსპექტივის რეალური სურათი შემამოთხლებელი. უდავოა ის, რომ მიგრაცია უფრო ღრმა შესწავლას საჭიროებს. დღემდე არსებული კვლევები კი თავისი შედეგით ოდნავადაც ვერ პასუხობს აუცილებელ მოთხოვნებს. პუბლიკაციათა მომრავლების მიუხედავად, არ გვაქვს მიგრაციის თემაზე ფუნდამენტური ხასიათის

¹ ანთაძე ც. შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში. მიგრაცია 7. თბილისი, “უნივერსალი”, 2016. გვ.154-176.

გამოკვლევები. უცხოური დაკვეთებით შესრულებული მრავალი შრომა კი, უმთავრესად, ფრაგმენტული ხასიათისაა, ზოგჯერ უცხოელი და ქართველი დილეტანტების დაწერილია და ვერ პასუხობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მობილობის რეგულირების კონკრეტულ ამოცანებს.

ერთ-ერთი მთავარი ნაკლი, რაც მიგრაციის თაობაზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში იგრძნობა, არის *მიგრაციის ნაკლოვანი სტატისტიკა*, რომელიც ხშირად აბსურდულ ოფიციალურ მონაცემებსაც აფიქსირებს. მაგალითად, სრულიად მცდარია, როცა მიგრაციის ინდიკატორები პოსტსაბჭოთა წლებში მოსახლეობის დაბრუნების ტენდენციას გამოხატავს. მოსახლეობის აღწერის შედეგმა რადიკალურად შებრუნებული სურათი მოგვცა¹.

ვფიქრობთ, ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მიგრაციის აღრიცხვის მოწესრიგება გადაუდებელი ამოცანაა. ფაქტია, რომ, საერთოდ, პოსტსაბჭოთა პერიოდის სტატისტიკის რეფორმაში დადებითთან ერთად ბევრი უარყოფითი მხარეც გამოვლინდა, უამრავი დასავლური კალკა ჩვენი ქვეყნის პრობლემათა მოსაგვარებლად საკმარისი არ აღმოჩნდა, უმრავლესი პატარა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველო მრავალრეგიონიანი ქვეყანაა. ამის გამო დემოგრაფიული პროცესების აღრიცხვა-ანალიზი და ინფორმაციული მასალის ინტერპრეტაცია არა მხოლოდ მხარეების, არამედ ცალკეული მუნიციპალიტეტის მიხედვითაც უნდა ხდებოდეს. სტატისტიკის სისტემაში პერსონალის შემცირება თვითმიზანი არ უნდა გამხდარიყო. ფაქტია, რომ ჭირს მუნიციპალური მართვა ადგილობრივი სტატაღრიცხვის გარეშე. მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ თანამედროვე სტატისტიკის პროგრამები საქართველოში საზღვარგარეთის მოთხოვნებს უფრო აკმაყოფილებენ, ვიდრე საქართველოს საკუთარ ინტერესებს. ვფიქ-

¹ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. www.geostat.ge

რობთ, ზოგადად სტატისტიკისადმი და, მათ შორის, მიგრაციის სტატისტიკისადმი დამოკიდებულება შესაცვლელია, კარგად უნდა გაცნობიერდეს მისი მნიშვნელობა როგორც ხელისუფლების, ისე მთელი საზოგადოების მხრიდან. სტატადრიცხვას უნდა დაუბრუნდეს შელახული პრესტიჟულობა და მნიშვნელობა. სხვაგვარად, ქვეყნის ეფექტიანი მართვა გაძნელებდა.

შექმნილ მძიმე ვითარებაში ბუნებრივად ისმის კითხვა: საით უნდა მიიმართოს მკვლევართა და ხელისუფალთა ძალისხმევა, რათა პოზიტიური ზემოქმედება მოხდეს მიგრაციაზე? რა არის ამჟამინდელ მიგრაციულ პროცესებში კონკრეტულად გასააზრებელი, გამოსაკვლევი? რა პრობლემები შეიძლება გამოიყოს პირველ რიგში? რა არის მიგრაციის კვლევის სტრატეგიაში მთავარი?

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, ამჟამად ყველაზე **მნიშვნელოვანი მიგრაციული და დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხია**. იგი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი მხარეა და გამოიხატება მუდმივი და სახეზე მყოფი მოსახლეობის კატასტროფული შემცირების შეწყობასა და შეჩერებაში, მათ შორის, ავტოქთონური მოსახლეობის დემოგრაფიული დეპრესიიდან გამოყვანაში. ფაქტია, რომ ხდება **მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმის მყარად დამკვიდრება და მოსახლეობის ინტენსიური მიგრაციული კლება**. იგი, ძირითადად, განსაზღვრა პოსტსაბჭოთა პერიოდის ეკონომიკურ-პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა. 1989 წლის მოსახლეობის აღწერით საქართველოს მოსახლეობა 5444 ათასი კაცი იყო, 2002 წელს 4356 ათასი (პლიუს ანექსირებულ აფხაზეთში დაახლოებით 200 ათასი), 2014 წლის აღწერით 3729 ათასი (ანექსირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 250 ათასი კაცი)¹. 1989-2014

¹ საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. ტ.1, თბილისი, 2003. გვ.54. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. www.geostat.ge

წწ საქართველოს დააკლდა 1450 ათასი კაცი (26,9%). საფრთხე შეექმნა ქართველთა ეროვნულ იდენტობას.

ეკონომიკური გამოცოცხლების მიუხედავად, ამჟამად საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის სალდო მაინც მკვეთრად გამოხატული უარყოფითი ციფრია და საგანგაშო ვითარებას გამოხატავს. სამწუხაროდ, ადეკვატური დემოგრაფიული და მიგრაციული პოლიტიკა ვერ ტარდება, რაც საგანგებო ვითარებას ქმნის.

ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მიგრაციული პოლიტიკისა საქართველოში უნდა გახდეს **შრომითი ემიგრაციის მართვის სრულყოფა** და ე.წ. **ცირკულარული მიგრაციის ფორმირება**. შესაბამისად, მისი რეგულირების მექანიზმების მეცნიერულ საფუძველზე განსაზღვრა. ამას გვეკარნახობს შრომითი ემიგრაციის მასშტაბების ზრდა, ერის არსებობის დემოგრაფიული საფუძვლების შერყევა. როგორც აღვნიშნეთ, პუბლიკაციათა სიმრავლის მიუხედავად, ძლიერ ბევრია შრომითი ემიგრაციის ე.წ. „პარალელური კვლევები“, ისინი ხშირად ერთმანეთს იმეორებენ. ვერ გავუქცევით იმის აღიარებას, რომ ფუნდამენტური სახის კომპლექსური ნაშრომი საერთოდ საქართველოს მოსახლეობის მიგრაციაზე და, მათ შორის, შრომითი ემიგრაციის თაობაზე არ გვაქვს. ვფიქრობთ, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ გამოკვლევები არა იმდენად საქართველოს სასიცოცხლო ამო-

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასებისას გამოვიყენეთ სეპარატისტული ხელისუფლების მიერ 2003 და 2011 წლებში ჩატარებული აღწერის მასალები (Население Абхазии. <http://www.ethnokavkaz.narod.ru/rnabkhazia.htm>). ასევე ცნობილ ექსპერტთა კრიტიკული შეფასებანი: ა.თოთაძე. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა. თბილისი, 2009. Теймураз Блюмгардт. Население Абхазии.

<http://abkhazeti.info/news/1305685446.php>; Андрей Илларионов. Оценка численности населения Южной Осетии.

<http://aillarionov.liverjournal.com/50676.html>

ცანების, არამედ უცხოეთის ამა თუ იმ სტრუქტურების კონკრეტულ სურვილსა და მიზანს ემსახურება და ფრაგმენტულია. მთლიანად ამ გამოკვლევებზე დახარჯული ჯამური სასრები საკმაოდ დიდი კია, მაგრამ დაქსაქსული კვლევის შედეგია მცირე. სავარაუდოდ, არასრულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემები შრომით ემიგრაციაზე, თუმცა ემიგრაციის პროცესის სტრუქტურული დახასიათებისათვის მაინც კარგი მასალაა.

მაინც არის მიგრაციის რეგულირების ცალკეული მცდელობანი სამუშაო ძალის ორგანიზებული გაყვანის ან ევროკავშირთან მიმოსვლის გამარტივების, არალეგალურობის შემცირების მიმართულებით¹, მაგრამ რამდენად ეფექტიანი იქნება იგი და როგორ თავსდება ქართული სახელმწიფოებრიობის დემოგრაფიული საფუძვლების გამყარებასთან და დემოგრაფიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, ღრმა შესწავლას და კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს.

ცხადია, უდიდესი როლი მიგრაციული პროცესების ნორმალიზებაში, მაღალი ინტენსივობის შემცირებაში *საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირების რადიკალურ გაუმჯობესებას აქვს*. იგი დიდი წინააღმდეგობებით ვითარდება, ვერ ხერხდება სამუშაო ძალის მიწოდება-მოთხოვნის რაციონალური თანაფარდობის ფორმირება, ეფექტიანი დასაქმების მიღწევა. ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებულ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, უარყოფით ზეგავლენას ახდენს ზოგი სუბიექტური გარემოებაც, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის გაუმართავი მუშაობა და რიგი სხვა ინსტიტუციური ფაქტორიც. გასაანალიზებელია, როგორც ახალი სამუშაო ადგილების დინამიკა, ისე მისი სტრუქტურ-

¹ ანთაძე ც. შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში. მიგრაცია 7. თბილისი, “უნივერსალი”, 2016. გვ.154-176; Chelidze N. Policy on Migration and Diasporas in Georgia. CARIM-East. Florence, 2012.

რა, რეგიონულ-დარგობრივი დაბალანსებულობა, სამუშაო ძალაზე ფასის ცვლილება და სამუშაო ძალის საერთაშორისო ფასთან მიახლოების პერსპექტივა. მართალია, გვაქვს გამოკვლევები¹, რომლებიც საქართველოს შრომის ბაზრის განვითარებას ეხება, მაგრამ იგი მცირერიცხოვანია და მიგრაციის ასპექტში არასაკმარისია. საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციული პროცესების კომპლექსური კვლევა რადიკალურ გაღრმავებას მოითხოვს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ საქართველოში ახალ სამუშაო ადგილთა შექმნა კი ხდება, მაგრამ იგივე ახალი ტექნოლოგიები იმავედროულად ტექნოლოგიურ უმუშევრობას ქმნის და, პარალელურად, სამუშაო ძალის გამოთავისუფლებასაც იწვევს. ყოველივე ამას საკმაო ღრმა შესწავლა სჭირდება. მეორე მხრივ, ვფიქრობთ, გამოსაკვლევია ისიც, რამდენად სწორად ხდება შრომის ბაზრის რეგულირება, რამდენად ეფექტიანია შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა. ხომ არ იქნება უფრო ხელსაყრელი შრომისა და სოციალური დაცვის ცალკე სამთავრობო სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება და ისედაც უზარმაზარი პრობლემების მქონე ჯანდაცვის სტრუქტურისგან ცალკე გამოყოფაც?² საქართველოში იმდენი სამინისტრო უნდა იყოს, რამდენიც საჭიროა. ეს პრობლემაც შესასწავლია. რაციონალური ინსტიტუციური მოწყობა განუწყვეტელი პროცესია და მართვის აპარატის შეკვეცა თვითმიზანი არ უნდა გახდეს.

¹ იხ. მაგალითად, Tsartsidze M. Formation and Functioning of Georgian Labour Market. Tbilisi, "Universali", 2010. თორია მ. შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი, უნივერსალი, 2006. შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თბილისი, უნივერსალი, 2012.

² ტულუში მ. დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო რეგულირების უზრუნველყოფისათვის. ეკონომიკა და ბიზნესი, N2, 2013, მარტი - აპრილი. გვ.40-45.

ამრიგად, შრომის ბაზრის რეგულირების საკითხიც ღრმად შესასწავლია. იგი მიგრაციის მართვის პრობლემასთან პირდაპირაა დაკავშირებული. ცხადია, კონკრეტული წინადადებები მხოლოდ სპეციალური გამოკვლევებით იქნება დასაბუთებული.

დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის პროგნოზისათვის განსახლების ტრანსფორმაციის კანონზომიერებათა და ახალ ტენდენციათა გამოვლენას, *განსახლების სისტემის პროგნოზირებას*, საქართველოს რეგიონულ განვითარებაში მოსალოდნელი ცვლილებების დადგენას. ბუნებრივია, მსხვილი პროექტების განხორციელება მეტნაკლებად ცვლის სამუშაო ადგილთა რეგიონულ განაწილებას, რაშიც ეკონომიკასთან ერთად პოლიტიკური ვითარება არანაკლებ ზეგავლენას ახდენს.

დღეს უკვე გაცხოველებული მსჯელობაა საქართველოს შავიზღვისპირეთის განვითარების პერსპექტივაზე, მისი ეკონომიკის (და არა მარტო ეკონომიკის) შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან ინტეგრაციაზე, ახალი პორტების მშენებლობაზე, ერთიანი საერთაშორისო ტურისტული რეგიონის ფორმირებაზე. მართალია, მთელმა რიგმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, აფხაზეთისა და ყირიმის ანექსიამ გარკვეული დროით შეაფერხა ეს პროცესი, მაგრამ განვითარების ლოგიკა გვკარნახობს, რომ რეგიონის ინტეგრაცია მაინც მოხდება. ეს გამოიწვევს შავიზღვისპირა ქვეყნების მთელი სანაპირო ზოლის ეკონომიკურ აქტივიზაციას და, შესაბამისად, ზღვისპირა ზოლში მოსახლეობის კონცენტრაციას, სადაც საქართველოს შავიზღვისპირეთიც (ვგულისხმობ აფხაზეთის ზღვისპირა ზოლსაც) ჩართული იქნება. ეს მეტნაკლები ხანგრძლივობის პროცესია და შექმნილ კონფლიქტურ ვითარებასთან ერთად მისი განმუხტვის შემდგომი ვითარებაც უნდა გავითვალისწინოთ. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ანაკლიის ღრმა პორტის და ქალაქის მშენებლობის დაწყება, რომელიც თავის დროზე

ნაჩქარევად გაანგარიშებული აშკარად მცდარი პარამეტრებით გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის; თუმცა იდეა სწორი იყო.

პრეისტორია კი ასეთია: ზუგდიდის რეგიონისა და მისი ეკონომიკური გავლენის რადიუსის დაჩქარებული ზრდის პრობლემა, როგორც ერთიანი საქართველოს საქალაქო კარკასის უმნიშვნელოვანესი საყრდენი პუნქტისა, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იდგა. ზუგდიდის ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანა, საჭირო ინვესტიციებისა და საკმარისი დემოგრაფიული რესურსების არსებობის პერიოდში იმ დროს რეალურად განხორციელებადი იყო¹. მაშინდელი პროექტებით, ზუგდიდი ხდებოდა მსხვილი სამრეწველო ობიექტების, მეთაურ საწარმოთა თავმოყრის ადგილი, ხოლო აფხაზეთი, როგორც მსხვილი რეკრეაციული ზონა, რეკრეაციული ზონებისათვის ეკოლოგიურად მისაღები ზუგდიდის ქარხნების ფილიალების განლაგების ადგილად მოიაზრებოდა. ამით აფხაზეთის ეკონომიკური ინტეგრაცია დაწარჩენ საქართველოსთან ძლიერდებოდა, კავშირები უფრო მჭიდრო ხდებოდა, ხოლო წარმოების ეფექტიანობა რადიკალურად მაღლდებოდა. არ იკარგებოდა ე.წ. „კონცენტრაციის ეფექტი“. მთლიანობაში აფხაზეთ-სამეგრელოს რეგიონში სამრეწველო წარმოება ეფექტიანი და, დღევანდელი ტერმინოლოგიით, მაღალკონკურენტუნარიანი ხდებოდა. ნაწილობრივ, იგივე იდეით უნდა განხორციელდეს სამეგრელოს რეგიონის ზღვისპირეთის (ანაკლიის) მშენებლობაც.

პოლიტიკური ვითარებისა და სხვა ფაქტორების გამო ამჟამინდელი ვითარება განსხვავდება ადრინდელისაგან. ხსენებულ-

¹ ტუხაშვილი მ. შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება საქართველოს საშუალო და პატარა ქალაქებში. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1990. გვ.168-169.

მა რეგიონებმა იძულებით გადაადგილებულთა დიდი მასის გამო შრომითი რესურსების ტერიტორიულ განაწილებაში დიდი დეფორმაციები განიცადა. აფხაზეთის მოსახლეობის განახევრებამ, ზუგდიდის დემოგრაფიულმა გადავსებამ, საერთოდ, იძულებით გადაადგილებულ პირთა შეზღუდულ დროში დისლოკაციამ მკვეთრად დაარღვია შრომითი რესურსებისა და სამუშაო ადგილების ტერიტორიული განაწილების ბალანსი, პარალელურად მოხდა მთელი საქართველოს ეკონომიკური კოლაფსი და სამუშაო ადგილთა მასობრივი განადგურება (მართო მრეწველობაში დასაქმება შემცირდა 4-ჯერ).

უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, ზღვისპირეთისკენ მოსახლეობის გადაადგილება, ზღვისპირა ზოლის წილის ზრდა ქვეყნის მთელ მოსახლეობაში მსოფლიო მოვლენაა და კანონზომიერი პროცესია. ამ ფონზე საქართველოს ზღვისპირა სანაპირო ზოლის ეკონომიკური, სოციალური, მათ შორის, დემოგრაფიული განვითარების პროგნოზირება აუცილებელს ხდის, გავიაზროთ ის დიდი მნიშვნელობა, რაც ბათუმი-ანაკლია-ზუგდიდის რეგიონის ეკონომიკურ ინტეგრაციას ექნება. აქ იმიგრაციული პროცესების ინტენსიფიკაციისას, რაც გარდაუვლად იკვეთება, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს დემოგრაფიული, მიგრაციული უსაფრთხოების საკითხს და გავითვალისწინოთ მხოლოდ ის დემოგრაფიული რესურსები, რაც საქართველოს ქვეყნის შიგნით ან საზღვარგარეთ დიასპორის სახით გააჩნია. ამავე დროს, საჭიროდ მიგვაჩნია მთლიანად ტრაპიზონ-ბათუმი-ფოთი-ანაკლია-ზუგდიდის სწრაფად ურბანიზებადი, ინტეგრირებადი სანაპირო რეგიონის ფორმირების ტენდენციების, კანონზომიერების, შრომის ბაზრის ფორმირებისა და სამუშაო ძალის მიწოდების პერსპექტივების კომპლექსური, ღრმა შესწავლა, სწორი პროგნოზირება.

პოსტსაბჭოთა პერიოდში თურქეთ-საქართველოს საზღვარზე სრული იზოლაციის მოხსნამ, საზღვრისპირა რეგიონების მკაცრი საკარანტინო ზონიდან უადრესად ლიბერალურ სასაზღვრო რეჟიმზე გადასვლამ, საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო დერეფნის (მილსადენი, რკინიგზის, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო) ამოქმედებამ რადიკალურად გაზარდა საზღვრისპირა რეგიონების ეკონომიკური აქტიუზაციის, ეკონომიკური ინტეგრაციის და შრომის ბაზრების ფორმირების შესაძლებლობანი. მოსალოდნელია როგორც აღნიშნული ტრასების მიმდებარე რეგიონების შრომის ბაზრების, ისე თურქეთ-საქართველოსა და სომხეთ-საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებში შრომითი კავშირების, ე.წ. საზღვრისპირა მიგრაციების განვითარება. ბუნებრივია, ყურადღება უნდა მიექცეს მიგრაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ქვეყნის სუვერენიტეტის მკაცრად დაცვას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრების გაფართოებასა და ფუნქციონირებას ქვეყნის შიგნით ზოგჯერ ხელს უშლის ჯერ კიდევ შემორჩენილი ეთნოდემოგრაფიული ფაქტორებით განსაზღვრული შეზღუდული შრომის ბაზრების არსებობა, რაც ხშირად აფერხებს რეგიონების ეკონომიკურ ინტეგრაციას; ზოგჯერ კი, ხელს უწყობს არასასურველი სეპარატისტული მოვლენების ფორმირებასაც. საფიქრებელია, რომ ამჟამად მიმდინარე საერთაშორისო კომუნიკაციების განვითარების პროცესები ხელს შეუწყობს საქართველოში უფრო ინტეგრირებული ბაზრებისა და შიგამიგრაციული ნაკადების რაციონალური მიმართულებების ჩამოყალიბებას.

საქართველოში ყოველთვის მწვავედ იდგა *მთიანი რეგიონებიდან ბარად მიგრაციის*, მთის გაუკაცრიელების, სრული დაღლის პრობლემა¹. თავის დროს მთიელთა ბარად გადანაწილების

¹ სულაბერიძე ა. საქართველოს სსრ მთიანეთის განვითარების პრობლემები. თბილისი, მეცნიერება, 1986. ტუხაშვილი მ. საქართველოს

პროცესი, ძირითადად, ხდებოდა ნამატი მოსახლეობით. ეს დადებითი შედეგებით ხასიათდებოდა და ბარში სწრაფად მზარდი სამუშაო ადგილების შევსებას ემსახურებოდა. სხვა შემთხვევაში, ბარად ახალ სამუშაო ადგილებზე დამკვიდრდებოდა საქართველოს გარედან შემოსული მოსახლეობა (რაც მეტნაკლებად მაინც ხდებოდა) და მთა კი ჭარბი მოსახლეობით მძიმე ტვირთად დააწვებოდა საქართველოს. მაგრამ შემდგომ ვითარება თანდათან იცვლებოდა. დემოგრაფიული დეპრესიის პირობებში უკვე ვეღარ ხდებოდა მთიანი რეგიონების ბუნებრივი რესურსების სათანადო გამოყენება, ეკონომიკის შესაბამისი დარგების ეფექტიანი განვითარება. აქაური სამუშაო ადგილები იყო ნაკლებმწარმოებლური, ხოლო სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება - ძვირი. ამიტომ მთიდან ბარად ცალმხრივი მიგრაცია გრძელდებოდა, მთა უკაცრიელდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანს გამოიკვეთა ჩრდილოეთ მთიანეთის ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია - სასაზღვრო თავდაცვითი და რეკრეაციული. მიუხედავად სამთო ტურისტულ მომსახურებაზე დიდი მოთხოვნისა, ჯერჯერობით, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური პრობლემების გამო რეკრეაციული ფუნქციის განვითარება შესაძლებლობებს ვერ პასუხობს. პოლიტიკური ვითარების გამო უდიდესი პოტენციური მომხმარებელი რუსეთი გამოთიშულია ჩვენი რეკრეაციული მომსახურების არეალიდან. ვეღარ ხდება მეტად ეფექტიანი კავკასიონის მთიანეთის ინტეგრირებული რეკრეაციული რეგიონის ფორმირება, კავკასიონის ორივე ფერდობის (რუსეთ-საქართველოს) მდიდარი რეკრეაციული რესურსების კომპლექსური გამოყენება.

ვითარება შეიცვალა სამხრეთ მთიანეთშიც. შობადობისა და ბუნებრივი მატების მკვეთრი შემცირების გამო აჭარის მთიანეთ-

შრომითი პოტენციალი: ფორმირება და განაწილება. თსუ, 1998. გვ.130-144.

მა თითქმის ამოწურა თავისი დემოგრაფიული დონორის როლი. შეიკვეცა ფუნქცია, რასაც იგი წარმატებით ასრულებდა ათეული წლების განმავლობაში¹.

ემიგრაციული პროცესების გამო შეფერხდა სამცხე-ჯავახეთის მთიანეთის დემოგრაფიული ზრდა. 2003-2014 წწ. რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა 22,8%-ით შემცირდა, აქ აჭარის მთიანეთიდან ორგანიზებული ჩასახლებით მოსახლეობის შევსების შესაძლებლობანი შეიზღუდა. უდიდესი მნიშვნელობა მიეცა შრომითი პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას. თუმცა ეკონომიკური განვითარების დიდი პოტენციალის გათვალისწინებით, სამცხე-ჯავახეთი კვლავაც შეიძლება მივიჩნიოთ ეკომიგრანტების მიზიდვის მნიშვნელოვან რეგიონად. მეცნიერულად შესასწავლია ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული ორგანიზებული შიგა მიგრაციების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგებიც.

როგორც აღვნიშნეთ, როგორც ყველა ქვეყნისთვის, მითუმეტეს, მრავალრეგიონიანი საქართველოსთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მისი ოპტიმალური რეგიონული განვითარება, მათ შორის, *განსახლების სისტემის ოპტიმიზაცია*. იგი გაართულა საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორიების ანექსიამ და ანექსირებული რეგიონების მკვეთრმა იზოლაციამ, მოსახლეობის სწრაფი შემცირების პროცესმა, ქალაქწარმომქნელი დარგების განადგურებამ ან შეზღუდვამ, ამ დარგებში სამუშაო ადგილთა მეტისმეტმა შემცირებამ, მასობრივმა შრომითმა ემიგრაციამ და ა.შ.

¹ ტაკიძე ა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება. თსუ, "ცოდნის წყარო", 2006; ფუტყარაძე თ. აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. ბათუმი, 2006; ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი: ფორმირება და განაწილება. თსუ, 1998; თოთაძე ა. აჭარის მოსახლეობა. თბილისი, „უნივერსალი“, 2012.

რასაკვირველია, განსახლების სისტემაზე კვლავაც ეკონომიკური, ქალაქწარმომქმნელი დარგების, სამუშაო ადგილების განლაგების ოპტიმიზაციით უნდა მოვახდინოთ ზემოქმედება. ამისათვის კი უნდა შემუშავდეს ახალი რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, რაც, საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით, ნაკლებად იქნება ადმინისტრირების მეთოდებით განსაზღვრული და, უმთავრესად, სამუშაო ადგილთა განლაგების, ტერიტორიული განაწილების ეკონომიკური სტიმულირების მეთოდებს დაეყრდნობა. კვლავაც დიდი მნიშვნელობა ექნება მოსახლეობის ტერიტორიული განაწილების ოპტიმიზაციას (პროპორციულობის დაცვა) სხვადასხვა რანგის ქალაქებში.

კვლავაც მთავარ იდეად უნდა დარჩეს უმსხვილესი ქალაქის - თბილისის ზრდის შეკავება და სხვა ქალაქების, მათ შორის, პატარა და საშუალო ქალაქების განვითარება. საბაზრო მეურნეობის პირობებში ასეთი პოლიტიკა არც ისე ადვილად განსახორციელებელია, მითუმეტეს იმ დროს, როცა თბილისს ახალი სამრეწველო ობიექტები ესაჭიროება, რათა ოპტიმალურ დონემდე მიაღწიოს მრეწველობაში სამუშაო ადგილთა რიცხოვნობამ. ჯერჯერობით, ვერ ხერხდება ემიგრაციული პროცესების გამო სამუშაო ძალის ექსპორტიდან შემოსული რემიტანსის აკუმულაცია და სამრეწველო წარმოებაში ინვესტირება. ასეთ პირობებში, როცა ქალაქწარმომქმნელ დარგებში სამუშაო ადგილები არასაკმარისია, ცნობილი მეთოდი - მათი დედაქალაქიდან სხვა ქალაქებში გადატანის სტიმულირება ნაკლებ ეფექტიანია. ამიტომაც, უნდა ვიფიქროთ საქართველოს დიდ და საშუალო ქალაქებში მრეწველობის, როგორც დარგის რეაბილიტაციისა და განვითარების დაჩქარებაზე, საერთოდ, რეგიონების და ქალაქების კომპლექსურ განვითარებაზე. ეს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების თავისებური გარანტიაა.

ამრიგად, საქართველოში მოსახლეობის ტერიტორიული განაწილების ოპტიმიზაცია, სახვადასხვა რანგის ქალაქებში მოსახლეობის პროპორციული განაწილების პოლიტიკა რაციონალური შიგა მიგრაციული ნაკადების განმსაზღვრელია, რაც პერმანენტულ შესწავლა-დაკვირვებას საჭიროებს.

საქალაქო განსახლების ოპტიმიზაციასა და მიგრაციული პროცესების ნორმალიზაციასთანაა დაკავშირებული საქართველოში *შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია*, მისი ინტენსივობის ზრდისა და ეფექტიანობის საკითხი. სსრკ დაშლამდე შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის მასშტაბები საკმაოდ დიდი იყო და მგზავრობაზე დროითი და ფულადი დანახარჯების მიუხედავად, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მაშინ დასახლებათშორისი შრომითი კავშირები 250 ათას ქანქარისებერ მიგრანტს ითვლიდა¹.

პოსტსაბჭოთა ეკონომიკური კოლაფსის დროს ქანქარისებრი მიგრაცია პრაქტიკულად შეწყდა, ხოლო შემდგომ, ეკონომიკური გამოცოცხლების კვალობაზე კვლავ დაიწყო მისი ინტენსიურობის ნელი ზრდა. თუმცა, როგორია ამჟამად მისი რეალური სურათი, არავის შეუსწავლია და მეცნიერული შეფასება, ცხადია, გამძნელებულია. ერთი კი ფაქტია, რომ სწრაფი ავტომობილიზაცია, საქართველოს საავტომობილო გზების ინტენსიური რეაბილიტაცია-გაფართოება, შინამეურნეობათა საერთო გასავლებში ქვეყნის შიგა ტრანსპორტირებაზე ხარჯების თანდათან შემცირება დასახლებათშორის გადაადგილების ეფექტიანობას გაზრდის, შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის ეკონომიკური და სოციალური ფუნქცია გაძლიერდება და ხელი შეეწყობა უფრო ეფექტიანი განსახლების სისტემის ფორმირებას. ცხადია, ამ პროცესს სისტემური

¹ ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი: ფორმირება და განაწილება. თსუ, 1998. გვ.141-145.

მონიტორინგი, განუწყვეტელი მეცნიერული კვლევა და მართვა სჭირდება.

მეტად ღრმა გააზრებას მოითხოვს *იძულებით გადაადგილებული კონტინგენტის* განსახლების პერსპექტივა. მათი კომპაქტურად ჩასახლების პირობებშიც, ადგილობრივ გარემოში მოსახლეობის ინტეგრაცია მეტნაკლებად მიმდინარეობს. დიდი სურვილისა და მცდელობის მიუხედავად, თავიანთ საცხოვრისში მათი დაბრუნების რეალიზაცია ჭიანურდება, ბევრი რამ საერთაშორისო ვითარების ცლილებებზეა დამოკიდებული. დღევანდელ დამბულ პოლიტიკურ ვითარებაში მათი დაბრუნება ანექსირებულ რეგიონებში გამეფებული ანტიმიგრაციული, ეთნოწმენდის პოლიტიკის და ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშის გამო თითქმის შეუძლებელია. იძულებით გადაადგილებულთა ახალი თაობები ძნელად თუ დათანხმდებიან, რაიმე სარისკო პირობებში თავიანთ მამა-პაპისეულ ადგილებში დაბრუნებას. საჭიროა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები, ანექსირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა. ყოველშემთხვევაში, ანტიქართული ისტერიის და იქ დამკვიდრებული ეთნოწმენდის პოლიტიკის რადიკალური შეცვლა.

მეორე მხრივ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ანექსირებულ რეგიონებში ეთნოწმენდის შემდეგ განსახლების სისტემის ფუნქციონირებამ კატასტროფა განიცადა. იქაურმა სეპარატისტ-რადიკალურ-კლანურმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ოდნავადაც შეეჩერებინა ამ რეგიონების ეკონომიკური კრახი. თვითიზოლაციისკენ სწრაფვის გამო რეგიონებმა ეფექტიანი გარე კავშირები დაკარგეს. იქ ადრინდელი მოსახლეობის ნახევარიც აღარ დარჩა, შრომითი პოტენციალი დაეცა, ხარისხობრივად განადგურდა და ვეღარ ჰყოფნის ეკონომიკის აღდგენის პროცესს. ეთნოწმენდის შედეგად დარჩენილი საბინაო ფონდი და უძრავი ქონება ძირითადად არაქართველმა მოსახლეობამ დაიკავა. ეკო-

ნომიკის ფუნქციონირების აღმდგენ, ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის პროცესს პროფესიონალი კადრების ნაკლებობამაც შეუშალა ხელი.

დევნილთა უკან დაბრუნება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების აღორძინების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. ცხადია, იგი უნდა მოხდეს აფხაზთა და ოსთა ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და მათი კულტურის განვითარების გარანტიების სრული დაცვით. ამ რეგიონების განსახლების სისტემის აღდგენა-განვითარებაზე, მოსალოდნელ მიგრაციულ პროცესებზე, მისი მართვის მეცნიერული საფუძვლების შექმნაზე ერთობლივად უნდა იმუშაონ ქართველმა, აფხაზმა და ოსმა პროფესიონალებმა. დაუშვებლად მიგვაჩნია, დიდი რეკრეაციული შესაძლებლობების ეს მხარეები იქცნენ სამხედრო პოლიგონებით გაჯერებულ რეგიონებად. იძულებით გადაადგილებულთა თანდათანობით დაბრუნება ამ უნიკალური კუთხეების ეკონომიკურ-კულტურული რეაბილიტაციის უმთავრესი გზათაგანია.

რემიგრაციის პროცესიც რომ გაჭიანურდეს, საჭიროა დაიწყოს დაბრუნების პროცესის, უკუმიგრაციის კონკრეტული სცენარების ვარიანტული დამუშავება.

საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიულ მობილობაში, ჩვენი აზრით, ყველაზე საპასუხისმგებლო და პრობლემატურია ეროვნულად *უსაფრთხო იმიგრაციული პოლიტიკის* შემუშავება და გატარება. მრავალი უცხოური კალკა, რამაც ინტენსიური რეფორმების პროცესის დროს შემოადგინა დასავლეთიდან, იმიგრაციული პოლიტიკის სფეროში არ გამოდგება. საქართველოს სრულიად ორიგინალური პოლიტიკის გატარება მოუწევს, რადგან თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და მდგომარეობით მეტად განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან. პოსტსაბჭოთა წლებში ეკონომიკური კრახისა და ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემის გამო ჩვენი ქვეყანა იმიგრანტთა მიმზიდველ ქვეყანას

ადარ წარმოადგენდა. აქ მთლიანად ემიგრაციული პროცესები დომინირებდა. ეკონომიკური გამოცოცხლებისა და ცხოვრების დონის მეტნაკლები ზრდის კვალდაკვალ სავსებით მოსალოდნელია დემოგრაფიული დეპრესიის ქვეყანა მიმზიდველი გახდეს გიგანტური დემოგრაფიული რესურსების მქონე ქვეყნებისა და მსხვილი რეგიონებისათვის. მითუმეტეს, თუ ეს ქვეყნები ცდილობენ ინვესტიციები ჩადონ საქართველოს ეკონომიკაში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ასეთ ვითარებაში, ზოგადად, დემოგრაფიულად მზარდი ღარიბი ქვეყნების ინვესტიციებს თან მოსდევს იქაური სამუშაო ძალა, რომლის შემოსვლა მკაცრი, ყოველმხრივ გათვლილი იმიგრაციული პოლიტიკის გარეშე საფრთხეს შეუქმნის ჩვენი ქვეყნის ეროვნულ თვითმყოფადობას და დემოგრაფიულ უსაფრთხოებას. ისიც არ უნდა დავვივიწყოთ, რომ საქართველო მოქცეულია დემოგრაფიულად მზარდ რეგიონში (თურქეთი, აზერბაიჯანი, ირანი, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები). გასათვალისწინებელია ჩინეთისა და ინდოეთის დემოგრაფიული ექსპანსიის პოლიტიკა. ერთი სიტყვით, გარედან ე.წ. დემოგრაფიული დაწოლა დიდია. ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს საზოგადოება, ან ხელისუფლება გულგრილი იყოს მოსალოდნელი ვითარებისადმი, მაგრამ შესაძლოა, საკითხის შეუსწავლელი გამო ბოლომდე ვერ გააცნობიეროს მოსალოდნელი შედეგი. საქართველოს იმიგრაციული პოლიტიკა აბსოლუტურად ორიგინალურ მიდგომას და დიდ ძალისხმევას მოითხოვს, ცხადია, ღრმა მეცნიერული ანალიზისა და პროგნოზირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

ამრიგად, პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში შექმნილი მიგრაციული ვითარება უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის რიცხოვნობაზე, დემოგრაფიულ რეალობაზე, სახელმწიფო დემოგრაფიულ უსაფრთხოებაზე. დიდი სამიშროების მიუხედავად, ჯერჯერობით, არ გვაქვს ნათელი, მეცნიერულად და-

საბუთებელი სურათი მიგრაციული პროცესების განვითარებისა. რადიკალურ გაუმჯობესებას მოითხოვს მიგრაციის სტატისტიკა, შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურა, საჭიროა დაჩქარდეს მიგრაციული პროცესების ლეგალიზაცია და, საბოლოოდ კი, ცირკულარული მიგრაციის ფორმირება. აუცილებელია მიგრაციული პროცესების კვლევის ყოველმხრივი ხელშეწყობა და მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანთაძე ც. შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში.

„მიგრაცია 7“. თბილისი, „თსუ გამომცემლობა“, 2016.

თოთაძე ა. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. თბილისი, 2009.

თოთაძე ა. აჭარის მოსახლეობა. თბილისი, „უნივერსალი“, 2012.

თორია მ. შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი, „უნივერსალი“, 2006.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. ტ.1, თბილისი, 2003.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. www.geostat.ge

სულაბერიძე ა. საქართველოს სსრ მთიანეთის განვითარების პრობლემები. თბილისი, „მეცნიერება“, 1986.

ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი: ფორმირება და განაწილება. თბილისი, თსუ, 1998.

ტულუში მ. დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო რეგულირების უზრუნველყოფისათვის. ეკონომიკა და ბიზნესი. #2. 2013, მარტი-აპრილი. გვ.40-45

ტაკიძე ა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება. თსუ, „ცოდნის წყარო“, 2006;

ფუტყარაძე თ. აჭარის მოსახლეობის მიგრაციის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. ბათუმი, 2006.

შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, DRC. თბილისი, „უნივერსალი“, 2012.

Chelidze N. Policy on Migration and Diasporas in Georgia. CARIM-East, Florence, 2012.

Tsartsidze M. Formation and Functioning of Georgian Labour Market. Tbilisi, “Universali”, 2010.

Блюмгардт Т. Население Абхазии. <http://abkhazeti.info/news/1305685446.php>

Илларионов А. Оценка численности населения Южной Осетии. <http://aillarionov.liverjournal.com/50676.html>.

Население Абхазии. <http://www.ethnokavkaz.narod.ru/mabkhazia.htm>

Mirian Tukhashvili

TSU, Professor

About the Research Strategy of the Georgia's Population Territorial Mobility

(Abstract)

Georgia's long-term political and economic crisis, demographic depression, the labor market supply-demand imbalance, crisis in settlement system and the development of deleterious phenomena in regional development due to the annexation of territories, transformed border realities and the new international routes completely changed a stable migration picture formed the Soviet period. This was not followed by the study of appropriate accounting, forecasting and management process. The research revealed migration registration shortcomings, the necessity of changes in directions and intensity, the main problems of internal and external migration. The study identified specific directions of the research. It is proved that due to the Georgia's economic activation it is expected improvement of the regional markets of labour and formation of more rational migratory streams.

შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში

დიდი ხნის მანძილზე სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაცია სტიქიურად მიმდინარეობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, მიგრაციის მასშტაბებისა და შედეგების გაზრდის კვალობაზე, აუცილებელი გახდა მისი რეგულირება შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების გზით. როგორც ცნობილია, *მიგრაციული პოლიტიკა* არის საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია უცხოელთა ქვეყანაში შესვლისა და ქვეყნიდან მოსახლეობის გასვლის რეგულირებისაკენ. შესაბამისად, მიგრაციის პოლიტიკის მიმართულებებია: იმიგრაციული, რომელიც მიმართულია უცხოელთა ქვეყანაში შემოსვლის რეგულირებაზე და ემიგრაციული, რომელიც აწესრიგებს ქვეყნიდან მოქალაქეთა გასვლას და საზღვარგარეთ მიგრანტების უფლებების დაცვას. ეს დეფინიცია არსებითად ვრცელდება შრომითი მიგრაციის რეგულირებაზეც, ოღონდ რეგულირების ობიექტი ამ შემთხვევაში არის სამუშაო ძალა, ანუ *შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა* ეს არის სახელმწიფოს მიზანმიმართული საქმიანობა სამუშაო ძალის ექსპორტისა და იმპორტის რეგულირებისათვის.

მიგრაციული (მათ შორის, შრომითი) პოლიტიკა ხორციელდება საერთაშორისო, რეგიონულ და ცალკეული ქვეყნის დონეზე. *საერთაშორისო დონეზე* მიგრაციულ პოლიტიკას განსაზღვრავენ საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია,

გაეროს ხალხთმოსახლეობის კომისია, ევროკავშირი და სხვა) და აისახება შესაბამის დოკუმენტებში (კონვენციები, დეკლარაციები, რეკომენდაციები). მისი მიზანია, მსოფლიოს მასშტაბით შექმნას მიგრაციის რეგულირების უნივერსალური მექანიზმები. **რეგიონულ დონეზე** მიგრაციულ პოლიტიკას შეიმუშავენ სახელმწიფოების გარკვეული ჯგუფები, რეგიონული გაერთიანებები, რომლებიც თანხმდებიან ამ ქვეყნებს შორის მოქალაქეთა გადაადგილების ერთიან წესებზე (თავისუფალი გადაადგილება, ე.წ. „გამჭვირვალე საზღვრები“ და სხვა). **ქვეყნის დონეზე** მიგრაციული პოლიტიკა აწესრიგებს ქვეყანაში უცხოელების შემოსვლისა და ყოფნის პროცესებს, მათ სამართლებრივ სტატუსსა და საქმიანობის უფლებებს, ასევე ქვეყნის მოქალაქეების უფლებების დაცვას საზღვარგარეთ.

შრომით მიგრაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ავალდებულებს გაეროსა თუ მისი სააგენტოების წევრ-სახელმწიფოებს, დაიცვან დადგენილი ნორმები. მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციები და რეკომენდაციები¹ ავალდებულებენ ქვეყნებს, რომლებმაც მოახდინეს ამ კონვენციების რატიფიცირება, შრომით იმიგრანტებს შესთავაზონ ინფორმირების უფასო სერვისი, ხელი შეუწყონ მათ გადაადგილებას, ნება მისცენ, სამშობლოში გადარიცხონ გამომუშავებული თანხები, მიგრანტები და მათი ოჯახის წევრები უზრუნველყოფილი იქნენ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებითა და სოციალური დაცვის გარანტიებით და ა.შ. ამასთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციები თანხმდებიან იმაზეც,

¹ შსო-ის კონვენცია შრომითი მიგრანტების შესახებ (გადასინჯული), 1949წ. (N97); რეკომენდაცია შრომითი მიგრანტების შესახებ (გადასინჯული), 1949წ. (N86); კონვენცია შრომითი მიგრანტების შესახებ (დამატებითი დებულებები), 1975წ. (N143); რეკომენდაცია შრომითი მიგრანტების შესახებ, 1975წ. (N151).

რომ მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოცემული ქვეყნის შესაძლებლობები და გამოწვევები. უფრო მეტიც, ეროვნული მიგრაციული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება თითოეული ქვეყნის სუვერენულ უფლებად არის აღიარებული.¹

ქვეყნების მიხედვით მიგრაციული პოლიტიკა განსხვავებულია, ვინაიდან ეფუძნება კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, დემოგრაფიულ სიტუაციას, შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებას, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ გამოწვევებს, საერთაშორისო ნორმების იმპლემენტაციის შესაძლებლობას და ა.შ.

ზოგადად მიგრაციის და, კერძოდ, შრომითი მიგრაციის რეგულირების საფუძველია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და ის საერთაშორისო ნორმები (კონვენციები, დეკლარაციები, რეკომენდაციები, შეთანხმებები), რომლებიც კონკრეტული ქვეყნის მიერ არის აღიარებული.

შრომითი მიგრაციის ეროვნული კანონმდებლობა ადგენს ქვეყანაში უცხოური სამუშაო ძალის იმიგრაციისა და საზღვარგარეთ შრომითი ემიგრაციის პროცესების მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს. კერძოდ, *იმიგრაციის კანონმდებლობით* რეგულირდება ეროვნულ შრომის ბაზარზე უცხოური სამუშაო ძალის დაშვების წინაპირობები, რაოდენობა და პროცედურები. ხშირ შემთხვევაში დგინდება უცხოური სამუშაო ძალის დასაქმების სპეციალური რაოდენობრივი ქვოტები, პროფესიული შემაღ-

¹ შსო-ს მრავალმხრივი საფუძვლები შრომითი მიგრაციის საკითხებში. შრომითი მიგრაციისადმი ადამიანის უფლებების დაცვაზე დამყარებული მიდგომის სარეკომენდაციო ნორმები და სახელმძღვანელო პრინციპები. ILO Decent Work Technical Support Team and Country Office for Eastern Europe and Central Asia, 2010.

გენლობა და ხარისხობრივი მახასიათებლები (მაგალითად, იმიგრანტის განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის დონე, სპეციალობით მუშაობის სტაჟი, ჯანმრთელობის მახასიათებლები, ასაკი, პოლიტიკური და სოციალური მახასიათებლები და სხვა); იმიგრაციული ქვოტა შეიძლება დიფერენცირებული იყოს სფეროების, რეგიონების, დონორი ქვეყნების, იმიგრანტთა კატეგორიებისა და სხვათა მიხედვით; განისაზღვრება სამუშაო ძალის იმპორტის წესები და პასუხისმგებელი ინსტიტუტები. გარდა ამისა, მიმღები ქვეყანა, როგორც წესი, ზღუდავს ქვეყანაში უცხოური სამუშაო ძალის ყოფნის ხანგრძლივობას, აწესებს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარების პროცედურებს; არც თუ იშვიათად, იმიგრაციული პოლიტიკის ფარგლებში კანონით განისაზღვრება ის სამუშაო პოზიციები, რომელთა დაკავება იმიგრანტებს არ შეუძლიათ და ა.შ.

ადმინისტრაციული (საკანონმდებლო) მეთოდების გარდა, შრომითი იმიგრაციის რეგულირებისათვის გამოიყენება *ეკონომიკური მეთოდებიც*. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ფორმებს უფლება აქვთ უცხოელები სამუშაოზე მიიღონ მას შემდეგ, როცა ისინი მიაღწევენ გაყიდვების გარკვეულ მოცულობას, ანდა როცა ბიუჯეტში შეიტანენ განსაზღვრული რაოდენობის თანხას; კერძო პირს აძლევენ ქვეყანაში შესვლის უფლებას, თუ მას აქვს მოცემულ ქვეყანაში განსაზღვრული თანხის ინვესტირების შესაძლებლობა და ა.შ.¹ ბევრი განვითარებული ქვეყანა შეიმუშავებს და ახორციელებს იმ ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და დასაქმების მხარდამჭერ პროექტებს, საიდანაც დიდი რაოდენობით ხდება სამუშაო ძალის შედინება. ამით ცდილობენ, ზემოქმედება მოახდინონ ამ ქვეყნებიდან ემიგრაციის განმაპირობებელ ფაქტორებზე და ხელი შეუწყონ მიგრაციული ნაკადების შემცი-

¹ <http://bibliotekar.ru/economika-dlya-yuristov/159.htm>

რებას. ბოლო ათწლეულში აქტუალური გახდა (პირველ რიგში, ევროკავშირის ქვეყნებში) არალეგალური იმიგრანტების სამშობლოში ნებაყოფლობით დაბრუნებისა და მდგრადი რეინტეგრაციის ხელშეწყობა. ამ მიზნით მუშავდება და ხორციელდება არაერთი მიზნობრივი პროგრამა, რომლებიც მოიცავენ რეინტეგრაციის მხარდამჭერი ღონისძიებების საკმაოდ ფართო სპექტრს (სამშობლოში დასაბრუნებლად სამგზავრო ბილეთის შეძენა, სამშობლოში მკურნალობის, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, პროფესიული სწავლების, მცირე ბიზნესის დაწყება-განახლების და სხვათა დაფინანსება).

შრომითი იმიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის უპირველესი მიზანია უცხოელი მიგრანტების უკონტროლო ნაკადებისგან ადგილობრივი შრომის ბაზრის დაცვა, რათა მათ ნეგატიური გავლენა არ მოახდინონ ქვეყანაში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონეზე, სამუშაო ძალის ფასზე, ცხოვრების ხარისხზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შრომითი იმიგრაციის პოლიტიკა ქვეყნის განვითარების დაჩქარების ბერკეტადაც შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუკი იგი ასტიმულირებს ქვეყანაში მოთხოვნადი და დეფიციტური კადრების მოზიდვასა და იმიგრანტების შრომითი პოტენციალის რაციონალურად გამოყენებას.

შრომითი მიგრაციის პოლიტიკის მეორე ძირითადი მიმართულებაა *სამუშაო ძალის ემიგრაციის სახელმწიფო რეგულირება*. ამ სფეროშიც კონკრეტული სახელმწიფოს პრიორიტეტია ეროვნული ინტერესების გათვალისწინება და პროცესების იმდაგვარად რეგულირება, რომ იგი სასარგებლო იყოს მოცემული ქვეყნის მოქალაქეებისა და, ზოგადად, სახელმწიფოსთვის. აღსანიშნავია, რომ შრომითი ემიგრაციის რეგულირება, იმიგრაციის რეგულირებასთან შედარებით, კიდევ უფრო რთულია, ვინაიდან ემიგრაციული პროცესები სცილდება კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებს და მიმდები ქვეყნის ინტერესებსაც მოიცავს.

შრომითი ემიგრაციის რეგულირების სტრატეგია შეიძლება იყოს სამუშაო ძალის ექსპორტის მასტიმულირებელი (თუკი ქვეყანაში ადგილი აქვს შრომის ბაზარზე ჭარბი სამუშაო ძალის მიწოდებით განპირობებულ უმუშევრობას), ან შემაკავებელი (სამუშაო ძალის დეფიციტის პირობებში). პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ე.წ. შერეული სტრატეგიაც, როცა წახალისებულია გარკვეული კატეგორიის სამუშაო ძალის გაყვანა და დაწესებულია საკანონმდებლო აკრძალვები და შეზღუდვები კონკრეტული პროფესიისა და კვალიფიკაციის მომუშავეების მიმართ.

ზოგადად შრომითი ემიგრაციის პოლიტიკა ითვალისწინებს შემდეგი სახის ღონისძიებათა განხორციელებას:

- ემიგრაციული ქვოტების დაწესება;
- ცალკეული კატეგორიის მომუშავეების გასვლის აკრძალვა;
- სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობის სავალდებულო ვადის დადგენა;
- შრომითი ემიგრაციის სფეროში მომუშავე სააგენტოების ლიცენზირება და მათი საქმიანობის მონიტორინგი;
- ე.წ. „ინფორმირებული მიგრაციის“ მხარდაჭერა, რაც გულისხმობს საზღვარგარეთ დასაქმების მსურველთა ინფორმირებას ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობებისა და უკანონო მიგრაციის საფრთხეების შესახებ;
- პოტენციური ემიგრანტებისა და საზღვარგარეთ მყოფი თანამემამულეების პროფესიული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა (ენისა და პროფესიული სწავლების სპეციალური კურსების ორგანიზება, სწავლების დაფინანსება-თანადაფინანსება, ინფორმაციის მიწოდება მიზნობრივი პროგრამების შესახებ და სხვა);
- ლეგალური დროებითი (ცირკულარული) შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის მხარდაჭერა;

➤ საზღვარგარეთ მომუშავე ემიგრანტების უფლებების დასაცავად სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარება და მონიტორინგის მექანიზმების ჩამოყალიბება (მაგალითად, საზღვარგარეთ წარმომადგენლობების შექმნა შრომითი მიგრაციის სფეროში საერთაშორისო შეთანხმებების შესრულებაზე კონტროლის განსახორციელებლად);

➤ შრომითი ემიგრანტების ფულადი გზავნილების გადმორიცხვისთვის მასტიმულირებელი პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება (სპეციალური საბანკო პოლიტიკა; შეღავათები გადმორიცხულ თანხებსა და ანაბრებზე; იმიგრანტების მიერ ფასიანი ქაღალდებისა და ობლიგაციების შესყიდვის სტიმულირება; სანვესტიციო პროექტების წახალისება და ა.შ.)

➤ ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობა (სპეციალური საბაჟო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა შეღავათებს დაბრუნებული მიგრანტებისთვის; დაბრუნების ხელშეწყობის სფეროში მიმღები ქვეყანის ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ა.შ.).

რეგულირების ხარისხის მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი ტიპის მიგრაციული პოლიტიკა¹:

1. *მკაცრი მიგრაციული პოლიტიკა*, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის ტერიტორიაზე მიგრაციის ნაკადების მკვეთრად შემცირებაზე (მკაცრი სავიზო პოლიტიკა, ქვოტირება, სამართლებრივი სტატუსის მინიჭების პროცედურების გამკაცრება, სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის შემზღუდავი რეგულაციების დაწესება და ა.შ.). ასეთი პოლიტიკის შედეგად შესაძლებელია მიგრაციული ნაკადების შემცირება, ეროვნული შრომის ბაზრის

¹ Воронина Н.А. Миграционная политика России: ретроспектива современных реформ. //Права и современное государственно-правовое регулирование. М., 2007. С. 319.

დაცვა, მაგრამ შეიცავს მიგრანტთა ინტერესების შელახვისა და უფლებების დარღვევის რისკებს;

2. *რბილი (ლიბერალური) მიგრაციული პოლიტიკა*, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და ორიენტირებულია მიგრანტებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვაზე, უზრუნველყოფს მიგრანტების თავისუფალ გადაადგილებას და პროცესების დერეგულაციას. აღსანიშნავია, რომ ეს პოლიტიკა ზოგადად შეესაბამება ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის პრინციპებს, მაგრამ კონკრეტული ქვეყნის (ქვეყნების) ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების კუთხით აწყდება გარკვეულ სირთულეებს: იგი ხშირად არათავსებადია მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ვერ ითვალისწინებს დემოგრაფიულ, კულტურულ თუ პოლიტიკურ გამოწვევებს, აღებული ვალდებულებების რეალიზაციისთვის შესაბამისი პირობებისა და მექანიზმების არსებობა/არარსებობას და ა.შ. ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება მიგვიყვანოს უკონტროლო იმიგრაციამდე და არსებითად გაამწვავოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება მიმღებ ქვეყანაში, ანდა გარკვეული კატეგორიის სამუშაო ძალის დეფიციტი დონორ ქვეყანაში;

3. *შერეული მიგრაციული პოლიტიკა*, რომელიც გულისხმობს მიგრანტის უფლებების დაცვისა და სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების გონივრულ შეხამებას. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო უარს არ ამბობს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაზე და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინების პარალელურად ზრუნავს იმიგრანტების უფლებების დაცვაზე. ამ დროს ხდება მიგრაციული პროცესების იმდაგვარად მართვა, რომ მეტი სარგებელი მიიღოს მიგრაციის პროცესში მონაწილე ყველა მხარემ. რა თქმა უნდა, ეს მოდელი ყველაზე რაციონალურია, მაგრამ ყოველთვის ვერ ხერხდება მისი გამოყენება, ვინაი-

დან რთულია კონკრეტული ქვეყნების ეროვნულ ინტერესებსა და მიგრანტების უფლებების დაცვას შორის „ოქროს შუალედის“ პოვნა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მხარეების ინტერესები ხშირად წინააღმდეგობრივია.

სწორედ ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტის გამო, მიგრაციული პოლიტიკის განსაზღვრისას ქვეყნები უპირატესად ამოდიან საკუთარი უსაფრთხოებიდან და ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით ახორციელებენ ისეთ მიგრაციულ პოლიტიკას, რომელიც, პირველ რიგში, სასარგებლოა მოცემული ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის. ამის ნათელი მაგალითია ევროკავშირის ქვეყნების მიგრაციულ პოლიტიკაში დღეს მიმდინარე ცვლილებები, როცა საერთაშორისო შეთანხმებებითა და სამართლებრივი აქტებით დადგენილი ნორმების დაცვის მცდელობის პარალელურად ხდება მიგრაციის მარეგულირებელი ნორმების გამკაცრება კონკრეტული ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეფექტიანი მიგრაციული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება არ არის ადვილი ამოცანა. როგორც წესი, მიმღები და დონორი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესები ხშირად წინააღმდეგობრივი და რთულად შესათავსებელია. უფრო მეტიც, თვით ქვეყნის შიგნით მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს მიგრაციული ნაკადების რეგულირების მიმართ, შესაძლოა, განსხვავებული დამოკიდებულება და ინტერესები ჰქონდეთ. მაგალითად, ეროვნულ შრომის ბაზარზე უცხოური სამუშაო ძალის დაშვების აკრძალვა ან შეზღუდვა შესაძლოა, შეესაბამებოდეს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისა და სახელმწიფოს ინტერესებს, მაგრამ არ აწყობდეთ ადგილობრივ დამსაქმებლებს, რომლებიც შრომითი იმიგრანტების სახით იაფ სამუშაო ძალას ღებულობენ. სწორედ მსგავსი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა საქარ-

თველო შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას.

2014 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საიმიგრაციო კანონმდებლობა ჰქონდა, რომლის თანახმად უვიზო რეჟიმი მოქმედებდა მსოფლიოს 118 ქვეყანასთან, უცხოელს საქართველოში შემოსვლის ვიზის აღება შეეძლო უშუალოდ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზეც, უცხოელის ქვეყანაში უვიზოდ ყოფნის ვადა შეადგენდა 360 დღეს წელიწადში და ა.შ. საქართველოს წინა ხელისუფლებას ფაქტობრივად გაცხადებული ჰქონდა „ღია საზღვრის“ პოლიტიკა და ნებისმიერ უცხოელს, გარდა ძებნაში მყოფი კრიმინალებისა და ტერორისტებისა, შეეძლო ქვეყანაში შემოსვლა.

ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავების, ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისა და უვიზო რეჟიმის შემოღების პერსპექტივის კვალობაზე, სულ უფრო აქტუალური გახდა საქართველოში იმიგრაციისა და საქართველოდან ემიგრაციული ნაკადების რეგულირების საჭიროება. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ დააფიქსირა იმიგრაციული პოლიტიკის მოწესრიგების ნება. 2013 წელს მიღებული იქნა „საქართველოს 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგია“, რომლის მიზნად მიგრაციული პროცესების მართვის გაუმჯობესება დაფიქსირდა.¹ მიგრაციული პროცესების ეფექტურად მართვისათვის შეიქმნა მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, რომელშიც გაერთიანდნენ საქართველოში მიგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყებები. 2014 წლის 5 მარტს მიღებული იქნა *საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“*, რომლითაც არსებითად შეიცვალა იმიგრაციის მარეგულირებელი ნორმები. კერძოდ, თუ ადრე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში

¹ საქართველოს მიგრაციის სტრატეგია (2013-2015). პუნქტი 2.1.

უვიზოდ შემოსული უცხოელის ქვეყანაში ყოფნის ვადა შეადგენდა 360 დღეს წელიწადში, ახალი კანონით ეს ვადა 180 დღის განმავლობაში 90 დღემდე შემცირდა; გაუქმდა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე ვიზის აღების შესაძლებლობა; ვიზის გაცემის უფლებამოსილება მიენიჭა მხოლოდ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებს და მხოლოდ ცალკეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საზღვარზე - შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს; განისაზღვრა ქვეყანაში უცხოელთა ლეგალურად შემოსვლასა და ყოფნაზე კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანო - შსს მიგრაციის დეპარტამენტი; დაზუსტდა ქვეყანაში უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა კანონიერად ყოფნის საფუძვლები; ვიზის არსებულ კატეგორიებს დაემატა საიმიგრაციო ვიზა (5 კატეგორია), ხოლო სამსახურებრივი ვიზის კატეგორია შეიცვალა სპეციალური ვიზის კატეგორიით; დაზუსტდა საიმიგრაციო ვიზის გაცემის საფუძვლები. შემოღებული იქნა საიმიგრაციო D1 კატეგორიის ვიზა, რომელიც გაიცემა შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში მომავალ პირებზე, კომპანიებისა და ფირმების წარმომადგენლებსა და კონსულტანტებზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში მომავალ პირებზე და სხვა.¹

ახალმა კანონმა დიდი ემოციური მღელვარება გამოიწვია როგორც ბიზნეს-წრეების, ისე არასამთავრობო სექტორის ნაწილში. ახალი რეგულაციების შემოღების წინააღმდეგ მათი მთავარი არგუმენტი იყო საქართველოში უცხოელი ტურისტებისა და უცხოელი სტუდენტების რაოდენობაზე შესაძლო ნეგატიური გავლენა. დამსაქმებლების ნაწილი კი იაფი უცხოური (ძირითადად ჩინური) სამუშაო ძალის გამოყენების შეზღუდვის საფ-

¹ საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. N2045-III, 05.03.2014.

რთხეს აპროტესტებდა. ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, კანონის ამოქმედებიდან (2014 წლის 1 სექტემბერი) რამდენიმე თვეში, 2015 წლის 8 მაისს კანონში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომელთა შესაბამისად ისევ გამარტივდა საქართველოში შემოსვლისა და ვიზის აღების პროცედურები. კერძოდ, შეტანილი ცვლილების შესაბამისად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საზღვარგარეთ მყოფ უცხოელზე გასცემს ელექტრონულ ვიზას, თუ შესაბამისი სავიზო განაცხადი წარდგენილ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური ვებგვერდის e-VISA PORTAL-ის – მეშვეობით (<https://www.evisa.gov.ge>);¹ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება ვიზის გაცემისათვის ცალკეული მოქმედებების განხორციელება კომერციულ შუამავალს მიანდოს;² მრავალჯერადი მოკლევადიანი ვიზა (90 დღიანი 180 დღიან პერიოდში) გაიცემა 5 წლამდე ვადით; გრძელვადიანი ვიზა გაიცემა მრავალჯერადი შესვლის უფლებით, 90 კალენდარული დღის ან 1 წლის მოქმედებისა და საქართველოში ყოფნის ვადით.³ გრძელვადიანი ვიზა 1 წლის მოქმედების ვადით გაიცემა მხოლოდ D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის გაცემის შემთხვევაში⁴ და სხვ. ამასთან, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის N255 დადგენი-

¹ იქვე, მუხლი 6, პუნქტი 1².

² იქვე, მუხლი 6, პუნქტი 3¹.

³ იქვე, მუხლი 6, პუნქტი 7.

⁴ იქვე, მუხლი 6, პუნქტი 8. D5 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზა გაიცემა პირზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, და მისი ოჯახის წევრებზე (საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. მუხლი 7, პუნქტი 3, ქვეპუნქტი (დ.ე)).

ლებით განისაზღვრა იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და საქართველოში ერთი წლის განმავლობაში უვიზოდ ყოფნა (2016 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ასეთია მსოფლიოს 95 ქვეყანა);¹ გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა შეუძლიათ სამგზავრო დოკუმენტის, ასევე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობის საფუძველზე, რომელშიც აღნიშნულია პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და დატანილია ფოტოსურათი; საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და სრული 1 წლის ვადით უვიზოდ ყოფნის უფლება აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი სპეციალიზებული სააგენტოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტის - ლესე-პასეს (Laissez-Passer) მფლობელ უცხოელებს. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის N256 დადგენილებით განისაზღვრა იმ 50 ქვეყნის ნუსხა, რომლის ვიზის ან/და ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა და ყოფნა ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90 კალენდარული დღის ვადით.² იმ ქვეყნების ჩამონათვალი კი, სადაც საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ცალკეული ქვეყნების შიდა კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ შესვლა, მხოლოდ 24-ია, რომელთაგან 9 - პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, დანარჩენი კი სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და აზიის ნაკლებადგანვითარებული ქვეყნებია (ისრაელის გარდა).³ ანუ

¹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის N255 დადგენილება „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა“.

² საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის N256 დადგენილება „იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა ვიზების ან/და ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელებს შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შესაბამისი ვადითა და პირობებით“.

³ http://migration.commission.ge/index.php?article_id=147&clang=0

დღეისათვის საქართველო „ღიაა“ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მოქალაქეებისთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის კი სხვა ქვეყნებში (განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში) გასვლის შესაძლებლობები მკვეთრად შეზღუდულია. ამ თვალსაზრისით საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედება, რაც უახლოესი პერსპექტივის რეალური შესაძლებლობაა.

მსგავსი მოვლენები განვითარდა საქართველოს შრომითი მიგრაციის კანონმდებლობის შემუშავების პროცესშიც: საქართველოს 2015 წლამდე შრომითი მიგრაციის კანონმდებლობა საერთოდ არ ჰქონდა და მხოლოდ 2015 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“. კანონპროექტის თავდაპირველ ვერსიაში ასახული იყო როგორც შრომითი იმიგრაციის, ისე შრომითი ემიგრაციის მინიმალურად აუცილებელი მარეგულირებელი ნორმები, მაგრამ დამსაქმებლების, ცალკეული ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილის (რომლებიც იზიარებენ დერეგულაციის ნეოლიბერალურ იდეოლოგიას) ზეწოლის შედეგად კანონპროექტიდან ამოღებული იქნა შრომითი იმიგრაციის მარეგულირებელი ნორმები და არსებითად შეიზღუდა სახელმწიფოს მხრიდან შრომითი ემიგრაციის რეგულირების შესაძლებლობებიც.

დღეისათვის „შრომითი მიგრაციის შესახებ“ მოქმედი კანონი განსაზღვრავს შრომითი მიგრაციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს, ამ სფეროში სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელ ორგანოებს და მათ უფლება-მოვალეობებს, არეგულირებს შრომითი ემიგრაციის სფეროსთვის მიკუთვნებულ ურთიერთობებს, რომლებიც პირის (საქართველოს მოქალაქის, საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე

პირის) საქართველოს ფარგლების გარეთ შრომითმოწყობას და მის მიერ ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელებას უკავშირდება.¹ უფრო მარტივად რომ ვთქვათ, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს მხოლოდ შრომითი ემიგრაციის პროცესებს და ისიც ნაწილობრივ. კერძოდ, კანონი ადგენს საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითმოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული და ფიზიკური პირების ვალდებულებებს, შრომითი მოწყობისა და შრომით მოწყობაში დახმარების შესახებ ხელშეკრულებებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, შრომით ემიგრანტსა და უცხოელ დამსაქმებელს შორის საქართველოში დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობებს, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძვლებს და ჯარიმების ოდენობას. საკანონმდებლო რეგულირების მიღმა დარჩა შრომითი იმიგრაციის პროცესები, შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის, არალეგალური ემიგრაციის პრევენციისა და რისკების შემცირების, ლეგალურ კალაპოტში მისი გადაყვანის, შრომითი მიგრაციის ეფექტიანობის ზრდის მხარდამჭერი ღონისძიებები; და ეს მაშინ, როცა საქართველოსთვის უაღრესად აქტუალურია არალეგალური იმიგრანტებისაგან ეროვნული შრომის ბაზრის დაცვის, უმუშევრობის შემცირების, ტრეფიკინგის საფრთხეების² თავიდან აცილების საკითხები.

¹ საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“. N3418-III, 01.04.2015.

² აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ტრეფიკინგის შესახებ 2015 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო ბოლო წლებში განხორციელებული პროგრესის მიუხედავად, შეფასებულია როგორც ქვეყანა, რომელიც, მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად, ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

აღნიშნულის მიუხედავად, „შრომითი მიგრაციის შესახებ“ კანონის მიღება მაინც დადებითად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან ამით საქართველოს რეალობაში პირველად შეიქმნა შრომითი მიგრაციის რეგულირების საკანონმდებლო ბაზა. ამასთან, საქართველოში შრომითი მიგრაციის სფეროში მიმდინარე და მოსალოდნელი ტენდენციებიდან გამომდინარე, სულ უფრო გაიზარდება მისი რეგულირების საჭიროება, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და ინსტიტუციების განვითარებას. კერძოდ, საქართველოში დღეს მოქმედი უაღრესად ლიბერალური იმიგრაციული პოლიტიკის პირობებში რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გავლენით, ასევე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მიმზიდველობის ზრდის კვალობაზე (რასაც განაპირობებს საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილი ეკონომიკური და სოციალური პროექტების განხორციელება), მოსალოდნელია საქართველოში უცხოელთა შემოდინების მატება, მათ შორის დასაქმების მიზნით, რაც გაამწვავებს ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემას და მის თანმდევ ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს; ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების კვალობაზე მოსალოდნელია, ერთი მხრივ, საქართველოდან არალეგალურ შრომით ემიგრაციაში წასვლის მსურველთა მატება (რამეთუ უვიზო რეჟიმი არ ითვალისწინებს ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობას), მეორე მხრივ კი, ევროკავშირში საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების გამო, მათი უკან იძულებით დაბრუნების შემთხვევების გაზრდა. ამიტომ სულ უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს როგორც შრომითი იმიგრაციის, ისე შრომითი ემიგრაციის დარეგულირების საკითხები. კერძოდ, საჭირო იქნება შრომით იმიგრანტთა ნაკადის რეგულირება და მათი უფლებების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, ასევე საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებითი ლეგალური (ცირკუ-

ლარული) დასაქმებისათვის სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის განვითარება და მათი უფლებების დაცვაზე ზრუნვა. შესაბამისად, აუცილებელი გახდება საქართველოში არსებული შრომითი მიგრაციის კანონმდებლობის სრულყოფა როგორც ეროვნული ინტერესების, ისე საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

კანონმდებლობის სრულყოფისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ შრომითი მიგრაციის რეგულირებისას მხოლოდ აკმაღლები და შეზღუდვები არაეფექტიანია. უმჯობესია სამუშაო ძალის იმპორტ-ექსპორტისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ შესაძლებელი გახდეს შრომითი მიგრაციის თანმდევი პოზიტიური პროცესებისა და შედეგების ხელშეწყობა, რათა მიგრაცია მაქსიმალურად ხელსაყრელი იყოს როგორც დონორი, ისე მიმღები ქვეყნებისათვის. ეს კი შესაძლებელია არა მარტო მიგრაციის, არამედ საგარეო ურთიერთობების, განათლების, ეკონომიკის, სოციალურ სფეროებში კარგად გააზრებული, კომპლექსური და მიზანმიმართული პოლიტიკის შემუშავებითა და განხორციელებით. რა თქმა უნდა, ეს არ არის ადვილი ამოცანა, მაგრამ არც მიგრაციული პროცესების თვითდინებაზე მიშვებაა სწორი, მით უფრო ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. აუცილებელია სტიქიურად განვითარებად მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული რისკების ანალიზი და ნეგატიური შედეგების დროული პრევენცია, მიგრაციის იმდაგვარად მართვა, რომ მან დადებითი გავლენა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. არსებითია ასევე საქართველოდან შრომითი ემიგრაციის ლეგალურ კალაპოტში გადაყვანის ხელშეწყობა, შრომითი იმიგრანტების კანონიერი უფლებების დაცვა და მათდამი ჰუმანური, არადისკრიმინაციული დამოკიდებულებისათვის ინსტიტუციური და ეკონომიკური მექანიზმების არსებობა, რაც ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მნიშვნელოვანი წინაპირობაცაა.

შრომითი მიგრაციის პროცესების ეფექტიანი მართვისათვის, კანონმდებლობის განვითარებასთან ერთად, აუცილებელია ასევე ქვეყანაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა. კერძოდ, საჭიროა:

➤ *შრომის ბაზრის ისეთი საინფორმაციო-ანალიტიკური სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციების მონიტორინგსა და პროგნოზირებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.* ამისათვის, საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს შრომის ბაზრის კვლევის მდგრადი ინსტიტუციური სისტემა და შეიქმნას სანდო საინფორმაციო ბაზა სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციების შესახებ. შრომითი მიგრაციის სფეროში ძირითადი (არსებული და პოტენციური) პარტნიორი მიმღები ქვეყნების შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციისა და მოსალოდნელი ტენდენციების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად და მათთან თანამშრომლობის განსავითარებლად, ასევე საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს მოქალაქეების უფლებების დასაცავად მიზანშეწონილია ამ ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში ე.წ. „შრომითი ატაშეს“ ინსტიტუტის შემოღება/ამოქმედება.

➤ *ეფექტიანად ფუნქციონირებადი დასაქმების სახელმწიფო სამსახურის არსებობა, რომელიც სამუშაოს მაძიებლებს (მათ შორის, უცხოელებს და დაბრუნებულ მიგრანტებს) შესთავაზებს პროფესიული კონსულტაციისა და დასაქმების სფეროში ხარისხიან მომსახურებას.* საქართველოში დღეს ფუნქციონირებადი ე.წ. „დასაქმების სახელმწიფო სამსახური“, რომელიც დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის სახით ფუნქციონირებს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს შემადგენლობაში, საჭიროებს ფუნდამენტურ რეფორმირებას როგორც ორგანიზაციული, ისე მეთოდური და ადამიანური რესურსების განვითარების მიმართულებით.

➤ *საქართველოში მომუშავე იმიგრანტების შრომითი უფლებების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის არსებობა.* საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში 2015 წელს შექმნილი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი არც ფუნქციურად, არც ტექნიკური აღჭურვილობითა და ადამიანური რესურსებით არ შეესაბამება შრომის ინსპექციის დანიშნულებას და სერიოზულ რეფორმირებას საჭიროებს.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია“¹ და ამ სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა² ითვალისწინებს ღონისძიებების ფართო სპექტრს როგორც ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობის (სავიზო და ბინადრობის პოლიტიკის სრულყოფა, შრომითი მიგრაციის ხელშეწყობა და რეგულირება, ემიგრაციის აღრიცხვის გაუმჯობესება, განათლების სექტორის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა), ისე არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის, მიგრაციის პოტენციალის გამოყენებისა (ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობა, დიასპორისა და ემიგრანტების საინვესტიციო პოტენციალის მობილიზება იმიგრანტთა ინტეგრაციის და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობის) და მიგრაციის მართვის გაუმჯობესების მიმართულებებით. იმედა, რომ ამ ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში მიგრაციის (მათ შორის, შრომითი მიგრაციის) მართვის მდგრადი სისტემის ჩამოყა-

¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება N622 „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. http://migration.commission.ge/files/saqartvelos_2016-2020_ww_migraciis_strategia.pdf

² მიგრაციის სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა. http://migration.commission.ge/files/migraciis_strategiis_2016-2017_ww_samoqmedo_gegma.pdf

ლიბებას და მიგრაციის ეფექტანობის გაზრდას. ამასთან, სასურველი იყო აღნიშნულ დოკუმენტებში უფრო მეტი ყურადღება დათმობოდა შრომითი მიგრაციის რეგულირების საკითხებს და იმ კონკრეტული აქტივობების გაწერას (კანონმდებლობის, საინფორმაციო სისტემის, ინსტიტუციების სრულყოფის მიმართულებებით), რომელთა განხორციელების გარეშე შრომითი მიგრაციის მართვა და ეფექტიანობის გაზრდა მხოლოდ დეკლარირებულ სურვილად დარჩება. ამასთან, საქართველოს შრომითი მიგრაციის პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს მის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს სხვა, პარალელურად მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, პოლიტიკურ პროცესებთან და ქვეყნის განვითარების ერთიანი სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეიძლება არაეფექტიანი აღმოჩნდეს და სარგებლობის ნაცვლად ზიანი მიაყენოს როგორც საქართველოს, ისე პარტნიორი ქვეყნების ინტერესებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). კონვენცია შრომითი მიგრანტების შესახებ (გადასინჯული), 1949წ. (N97); რეკომენდაცია შრომითი მიგრანტების შესახებ (გადასინჯული), 1949წ. (N86)
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). კონვენცია შრომითი მიგრანტების შესახებ (დამატებითი დებულებები), 1975წ. (N143); რეკომენდაცია შრომითი მიგრანტების შესახებ, 1975წ. (N151).
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). მრავალმხრივი საფუძვლები შრომითი მიგრაციის საკითხებში. შრომითი მიგრაციისადმი ადამიანის უფლებების დაცვაზე დამყარებული მიდგომის სარეკომენდაციო ნორმები და სახელმძღვანელო პრინციპები. ILO Decent Work Technical Support Team and Country Office for Eastern Europe and Central Asia, 2010.

- Регулирование международной миграции рабочей силы. <http://bibliotekar.ru/economika-dlya-yuristov/159.htm>
- Воронина Н.А. Миграционная политика России: ретроспектива современных реформ. //Права и современное государственно-правовое регулирование. М., 2007
- საქართველოს მიგრაციის სტრატეგია (2013-2015). 15.03.2013. N59
- საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. N2045-III, 05.03.2014.
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის N255 დადგენილება „იმ ქვეყნების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა“.
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის N256 დადგენილება „იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა ვიზების ან/და ბინადრობის ნებართვების მქონე უცხოელებს შეუძლიათ საქართველოში უვიზოდ შემოსვლა შესაბამისი ვადითა და პირობებით“.
- მიგრაციის სამთავრობო კომისიის მასალები. http://migration.commission.ge/index.php?article_id=147&clang=0
- საქართველოს კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“. N3418-III, 01.04.2015.
- Department of State USA. Trafficking in Persons Report July 2015. <http://www.state.gov/documents/organization/245365.pdf>
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N622 „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ http://migration.commission.ge/files/saqartvelos_2016-2020_ww._migraciis_strategia.pdf
- მიგრაციის სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა. http://migration.commission.ge/files/migraciis_strategiis_2016-2017_ww._samoqmedo_gegma.pdf

State Policy of Labour Migration in Georgia

(Abstract)

Up to 2014 Georgia had one of the most liberal immigration policies in the world, which was based on the actually declared political will to let “everybody” except wanted criminalists and terrorists enter the country. In consequence of such a visa policy the spontaneous immigration processes arose in the country together with related risks.

On the background of enhanced relationship with European Union, signing Association Agreement and the prospect of visa-free policy, it is getting more and more urgent/topical to regulate emigration flows from Georgia. Therefore the Georgian State Authorities started to regulate the immigration policy. Law of Georgia on the Legal Status of Aliens and Stateless Persons was adopted on March 5, 2014. This law established new norms of regulating immigration, as a result of changes in the law on May 8, 2015, the Georgian immigration policy remained very “soft” (liberal).

Georgia didn't have legislation regulating labour migration before 2015 at all. The law “on labour migration” was adopted on April 1, 2015. Norms regulating both labour immigration and labour emigration were reflected in the initial version of the draft law, but due to pressure from part of employers, individual experts and non-governmental organizations the regulatory norms of labour immigration were taken out. In the adopted law rights and responsibilities of the state authorities in the field of labour migration were reflected as well as regulatory norms on activities of legal entities implementing labour emigration. Nevertheless, adopting law “on labour migration” could be assessed positively, as legislative base in the field of labour migration was created in Georgia for the first time.

Proceeding from the challenges in the field of employment in Georgia, regulation of labour migration and enhancing its effectiveness will

remain as a topical challenge at least in the mid-term perspective. Hence, it is necessary to develop the existing labour migration legislation taking into consideration national interests, international norms and standards and economic and social potential of the country. It is also necessary to develop institutions implementing import and export of workforce, relevant data bank, monitoring and impact assessment system, which are still goals that Georgia will aim to achieve in future.

დაბრუნებულ მიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია საქართველოში

ბოლო ხანს სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით მუშავდება მიგრაციული პოლიტიკა, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს კარგად მართული ლეგალური მიგრაციის ფორმირების ხელშეწყობა, მიგრანტთა ფულადი გზავნილების პოტენციალის გაზრდა და შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში გამოყენება.

2015 წლის პირველ ნახევარში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს ერთობლივი კვლევითი პროექტის „მიგრაციის ეკონომიკური და სოციალური სარგებლის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის 6 თვითმმართველ ერთეულში (რუსთავის, ახალციხისა და თელავის თვითმმართველი ქალაქები, ბოლნისისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტები და წნორის ადმინისტრაციულ ერთეული). კვლევის მიზანს წარმოადგენდა შრომით მიგრაციაში მყოფთა და მიგრაციიდან დაბრუნებულ პირთა ეკონომიკური აქტივობის შესაძლებლობების გამოვლენა, შემენილი უნარების შესწავლა, საკუთარი მეურნეობის წამოწყებისათვის მზაობა და ფულადი გზავნილების გამოყენების ინოვაციური მიდგომების ძიება. „თოვლის გუნდის“ მეთოდით გამოიკითხა 360 შინამეურნეობა, მათ შორის, 150 დაბრუნებული შრომითი მიგრანტის ში-

ნამეურნეობა და 210 ისეთი შინამეურნეობა, რომლის წევრი შრომით მიგრაციაშია წასული. ამას გარდა, საკონსულტაციო შეხვედრები შედგა მიგრაციის მართვის სფეროში მონაწილე 60 ექსპერტთან.

ექვსივე თვითმმართველ ერთეულში გამოკითხულ შინამეურნეობათა შორის 45% ოთხსულიანია. გამოკითხული შინამეურნეობების წევრთა 68% ეკონომიკურად აქტიურია. თუმცა აქედან მხოლოდ 40%-ია დასაქმებული. შესაბამისად, შინამეურნეობების წევრთა 87% ფინანსურად არიან დამოკიდებულნი მიგრაციაში მყოფ ოჯახის წევრზე და მიგრანტიანი შინამეურნეობების შემოსავლებშიც მნიშვნელოვანი წილი ფულად გზავნილებს უკავია. გამოკითხულ შინამეურნეობათა საშუალო თვიური შემოსავალი 302 აშშ დოლარია (ფულადი გზავნილების გარეშე).

დაბრუნებულ მიგრანტთა შინამეურნეობების 71%-ისთვის შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ძირითადი წყაროა. 11%-ისთვის კი მნიშვნელოვანია მიგრაციიდან ჩამოტანილი დანაზოგი.

განსხვავებული მდგომარეობაა მიგრანტიანი შინამეურნეობის შემოსავლების სტრუქტურაში. მართალია, შემოსავლების ძირითადი წყარო მიგრანტიანი შინამეურნეობების 42%-ისთვისაც მათი შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვან წყაროდ რჩება მიგრანტთა გზავნილების წილი (შემოსავლების 47%).


დაბრუნებულ მიგრანტთა 55% დასაქმებულია. თუმცა დაბრუნებულ მიგრანტთა 60% (მათ შორის, დასაქმებულების ნაწილიც) ეძებს სამუშაოს. მათი 69% ადგილობრივი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო შრომის ბაზრის საჭიროებებზე ნაკლებად ინფორმირებულია და დასაქმებაში დახმარების მიზნით მხოლოდ ნათესავებსა და მეგობრებს მიმართავენ. ისინი სამუშაოს მოძიების მთავარ სირთულედ ასახელებენ დაბალ ხელფასსა

და არასათანადო სამუშაო პირობებს (60%) და სამუშაო ადგილების არარსებობას (30%). დაბრუნებულთა 40% აღარ ეძებს სამუშაოს. ამ კონტინენტის მხოლოდ 30% არის კმაყოფილი არსებული საქმიანობით, 70%-ს კი სამუშაოს მოძიების იმედი დაკარგული აქვს.

მიგრანტიანი შინამეურნეობების 27%-ში არცერთი წევრი არ არის დასაქმებული, 44%-ში - 1, ხოლო 21%-ში -2 წევრი. უმუშევრობის მთავარ მიზეზად სამუშაო ადგილების არარსებობას (66%) და შრომის დაბალ ანაზღაურებას ასახელებენ (28%).

კვლევით გამოვლინდა, რომ საშუალოთვიური გზავნილის ოდენობა 409 აშშ დოლარს შეადგენს. მიგრანტთა 2/3-ზე მეტი ყოველთვიურად გზავნის ფულს. ფულადი გზავნილები ძირითადად იხარჯება საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და განათლების მიღების მიზნით. მეტად მცირე ნაწილი ხმარდება ბიზნესის დაწყებასა და დანაზოგების შექმნას (დიაგრამა 1).

დიაგრამა N 1




ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობების მესამედი, საერთო ჯამში, გარკვეული ნაწილის დაზოგვას ახერხებს. თუმცა ეს დანაზოგი ხმარდება ავტომანქანის ან უძრავი ქონების შეძენას. როგორც გამოკითხვით ირკვევა, შინამეურნეობების დიდი ნაწილი დანაზოგის არსებობის შემთხვევაშიც კი არ გახსნიდა ბანკში ანაზარს, რაც ფინანსური განათლების სიმწირითა და საბანკო სექტორის მიმართ უნდობლობით აიხსნება.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების ერთ-ერთი მოტივი რესპონდენტთა ნაწილისთვის იყო სამშობლოში ბიზნესის დაწყება, შესაბამისად, ექვსივე თვითმმართველ ერთეულში გამოკითხული შინამეურნეობების 22% ეწევა ბიზნესს. აღნიშნული ბიზნესსუბიექტების თითქმის ნახევარი ვაჭრობაშია ჩართული, 15% საქმიანობს სოფლის მეურნეობის დარგში, 6%-ს აქვს საცხოობი, 4%-ს - სწრაფი კვების ობიექტი, სასადილო და ა.შ. (დიაგრამა 2).

მიგრანტიან შინამეურნეობებს უმეტესწილად არ აქვთ საკმარისი ფინანსები და ნაკლებადაც რისკავენ ბიზნესის დაწყებას, აქედან გამომდინარე, მიგრანტიანი შინამეურნეობების მხოლოდ 17% არის ბიზნესსუბიექტი. მათთან შედარებით, დაბრუნებულ მიგრანტებს დანაზოგიც მეტი აქვთ (მათი უმეტესობა ამიტომაც რისკავს სამშობლოში დაბრუნებას), ასევე დაბრუნებულ მიგრანტებს საზღვარგარეთ უფრო სრულყოფილ საბაზრო გარემოში თავისებური ცოდნა და ზოგადი უნარები აქვთ შეძენილი, შესაბამისად, მათი 27% ეწევა მეწარმეობას.

მიგრანტიანი შინამეურნეობების მხოლოდ ერთი მესამედი ახერხებს შემოსავლების რაღაც ნაწილის დაზოგვას, დაბრუნებული მიგრანტების შინამეურნეობებში კი ინტერვიუერს პასუხობდნენ თავად დაბრუნებული მიგრანტები და მათი თქმით, 36%-იც ახერხებდა გარკვეული ნაწილის დაზოგვას, ხოლო 6% ფულადი გზავნილების მნიშვნელოვან ნაწილსაც კი ზოგავდა.



აქედან გამომდინარე, საკუთარი მეურნეობის წამოსაწყებად გამოკითხული შინამეურნეობების 65% ძირითადად დაეყრდნო საზღვარგარეთ დაგროვილ სახსრებს, შინამეურნეობების მეხუთედმა კი ბანკის კრედიტი გამოიყენა. სამწუხაროდ, მათი საწარმოების ზომა მეტად მცირეა. თითქმის ნახევარში მხოლოდ თავად რესპონდენტი მუშაობს, აღნიშნული საწარმოების 40%-ში დასაქმებულია მხოლოდ 2-4 კაცი.

გამოკითხულ შინამეურნეობებში მოტივაცია - გაზარდონ შემოსავლები და შექმნან შემოსავლის საკუთარი წყარო - დიდია. შინამეურნეობების 60% მზად არის, დანაზოგების არსებობის ან


დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერის შემთხვევაში წამოიწყოს ბიზნესი. მათგან მეოთხედი მიესალმება დონორი ორგანიზაციის მხრიდან გრანტის სახით თანადაფინანსების პირობით ბიზნესის დაწყებას, თუკი თანამონაწილეობა მათი მხრიდან ბიზნესის დასაწყები თანხის 40%-50%-მდე იქნება. თუმცა რესპონდენტთა მესამედზე მეტს ურჩევნია, გრანტი ბიზნესის ღირებულების 100% იყოს. არცთუ მცირე ნაწილია, ვისაც ბიზნეს აქტივობისთვის კონსულტაციები და ტექნიკური დახმარება სჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ სამთავრობო პროგრამაში ფერმერული კოოპერატივების შექმნას სოფლად სიღარიბის აღმოფხვრის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის გაზრდის, კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების ამაღლების გზად თვლიან, ჩვენი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ფულადი გზავნილების მიმღები შინამეურნეობები სიცოცხლისუნარიანი ბიზნეს-ორიენტირებული კოოპერატივების შექმნისთვის, ჯერჯერობით, მზად არ არიან. დონორი ორგანიზაციის მხრიდან გრანტის სახით თანადაფინანსების შემთხვევაშიც კი გამოკითხული შინამეურნეობების 55% არ არის თანახმა, გაერთიანდეს ბიზნესსუბიექტთა ჯგუფში. მხოლოდ მცირე ნაწილი (18%) ხედავს გაერთიანების უპირატესობას და მზადაა შეთავაზება მიიღოს.

ფინანსური ხელშეწყობის და ბიზნესკონსულტაციების გაწევის შემთხვევაში რესპონდენტები დაიწყებდნენ იმ ტიპის საქმიანობას, რაშიც შედარებით მეტი გამოცდილებაც აქვთ და რასაც, მათი აზრით, რეგიონში სიცოცხლისუნარიანობის პოტენციალი გააჩნია. საქმიანობის სახეები მრავალფეროვანია (დიაგრამა 3). ბიზნესის არმქონე შინამეურნეობებსა და ბიზნესსუბიექტებს შორისაც აღმოჩნდნენ ისეთი რესპონდენტები, რომლებსაც, მიუხედავად დონორი ორგანიზაციის ფინანსური დახმარებისა ან ბიზნესტრენინგების შეთავაზებისა, არც ბიზნესის დაწყების და არც

გაფართოების სურვილი არ აქვთ. ბიზნესსუბიექტებთან ინტერ-ვიუს პროცესში გაირკვა უარის მიზეზი- მათ ნამატი წარმოებულ პროდუქციის ან მომსახურების რეალიზაციისთვის სათანადო ბაზარი არ ეგულებათ და წვალებად არ უღირთ წარმოების და მომსახურების გაზრდა. ბიზნესის არმქონეთ კი გამოუცდელობა, წარუმატებლობისა და ვალების დადების შიში აფერხებთ.

დიაგრამა N3



უახლოეს წლებში შინამეურნეობები საკუთარი ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მთავარ პირობად შედავა-თიან კრედიტზე ხელწვდომას ასახელებენ, ამ პირობაზე რესპონ-დენტთა პასუხების 2/3 მოდის. არანაკლებ აფიქრებთ მომხმარე-

ბელთა გაფართოების საკითხი, ახალ ბაზრებზე გასვლის აუცილებლობა და ბიზნესის მართვის ცოდნის გაღრმავება.

დაბრუნებულ მიგრანტებს დაესვათ კითხვა, თუ რა სახის დახმარება იქნებოდა უკეთესი მათი რეინტეგრაციისთვის. **რესპონდენტთა პასუხების 47% მოდის მათთვის სამუშაო ადგილების შექმნის მოთხოვნაზე;** 21%- ბიზნესის განხორციელებისთვის ინფორმაციულ-კონსულტაციურ ხელშეწყობაზე; 14%- პროფესიული გადამზადების უფასო კურსებზე; **10% ითხოვს ფინანსურ დახმარებას ბიზნესის დაწყებისთვის,** ხოლო 5,2%- უფასო სამედიცინო მომსახურებას.

კვლევამ აჩვენა, რომ დაბრუნებული მიგრანტები ნაკლებად არიან ინფორმირებული რეინტეგრაციის პროგრამების თაობაზე. საქართველოში არაერთი სარეინტეგრაციო პროგრამა ხორციელდება, მაგრამ გამოკითხულთა მხოლოდ მეხუთედმა ისარგებლა მათი სერვისით. ბიზნესის დაწყებისა და გაფართოების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული პროგრამების ბენეფიციარების დიდი ნაწილი მიუთითებს გამოყოფილი თანხის სიმცირეზე. ამ პროექტების წარმატებული განხორციელების მიუხედავად, ბენეფიციართა რაოდენობაც ჯერ კიდევ მცირეა და მათი რეინტეგრაციის პროცესიც სუსტად მიმდინარეობს.

დაბრუნებულ მიგრანტთა 22,3%-ს გადაწყვეტილი აქვს კვლავ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა. ემიგრაციული განწყობა საკმაოდ შეინიშნება მიგრანტიან შინამეურნეობებში (13%). რეემიგრაციის გადაწყვეტი მიზეზი სამშობლოში უმუშევრობაა და საზღვარგარეთ მიღებული შრომითი ანაზღაურებით ოჯახის წევრთა დახმარების აუცილებლობაა. რესპონდენტთა მესამედმა დაასახელა საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრებთან გაერთიანების სურვილიც;

იმ დაბრუნებული მიგრანტებიდანაც, ვინც გამოკითხვის მომენტში მუშაობდა, 17%-ს მაინც აქვს განმეორებითი მიგრაციის განზრახვა.

დაბრუნებული მიგრანტების 14%-ს მჭიდრო კავშირი აქვს შენარჩუნებული ყოფილი იმიგრაციის ქვეყნებთან საქმიანი მიზნით (3%) და იქ დარჩენილი ოჯახის წევრებთან ურთიერთობის გამო (11%). 64% ინტერნეტითა და ტელეფონით აგრძელებს კომუნიკაციას ნაცნობ-მეგობრებთან. ასეთი კავშირები, ერთი მხრივ, ახდენს მიგრაციულ განწყობაზე გავლენას, მეორე მხრივ, პლატფორმას ქმნის უცხოეთში ჩამოყალიბებული ქართული დიასპორის წარმომადგენლებისათვის საქართველოში ინვესტიციების განსახორციელებად.

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების, მოწყვლადი ჯგუფებისთვის მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის, პროფესიული მომზადება-გადამზადების, დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მიმართულებით აქტიურად ხორციელდება სამთავრობო, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროგრამები¹, განსაკუთრებით ბოლო წლებში. პროგ-

¹ **დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამები**- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ახალი ინიციატივა - სარეინტეგრაციო პროგრამა; IOM- ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამა **More for More**: “საქართველოსა და ევროკავშირის შორის კარგად მართული მიგრაციის ხელშეწყობა” (GYLA/CIPDD/EU), **ENIGMA**, **TRON III**, IOM-“ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამა **AVRR**”; CIDA- “ინდივიდუალური მხარდაჭერა ქართველი მიგრანტებისთვის **G-PAM**”; GIZ/CIM-“მიგრაციული პოტენციალის გაძლიერება ცირკულარული მიგრაციისა და დიასპორის მობილიზაციის გზით”; მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობის ლტოლვილთა დანიის საბჭოს-DRC მიერ უკვე განხორციელებული პროექტები; ERGEM; TIG-(EU).

სოფლის მეურნეობის განვითარების, ბიზნესის ხელშეწყობის, პროფესიული მომზადება-გადამზადების ხელშეწყობის პროგრამები - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს სხაელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ კომპონენტები; საქართველოს

რამებს საქმიანობის შედეგების შეფასებას და შინამეურნეობების განვითარების სტაბილურობის შეწავლას საფუძვლიანი კვლევა სჭირდება, მათი საქმიანობის, პირობების, პრიორიტეტების, შეფასების და შერჩევის კრიტერიუმების, განხორციელების მექანიზმის, მენტორობისა და მონიტორინგის მექანიზმის დეტალური შესწავლა უნდა გახდეს მიგრაციის მართვის ახალი სქემის შემუშავების წინაპირობა, რაც, საერთო ჯამში, ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში მიგრანტის პოზიტიური მონაწილეობის გაზრდას და სამშობლოში მიგრანტთა რეინტეგრაციას.

მიგრაციის მართვის ახალი სქემა უნდა ეფუძნებოდეს მიგრანტსა და ხელისუფლებას შორის ნდობის განმტკიცებას, რასაც გაამყარებს ხელისუფლების მხრიდან შემდეგი ინტერვენციები:

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამები; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სახელმწიფო პროგრამები; სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს პროგრამა; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ინიციატივა პროფესიული მომზადება-გადამზადების უფასო მოკლევადიან კურსებთან დაკავშირებით; ENPARD-ის პროექტები; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (USAID/REAP) „გენდერულად თანასწორუფლებიანი სოფლის მეურნეობის განვითარების“ პროგრამა; „საქართველოს ტურიზმის სექტორში ჩართული ღარიბი თემების და მიკრო-მეწარმეების შესაძლებლობების გაზრდა“ (WB, ელკანა); BP-„ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის ფარგლებში (CDI4), (CDI SCPX)“; „The Rural Economic Development (RED) Programme for the Southern Regions of Georgia-RED“- (MercyCorps, SDC, DANIDA, NIRAS); „MOLI კახეთში“- (HEKS-EPER, SDC); NEO/MASHAV, EPI, Chemonics, People in Need, CARE International on Caucasus; „*ფინანსური განათლება რეგიონებში*“ - (TBC Bank-*Constanta*); „Diaspora Banking“; *IDEA*; და სხვა.

- ლეგალურად დასაქმებაზე, ცირკულარული და სეზონური მიგრაციის სქემების განვითარებაზე ინტენსიური იმიგრაციის ქვეყნებთან ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების მიღწევა;

- მიმღებ ქვეყანაში სამუშაო ძალაზე დამსაქმებლების მოთხოვნის შესწავლა და საქართველოში ამ მოთხოვნის შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამების შემუშავება პოტენციურ მიგრანტთათვის;

- მიმღებ და დონორ ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმებებია აუცილებელი მიგრანტის კვალიფიკაციისა და დიპლომის აღიარების მიზნით. ეს ხელს შეუწყობს მიგრანტის ცოდნისა და უნარების ამაღლებას. გასათვალისწინებელია, ასევე, სამშობლოში რეინტეგრაციისთვის მიგრანტების მიერ მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმის დანერგვაც (VNFIL);

- მიგრანტთა მიმღებ ქვეყნებთან სოციალური უფლებების შესახებ ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება მთავრობის სამოქმედო გეგმის ნაწილი უნდა გახდეს. შეთანხმების პირობების თანახმად, მიმღები ქვეყანა ვალდებულია, თავისი წვლილი შეიტანოს დასაქმებულის საპენსიო სქემაში მუშაობის ხანგრძლივობის შესაბამისად. ამ საკითხში მისაბამია მოლდოვას გამოცდილება, რომელსაც ხელი აქვს მოწერილი სოციალური შეღავათებისა და დახმარების უზრუნველყოფის შესახებ ევროკავშირის 7 სახელმწიფოსთან (ავსტრია, ბულგარეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, ლუქსემბურგი, პორტუგალია და რუმინეთი) და დსთ-ს ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, რუსეთი, უკრაინა, და უზბეკეთი)¹. თუმცა სამშობლოში დაბრუნებისას პენსიის თანგადატანა პოლიტიკური საკითხია და ძნელი მისაღწევია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე. აქედან გამომდინარე, ალტერნატიული

¹ Opportunities for developing circular migration schemes between Georgia and The EU. Piotr Kazmierkiewicz. CIPDD, GYLA, 2013.

გზაა მიმღებ ქვეყანაში მიგრანტებისთვის ეროვნული სოციალური სადაზღვევო ფონდის შექმნა. მაგალითად, ფილიპინების სოციალური დაცვის სისტემა მოიცავს ნებაყოფლობითი სადაზღვევო პროგრამას შრომითი მიგრანტებისთვის, რომელსაც, ძირითადად მიმღებ ქვეყნებში კურირებენ საელჩოები და საკონსულოები;

- თავისი სამშობლოსადმი მიგრანტის ინტერესის გაძლიერების და ელექტორატთან კავშირების შენარჩუნების მიზნით რამდენიმე ემიგრაციულმა ქვეყანამ შეძლო არჩევნებში მიგრანტების ჩართვა ელექტრონული ხმის მიცემის გზით. ამ მექანიზმის ამოქმედების საჭიროება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც რამდენჯერმე გაუფერდა, მაგრამ საკანონმდებლო მოუზნა-დებლობის, გამჭვირვალობის საფრთხეებისა და დიდი ხარჯების საჭიროების გამო ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა;

ქართულ დიასპორასთან მჭიდრო კავშირის და დიასპორული ორგანიზაციების გაძლიერებას ეხმიანება „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონი (#5301-III, 24.11.2011.), რომელიც შემუშავდა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს პარლამენტის დიასპორის და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ერთობლივი საქმიანობის შედეგად. სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით, 2014 წელს გაცემულია 600-მდე თანამემამულის მოწმობა¹, მაგრამ მოწმობის მიმღებთა სიდიდის კორელაციური კავშირი დიასპორულ ინვესტიციებთან ჯერ არ შესწავლილა და რთული დასადგენიცაა;

ფულადი გზავნილების მოცულობის და მიზნობრიობის კვლევა, შემოდინების არხების შესწავლა უნდა გახდეს მონაწილე

¹ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. www.sda.gov.ge

სუბიექტების ინიციატივების, დაგეგმვისა და განხორციელების მნიშვნელოვანი ნაწილი.

- ფინანსურმა შუამავლებმა რემიტანსის ოფიციალური არხებით გადაგზავნის პოპულარიზაციას უნდა შეუწყონ ხელი, რაც მიგრანტების დაინტერესებასთან ერთად სწრაფი ფულადი გზავნილების სისტემის განვითარებას და, მათ შორის, კონკურენციას განაპირობებს. კონკურენცია, თავის მხრივ, რემიტანსის მომსახურების საკომისიოს შეამცირებს. საქართველოში რემიტანსის გადმორიცხვის საბანკო სისტემის გარდა, ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფულადი გზავნილების მიმღები 54 შპს და ინდემწარმეა დარეგისტრირებული¹, რომელთა უმეტესობა საქმიანობს თბილისში, იმერეთსა და სამეგრელოში. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ფულადი გზავნილების საბანკო სექტორში აკუმულირების მიზნით მიზანშეწონილია გზავნილების სქემის გაფართოება და ბანკომატების ან მობილური ბანკების სერვისის მიწოდება სოფლებში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის. ეს, საბოლოო ჯამში, შეამცირებს გზავნილის მიღების ხარჯებს (მსოფლიო ბანკის 2014 წლის მონაცემებით გადარიცხვის ხარჯები 8%-მდე შემცირდა²), ეკონომიის ტრანსფორმირების შანსი კი დანაზოგში მოიმატებს; აქვე გასათვალისწინებელია ფულადი გზავნილების ხარჯების შემცირების შემაფერხებელი ბარიერი, რასაც წარმოადგენს ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (AML/CFT) შემუშავებული მოთხოვნების დანერგვასთან.

- ემიგრაციული ტიპის ქვეყნებში ფინანსური დაწესებულებები მოუწოდებენ მიგრანტებს, გახსნან საბანკო ანგარიშები და ანაზრები მშობლიურ ბანკებში სხვადასხვა საინტერესო საბან-

¹ საქართველოს ეროვნული ბანკი. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304> Apr., 2015

² Migration and Development Brief 24. <http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/0,,contentMDK:21924020~pagePK:5105988~piPK:360975~theSitePK:214971,00.html> Apr., 2015

ყო პროდუქტის შეთავაზების პირობით: მიგრანტებს სთავაზობენ სადეპოზიტო სერთიფიკატს სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთით, ვიდრე ადგილობრივ მაცხოვრებელს. თუმცა ქართულ რეალობაში ანაზარზე სარგებლის მაღალი განაკვეთით შრომითი მიგრანტის უზრუნველყოფა და ამით ფინანსური ინსტიტუტების დაინტერესება-მოტივირება შესაძლებლობას მოკლებულია, რადგან საქართველოდან ძირითადად არალეგალურად გადიან შრომითი მიგრანტები და, შესაბამისად, მათი იდენტიფიკაცია გართულებულია;

- ანაზრის გახსნის ან სადეპოზიტო სერთიფიკატის შექმნის შემთხვევაში ბანკები მიგრანტს ან მისი ოჯახის წევრს სთავაზობენ შეღავათიანი პირობით გრძელვადიან სესხს, სადეპოზიტო სერთიფიკატით გირაოს უზრუნველყოფასა და სამედიცინო დაზღვევას;

- ვინაიდან მიგრანტთა უმრავლესობას დანაზოგის შექმნის შესაძლებლობა არ აქვს, ფინანსურმა ინსტიტუტებმა იმ მიგრანტებსა და მათ ოჯახებს, რომლესაც ანგარიში აქვს გახსნილი კონკრეტულ საფინანსო დაწესებულებაში და რომლებიც იქვე სტაბილურად იღებენ გზავნილს (არანაკლებ თვეში 500 აშშ დოლარისა), შესთავაზეს გირაოს უზრუნველყოფის გარეშე ბოლო 6-8 თვის მანძილზე გადმოგზავნილი თანხის 80%-მდე მოცულობის სესხი;

- მიგრანტთა მიმღებ ქვეყნებში, სადაც დიასპორა დიდია და უფრო ორგანიზებული, შესაძლებელია, დონორი ქვეყნის ხელისუფლებამ შესთავაზოს მიგრანტებს დიასპორული ობლიგაციების შექმნა გარკვეული პირობებით და უპირატესობებით¹: ობლიგაციის მფლობელს ექნება უფლება, იგი გამოიყენოს ფინანსურ ინსტიტუტებში სესხის გირაოს უზრუნველყოფის სანაცვლოდ; სადეპოზიტო სერთიფიკატის მსგავსად გაასხვისოს, გა-

¹ Migration and Development Brief 24. <http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/0,,contentMDK:21924020~pagePK:5105988~piPK:360975~theSitePK:214971,00.html> Apr., 2015

დასცეს მემკვიდრეობით (პირობების შენარჩუნების შემთხვევაში ისევ მიგრანტზე); გაყიდოს საფონდო ბირჟაზე; შექმნას უსაფრთხო და სტაბილური დანაზოგი, რადგან ამ შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა ალებული; მიმღებ ქვეყანაში გახსნილი ანაზრის სარგებელთან შედარებით მიიღოს მეტი შემოსავალი; მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მშობლიური კუთხის ინფრასტრუქტურულ განვითარებაში.

შედეგად სახელმწიფო ღებულობს გრძელვადიან კრედიტს მოსახლეობისგან. დიასპორული ობლიგაციებით მიღებული მარაგები ძირითადად ხმარდება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ჯანდაცვას, განათლებას. თუმცა დაგეგმილი პროექტები და დიასპორების პრიორიტეტები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც სახელმწიფო ინიციატივის მიმართ უნდობლობას იწვევს.

ობლიგაციების გაცემის წარმატება დამოკიდებულია მიმღებ ქვეყნებში დიპლომატიური მისიების მხრიდან აქტიურ საინფორმაციო კამპანიაზე; იმ ორგანოზე, რომელიც მოახდენს სახელმწიფოს, ეროვნული ბანკისა და დიასპორის დაკავშირებას და, რა თქმა უნდა, აკუმულირებული თანხით დასაფინანსებელი პროექტების მიმზიდველობაზე. დიასპორული ობლიგაციების გაცემით მნიშვნელოვანი დანაზოგები შექმნა ინდოეთმა, ისრაელმა, ჩინეთმა, მექსიკამ.

საინტერესოა მოლდოვას გამოცდილება მიგრანტთა კონტრიბუციით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თაობაზე:

- მოლდოვას ხელისუფლებამ IOM-თან კონსულტაციით 2010 წელს შეიმუშავა პროგრამა PARE 1+1. პროგრამას ახორციელებს მოლდოვას ეკონომიკის სამინისტრო. ბიზნესის დასაწყებად დაინტერესებულ დაბრუნებულ მიგრანტს პროგრამა აძლევს გრანტის სახით (არაუმეტეს 12000 ევრო) ბიზნესის ღირებულების ნახევარს, ხოლო ნახევარი წილით თავად მიგრანტი მონაწილეობს. პროგრამის წარმატებულმა მუშაობამ განაპირობა მისი 2016 წლამდე გაგრძელება.

- მექსიკის ხელისუფლებამ შეძლო დიასპორის წარმატებული წევრების დაინტერესება პროგრამა 3X1-ით. პროგრამის ფარგლებში შექმნილ ფონდში დიასპორის წევრებისგან ყოველ გადმორიცხულ დოლარს ადგილობრივი, ცენტრალური და ფედერალური ბიუჯეტიდან ემატებოდა თითო-თითო დოლარი. მართალია, ფონდში დიდი რაოდენობის თანხა არ გროვდებოდა, მაგრამ ის გათვლილი იყო ადგილობრივი ინფრატსრუქტურის, ჯანდაცვის, განათლების სისტემის გაუმჯობესებისთვის. მაგრამ ფონდის ხარჯვის მიმართულებებისა და დიასპორის პრიორიტეტების შეუსაბამობამ შეიძლება ფონდის კონტრიბუტორებს (სპონსორებს) შორის უკმაყოფილება გამოიწვიოს.

გასათვალისწინებელია რეგიონების მცხოვრებთათვის ფინანსური შუამავლების, ბანკომატის, მობილური ბანკის, ელექტრონული საფულის, საკრედიტო პროდუქტების, სადეპოზიტო სერთიფიკატის, ობლიგაციების, სადეპოზიტო დაზღვევის სიკეთეებისა და სარგებლობის წესების შესახებ ფინანსური განათლების მიწოდების ხარჯების მოცულობა. ამ მხრივ შესაძლებელია *TBC Bank-Constanta-ს ახალი პროექტის „ფინანსური განათლება რეგიონებში“ რესურსის გამოყენება.*

ამრიგად, ფულადი გზავნილების სიდიდისა და მისი მულტიპლიკაციური ეფექტების გათვალისწინებით, სახელმწიფოს არაპირდაპირი ზემოქმედების გარეშე შრომითი მიგრაცია და ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში.

ფულადი გზავნილების ტრანსფორმირება დანაზოგებად და ინვესტიციებად რთული საკითხია, რადგან მისი განმკარგავი ფიზიკური პირია. თუმცა დიდია ფინანსური დაწესებულებების როლი, რომლებიც ამ რესურსების აკუმულირებას მოახდენს და გადაამისამართებს ეროვნულ ეკონომიკაში ინვესტიციებისა და კრედიტის სახით. განსაკუთრებული პირობების შეთავაზებით უნდა მოხდეს მიგრანტთა დაინტერესება, გახსნან სადეპოზიტო

ანგარიშები სამშობლოში ან განავითარონ მცირე და საშუალო ბიზნესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა. http://eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20National%20Action%20Plan%202015%20-%20Final%20GEO_0.pdf

საქართველოს ეროვნული ბანკი. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>
Apr., 2015

Costs and Benefits of Labour Mobility between the EU and the Eastern Partnership Partner Countries. Lasha Labadze, Mirian Tukhashvili. Country report: Azerbaijan. EuropeAid/130215/C/SER/Multi. CASE, CEU, IZA, Tbilisi, 2012. (Eng., Geo)

Do remittances and social assistance have different impacts on expenditure patterns of recipient households? The Moldovan Case. Jennifer Waidler, Jessica Hager-Zanker Franziska Gassmann and Melissa Siegel. UNU-MERIT Working Papers. Chisinau, 2014.

Enhancing Return to Georgia Operationally – Socio-economic problems of return migration in Georgia. Research report. (performed by TSU Migration Research Centre, under the guidance by Tukhashvili M.), DRC, ICMPD, 2009. (Eng., Geo)

Georgian Diaspora and Migrant Communities in Germany, Greece and Turkey. Transnational realities and ties with Georgia. Enhancing the Role of Georgian Migrants at Home (ERGEM) Project. ICMPD, EU, 2014. (Eng., Geo)

Georgian Diasporas Study. GIZ. 2012.

Maximizing the Development Impact of Remittances. UNCTAD, 2013.

Migration and Development Brief 24. World Bank. <http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/0,,contentMDK:21924020~pagePK:5105988~piPK:360975~theSitePK:214971,00.html> Apr., 2015

Opportunities for developing circular migration schemes between Georgia and The EU. Piotr Kazmierkiewicz. CIPDD, GYLA, 2013. (Eng., Geo)

Options for harnessing emigrants' remittances and savings for the development of the Republic of Moldova. Valeriu Prohnițchi, Adrian Lupușor. Chisinau, 2013.

Natia Chelidze

Doctor of Economics

Socio-Economic Reintegration of Returned Migrants in Georgia

(Abstract)

In the first half of 2015, TSU Migration Research Center conducted a sociological survey within the joint research project of the International Organization for Migration (IOM) and the Swiss Agency for Development and Cooperation “Fostering Economic and Social Benefits of Migration in the South Caucasus” in 6 self-governing units in three different regions of Georgia: Samtskhe-Javakheti, Kakheti, Kvemo Kartli. The study in question aimed to identify the ability for economic activity of persons from Georgia who were in labour migration as well as of returned migrants in the regions, study the skills acquired and the readiness to start their own economies, and to identify innovative approaches for efficient usage of money transfers. 360 households were interviewed using the “snowball” method, among them, 150 were returned migrant workers and 210 households had members in current labour migration. In addition, consultation meetings were held with 60 experts involved in the field of migration management.

Among the households surveyed in all six local self-governing units, up to 45% were four-member households. 68% of the interviewed household members were economically active. However, among them, only 40% were employed. Accordingly, 87% of household members were financially dependent on migrant family members and remittances occupy a significant share of the income of such households. The average household revenue in all six self-governing units constituted USD 302 (excluding current remittances).

According to the survey results, the average amount of money transfers per month was equivalent to USD 409. Over 2/3 of the migrants transfer money on a monthly basis. Remittances are principally expended

on providing the subsistence minimum, improving living conditions and obtaining education. A small share is invested in purchasing real estate, business start-ups and savings.

Overall, a third of the households receiving remittances can afford to allocate a certain amount for savings. However, these savings are used to purchase vehicles and/or real estate. As demonstrated by the survey, a significant part of households would not open a bank account even if they had accumulated savings, which is attributed to the lack of financial education and distrust of the banking sector.

For a part of the respondents, one of the motives for returning from abroad was the prospect of starting a business in the home country; accordingly, 22% of households surveyed in all six self-governing units are engaged in business activity (almost half of the above entrepreneurs was engaged in trade, 15%- in agriculture, 6% runs bakeries, 4%- fast-food restaurants, etc.).

Among the surveyed households, there is considerable motivation to increase revenue and create their own source of income. Sixty percent of the households are prepared to start a business if they have sufficient savings or financial support from donor organisations.

Among both entrepreneurs and households without a business, there were respondents who did not exhibit a desire to start or expand a business, despite financial assistance provided by donor organisations and/or business training offers. The entrepreneur interview process revealed the reason for refusal: they do not surmise a relevant market for the sale of surplus goods and services and consider it disadvantageous to increase production and service provision. Those who did not run a business were deterred by inexperience and the fear of failure and indebtedness.

Two thirds of the surveyed households cite accessibility to preferential credit as the primary condition to maintain the viability of their businesses in the near future. The respondents are no less concerned with the expansion of the consumer base, the necessity to enter new markets, and the need to enhance their business management knowledge.

Returnee migrants were asked about the type of assistance they preferred for reintegration. 47% of respondents' answers focused on the requirement for job creation; 21% highlighted the provision of information

and consulting for business implementation; 14% indicated free of charge vocational training courses; 10% requested financial assistance for business start-up; while 5.2% pointed to medical care at no charge.

The survey demonstrated that the returnee migrants are less informed about the reintegration programs. There were many reintegration programs in progress in Georgia; however, only one fifth of the surveyed respondents benefited from the services provided within the above programs. According to the study results, the majority of beneficiaries of the projects carried out to start-up and expand businesses make reference to the insufficiency of allocated funds. Therefore, in spite of successful implementation of those projects, the number of beneficiaries is still very low and the process of their reintegration remains ineffectual.

As can be seen, there is quite a number of state, international and local organisations active in terms of promoting the development of agriculture, micro and small businesses and vocational re-training for the vulnerable groups, and reintegration of returnee migrants in Georgia, particularly, in the recent few years. The assessment of the activity results within the projects and the study of stability of household development requires a comprehensive research. The detailed understanding and integration of the conditions, priorities, evaluation and selection criteria, as well as implementation, mentoring and monitoring mechanisms of their project activities into returnee reintegration programmes should become a precondition for the development of a new scheme of migration management which will ultimately help increase the migrants' positive participation in the national economy of Georgia and reintegrate the migrants in the home country.

**შრომითი ემიგრაციის გავლენა საქართველოს
დემოგრაფიულ განვითარებაზე პოსტსაბჭოთა
პერიოდში**

**საქართველოს დემოგრაფიული განვითარების თავისებურებანი
პოსტსაბჭოთა პერიოდში**

საქართველოს დემოგრაფიული განვითარება XX საუკუნეში გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობდა. მოსახლეობის ცვლილებას მნიშვნელოვნად განაპირობებდა ის პოლიტიკური კატაკლიზმები და არასტაბილურობა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მთელი ევროპის მოსახლეობაზეც. ესაა მსოფლიო ომები, ეთნოკონფლიქტები და ეკონომიკური კრიზისები. ამ პერიოდში საქართველოში მოსახლეობის აბსოლუტური კლება სამჯერ შეინიშნება: პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1913-1917წწ), როცა მოსახლეობა 263 ათასი კაცით შემცირდა, მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ პერიოდში(1940-1950წწ), როცა მოსახლეობის კლება 196 ათასი კაცი იყო და პოსტსაბჭოთა პერიოდში (1989-2015წწ), როცა საქართველოს მოსახლეობამ 1670.5 ათასი კაცით მოიკლო.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს დემოგრაფიული განვითარება სამი უმნიშვნელოვანესი ტენდენციით ხასიათდება: 1. დეპოპულაცია; 2. მოსახლეობის დაბერების აჩქარება; 3. ინტენსიური ემიგრაცია.

მოსახლეობის აბსოლუტური კლება

მოსახლეობის აბსოლუტური კლება პოსტსაბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული ტენდენციაა, რადგან ბოლო 100 წლის მანძილზე მოსახლეობის შემცირება ასეთი მასშტაბური არასდროს ყოფილა. კლება საქართველოში დღემდე მიმდინარეობს. საქართველოს მოსახლეობის დინამიკის თავისებურება გამოიხატება იმითაც, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში, 2002 წლამდე, ქალაქის მოსახლეობა უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე სოფლისა. ეს განპირობებული იყო ქალაქებიდან უფრო მაღალი ინტენსივობის ემიგრაციით, ვიდრე ეს სოფლებისათვის იყო დამახასიათებელი. თუმცა, ბოლო აღწერათაშორის პერიოდში სოფლის მოსახლეობის მკვეთრი კლება ფიქსირდება. 1989 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ქალაქის მოსახლეობის წილი 55,4% იყო, სოფლისა - 44,6%. 2016 წლისთვის კი ეს თანაფარდობა შეიცვალა. კერძოდ, ქალაქის მოსახლეობის წილი 57,2%-ია, სოფლისა - 42,8%.

ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობის დინამიკა 1900-2016წწ.
(ათასი კაცი)

წელი	1900	1913	1917	1926	1940	1950	1959	1970	1979	1989	2002*	2015
სულ	2109	2601	2338	2666	3612	3494	4044	4686	4993	5400	4371	3729
ქალაქის მოსახლეობა	322	666	423	594	1106	1241	1713	2240	2549	2991	2285	2140
სოფლის მოსახლეობა	1787	1935	1915	2072	2506	2253	2331	2446	2444	2409	2287	1589

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

*ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოსტსაბჭოთა პერიოდში მოსახლეობის შემცირების ძირითადი მიზეზი 1990-იან წლებში საქართველოში მიმდინარე ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია (ომები, ეთნოკონფლიქტები), რომელმაც, თავის მხრივ, გამოიწვია ბუნებრივი მატების მკვეთრი დაცემა და ინტენსიური მუდმივი და შრომითი ემიგრაცია. განხილულ პერიოდში ემიგრაციული კლება ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე ბუნებრივი მატება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ პერიოდში მოსახლეობის შემცირების განმსაზღვრელი ფაქტორი ემიგრაციული პროცესებია.

შობადობა

1980-იან წლებთან შედარებით 1990-იან წლებში საქართველოში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა თითქმის განახევრდა. ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემის, შიგა და გარე ემიგრაციის ზემოქმედებით ინტენსივობის გამო ის განსაკუთრებით შემცირდა სოფლის მოსახლეობაში (თითქმის 2,5-ჯერ). შობადობის კლება შეიმჩნეოდა ქალთა თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. განსაკუთრებით კი- 20-29 წლის ქალებში. ეს, ნაწილობრივ, ქორწინების ასაკის ზრდამაც განაპირობა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში (1989-2015წწ) მამაკაცთა პირველი ქორწინების საშუალო ასაკმა 27-დან 29 წლამდე გადაიწია, ქალთამ 24-დან 25 წლამდე. ბუნებრივია, გაიზარდა ქალთა საშუალო ასაკი როგორც პირველი შვილის დაბადებისას (24-დან 25 წლამდე), ასევე ყოველი შემდეგი ბავშვის დაბადებისას. ზოგადად კი, ბავშვთაშობის საშუალო ასაკმა აღნიშნულ პერიოდში 25,8-დან 26,5 წლამდე მოიმატა, რაც, ერთი მხრივ, ქორწინებათა, მეორე მხრივ, კი დაქორწინებულთა მხრიდან ბავშვთაშობის გადავადებით აიხსნება.

მკვლევართა გამოთვლებით, 1989 წლისათვის საქართველოში შობადობის პოტენციალის რეალიზაციის ხარისხი 36,6% იყო,

1990-იან წლებში შობადობის მკვეთრი დაცემის გამო ეს მაჩვენებელი 5,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ამის გამო ქვეყნის მოსახლეობის მიერ შობადობის პოტენციალი მხოლოდ მეოთხედითდა (25,5%) იყო რეალიზებული¹.

ცხრილი 2. შობადობის მაჩვენებელთა დინამიკა საქართველოში 1990-2013წწ.

	1990	1993	1996	1999	2002	2005	2008	2010	2013
შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (%)	17,1	13,4	11,9	10,9	10,7	10,7	12,9	14,1	12,9
შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი (%)	67,8	47,4	45,8	41,5	40,2	39,6	48,1	53,4	51,1
რეგისტრირებულ ქორწინების-გარეშე დაბადებულ ბავშვთა წილი (%)	18,2	24,6	30,9	36,4	45,9	49,7	34,3	36,6	32,9
პირველი ბავშვის წილი ცოცხლად დაბადებულთა შორის (%)	44,6	52,0	51,6	51,8	53,5	58,8	55,4	49,6	45,3

წყარო: გ. წულაძე. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი-2014. UN-FPA. თბილისი, 2015

განხილულ პერიოდში დაბადებულ ბავშვებში მეტად მაღალი იყო პირველი ბავშვის წილი, დაბადებულთა თითქმის 2/3-ს სწორედ ისინი წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით მაღალი იყო ის 2007 წელს – 60,6%. 2005 წელს შობადობის ჯამობრივმა კოეფი-

¹ მელაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. თბილისი, უნივერსალი, 2007. გვ.39-40.

ციენტმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია (1,39). ეს მაჩვენებელი ასეთი დაბალი არასდროს ყოფილა.

ამასთან, პოსტსაბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი თავისებურებაა რეგისტრირებული ქორწინებისგარეშე შობადობის ზრდაც. 2006 წელს მან მაქსიმალურ დონეს მიაღწია (54,4%). ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვების წილმა შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტის საერთო სიდიდეში 44,7% შეადგინა (2002წ), ნაცვლად 18,1%-ისა 1989 წელს¹.

საბოლოოდ კი, შობადობის შემცირების ხანგრძლივი ტენდენციის შედეგად საქართველოში აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი ჩამოყალიბდა.

ბუნებრივია, შობადობის შემცირების შემაშფოთებელმა ტენდენციამ საქართველოს მოწინავე საზოგადოების ყურადღება მიიქცია და დაიწყო ფიქრი მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე. 2008 წელს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ საზოგადოებას შესთავაზა წინადადება: ყოველი მესამე და შემდგომი შვილი მისი ნათლული გახდებოდა. ამან გარკვეული ზეგავლენა მოახდინა დემოგრაფიულ განწყობაზე.

მეორე მხრივ, ასე თუ ისე მოიმატა ცხოვრების დონემაც. ამოქმედდა გადადებულ დაბადებათა ფაქტორიც. ბავშვთაშობაში შემობრუნების პროცესი დაიწყო. 2008-2015 წლებში დაბადებულთა შორის გაიზარდა მეორე და მესამე შვილის წილი. კერძოდ, 2015 წელს 2007 წელთან შედარებით, მეორე შვილის წილი დაბადებულთა შორის 29%-დან 38%-მდე გაიზარდა, მესამე შვილისა კი – 8%-დან 15,5 %-მდე. სტიმული მიეცა „გადადებულ“ ბავშვთაშობას და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდგომი დემოგრაფიული ტალღის დაწყებას. დემოგრაფიული ზრდისათვის საჭირო რესურსების მატებამ შეანელა დეპოპულაციის პროცესი,

¹ მელაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. თბილისი, უნივერსალი, 2007. გვ.66

რომელიც 1993 წლის შემდგომ აღინიშნებოდა საქართველოში. მოსახლეობის ნულოვანი მატება მცირე, მაგრამ მაინც მზარდი მატებით შეიცვალა. საქართველოს მოსახლეობამ შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმიდან მარტივისკენ დაიწყო სვლა. კერძოდ, თუ 2008 წელს გოგონათა თაობა მხოლოდ 72%-ით ახერხებდა დედათა თაობის ჩანაცვლებას, 2013 წელს ეს მაჩვენებელი უკვე 81%-ია.

ცხრილი 3. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტისა და მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის დინამიკა საქართველოში 1990-2013წწ.

	1990	1993	1996	1999	2002	2005	2008	2010	2013
შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი	2,15	1,54	1,55	1,44	1,42	1,39	1,67	1,83	1,72
მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი	1,015	0,714	0,708	0,665	0,653	0,637	0,718	0,866	0,813

წყარო: გ. წულაძე. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადეული-2014. UN-FPA. თბილისი, 2015.

როგორც აღინიშნა, პოსტსაბჭოთა წინააღმდეგობრივი ტრანსფორმაციის წლებმა, არასტაბილურმა დასაქმებამ და მცირე შემოსავალმა ქალთა რეპროდუქციულ ქცევაზეც იქონია გავლენა, შეცვალა ოჯახში სასურველ ბავშვთა რაოდენობა. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ მათ მიერ თბილისში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევით, 1989 წელს ოჯახში ბავშვების სასურველი რაოდენობა 3,7 ბავშვი იყო, 2007 წელს კი – 2,5 ბავშვი¹. 2009

¹ ლორთქიფანიძე ვ., თოთაძე ა. ერმა ერი უნდა გადაარჩინოს: დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში. თბილისი, უნივერსალი, 2007. გვ.78.

წლისათვის დაოჯახებულ ქალებში ეს მაჩვენებელი 2,4-ია¹. 2005-2007 წლებში სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციების შესწავლამაც აჩვენა, რომ ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა თითქმის ორჯერ ნაკლები იყო ბავშვთა სასურველ რაოდენობაზე². რესპონდენტები ბავშვთაშობის ხელისშემშლელ უმთავრეს მიზეზად ცხოვრების დაბალ დონეს (უმუშევრობა, მცირე შემოსავლები) მიიჩნევდნენ. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებას, რომელთა ანალიზით, 2006-2009 წლებში ქალთა რეპროდუქციული განზრახვის განუხორციელებლობის ძირითადი ფაქტორი ქალთა ასაკი, განათლება და დასაქმება და არა რესპონდენტთა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა³. ასეთი დასკვნა მისაღები იქნებოდა ისეთი ქვეყნისათვის, სადაც დემოგრაფიული განვითარება ამ პერიოდში ევოლუციური გზით მიდიოდა განვითარებული ეკონომიკისა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის პირობებში. მაგრამ იმ ქვეყნისათვის, რომელმაც პოსტსაბჭოთა მრავალმხრივი ღრმა კრიზისის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე 2008 წელს რუსეთთან ომიც გადაიტანა, დემოგრაფიულ ზრდაში ეკონომიკური ფაქტორის იგნორირება, ვფიქრობთ, არასწორ დასკვნებამდე მიგვიყვანს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს დემოეკონომიკური განვითარება მეტად სპეციფიური იყო. ეკონომიკური განვითარების დონით იგი განვითარებადი ქვეყანაა, ხოლო მოსახლეობის

¹ Generations&Gender - Survey in Georgia. II Wave Report. UNFPA. Tbilisi, 2010.

² M.Shelia. Attitude Towards Demographic Behavior in the Period of Economic Crisis in Demographically Aged Georgia. „Social-Economics Problems in Transition Countries”. (collection of Scientific Works, Research Papers and Articles). Tbilisi, 2008. p.14.

³ ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთ დამოკიდებულება საქართველოში. გამოკვლევის მეორე ტალღის ანგარიში (ი.ზადურაშვილი, ე.კაპანაძე, შ.წიკლაური), 2010. გვ.70.

აღწარმოების რეჟიმით მაღალგანვითარებული ქვეყნების გვერდში დგას. ამ სპეციფიკას მიუთითებდნენ ქართველი მკვლევრები¹. ამ თავისებურებიდან გამომდინარეობს, რომ შობადობის შემცირება და, შესაბამისად, მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის მკვეთრი გაუარესება მნიშვნელოვანწილად ინტენსიურმა ემიგრაციულმა პროცესებმა განაპირობა. ზემოაღნიშნული ინტენსივობის ემიგრაციის უმთავრესი მიზეზი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ღრმა ეკონომიკური კრიზისი და არამდგრადი პოლიტიკური ვითარება იყო.

შრომითი ემიგრაციის გავლენა მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე

შრომითი ემიგრაციის ინტენსიურობის შემცირება მნიშვნელოვანი რეზერვია საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის გაუმჯობესების გზაზე. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ახალგაზრდა რეპროდუქციულ ასაკში შესვლა დაიწყო 1990-იან წლებში დაბადებულმა ქალთა შემცირებულმა კონტინენტმა.

2009-2011 წლებში ჩვენი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პრობლემების შესწავლა, რომელიც ე.წ. „ღრმა ინტერვიუს“ მეთოდით წარმოებდა, ითვალისწინებდა ემიგრაციის პერიოდში ემიგრანტთა ქორწინებითი მდგომარეობის, რეპროდუქციული ქცევისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლასაც. კვლევით გამოვლინდა, რომ ემიგრანტთა შორის შობადობა მეტად დაბალია და წლიურად შობადობის ზოგაგი კოეფიციენტი არ აღემატება 2‰-ს. ცხადია, ძნელია მცირე კონტინენტის (204

¹ ფირცხალავა გ. დემოპოლიტოლოგიური გამოკვლევის ძირითადი პასაჟები. ჟ. განათლება, მეცნიერება, ბიზნესი. 1997. IV.

რესპონდენტი) გამოკითხვით მიღებული ინფორმაციის განზოგადება, მაგრამ ზოგადად ის მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს შობადობაზე. ჩვენი შეფასებით, რომელიც ეყრდნობა შრომითი ემიგრაციის აღრიცხვებსა და ექსპერტთა შეფასებებს, ამჟამად, საქართველოდან შრომით ემიგრაციაში მინიმუმ 350000 და მაქსიმუმ 500000-მდე კაცი იმყოფება. მათგან არანაკლებ 43% მაინც ქალია. ეს საქართველოს მუდმივი მოსახლეობის რეპროდუქციულ ქალთა 17%-ია. შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს მხოლოდ საქართველოში სახეზე მყოფ მოსახლეობაზე თუ გავიანგარიშებთ, მისი მნიშვნელობა ოფიციალურ სტატისტიკურ მაჩვენებელზე მეტია.

ცხრილი 4. შობადობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებელთა ცვლილება შრომითი ემიგრაციის გათვალისწინებით 2010 წლისათვის

	ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით	ანალოგიური მაჩვენებლების პირობითი ცვლილება, რომ არ ყოფილიყო შრომითი ემიგრაცია	
		I ვარიანტი (შრომით ემიგრაციაშია 350 ათ. კაცი)	II ვარიანტი (შრომით ემიგრაციაშია 500 ათ. კაცი)
შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი	1,83	2,05	2,12
ბუნებრივი მატება (%-ით)	3,4	5,9	6,5
დაბადებულთა რიცხვი (ათასი კაცი)	62,6	70,2	72,5

მაგალითად, 2010 წლისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, ოფიციალური სტატისტიკით, 1,83-ია. ჩვენი გაანგარიშებით, სახეზე მყოფი მოსახლეობისათვის ის - მაქსიმუმ 2,12 და მინიმუმ 2,053-ია. მამასადამე, თუ შრომითი ემიგრანტი ქალე-

ბი სამშობლოში იქნებოდნენ, დაბადებულთა რიცხვი საქართველოში 62585-ის ნაცვლად მაქსიმუმ 72502 და მინიმუმ 70211 ბავშვი მაინც იქნებოდა, ბუნებრივი მატების მაჩვენებელი კი- 3,4%-ის ნაცვლად მაქსიმუმ 6,5%, მინიმუმ კი- 5,9%ი. აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი 0,87-ის ნაცვლად- 1-ის ტოლი. მაშასადამე, შრომითი ემიგრაციის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ პერიოდში, საქართველოს აღწარმოების რეჟიმი შეკვეცილის ნაცვლად მარტივი მაინც იქნებოდა.

შრომითი ემიგრაცია მძიმე დაღს ასვამს ემიგრანტთა ჯანმრთელობას, რასაკვირველია, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასაც. რესპონდენტთა 87% განაცხადა, რომ გამგზავრებამდე სრულიად ჯანმრთელად გრძნობდა თავს, მათ შორის, ქალთა 84%. ემიგრაციაში ყოფნისას მხოლოდ 55% თვლიდა თავს ჯანმრთელად. ყოველმა მესამემ მიუთითა, რომ მათი ჯანმრთელობა იქ გაუარესდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი რესპონდენტთა 53% თვლის თავს ჯანმრთელად. ემიგრაციულმა ცხოვრებამ ემიგრანტთა თითქმის ნახევარს ჯანმრთელობა შეუწყია. რესპონდენტები მიუთითებდნენ, რომ მძიმე ინტენსიურმა სამუშაო რეჟიმმა, არალეგალური ემიგრაციული ცხოვრების სირთულეებმა მათ ნევროზი დამართა¹.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა ნახევარი უსახსრობის გამო დაბრუნების შემდეგაც ვერ ახერხებს სათანადო მკურნალობას. ამის გამო საქართველო, როგორც დემოგრაფიული, ისე შრომითი პოტენციალის მნიშვნელოვან კლებას განიცდის. მიგვაჩნია, რომ შრომითი ემიგრაციის ინტენსივობის ნორმალიზაციის გარეშე ძნელი იქნება საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის გაუმჯობესების მყარი ტენდენციების დამ-

¹ შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში.თბილისი, უნივერსალი, 2012.

კვიდრება, ადამინური კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ლორთქიფანიძე ვ., თოთაძე ა. ერმა ერი უნდა გადაარჩინოს: დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში. თბილისი, უნივერსალი, 2007.

მელაძე გ. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. თბილისი, უნივერსალი, 2007.

ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთ დამოკიდებულება საქართველოში. გამოკვლევის მეორე ტალღის ანგარიში. (ი.ბადურაშვილი, ე. კაპანაძე, შ. წიკლაური) 2010. P.70.

სულაბერიძე ა. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე. თბილისი, 2007

ფირცხალავა გ. დემოპოლიტოლოგიური გამოკვლევის ძირითადი პასუხები. ჟ. განათლება, მეცნიერება, ბიზნესი. 1997. IV.

შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თბილისი, უნივერსალი, 2012

Shelia M. Attitude Towards Demographic Behavior in the Period of Economic Crisis in Demographically Aged Georgia. „Social-Economics Problems in Transition Countries”. (collection of Scientific Works, Research Papers and Articles). Tbilisi, 2008. p.14.

Mzia Shelia

PhD in Economics

Impact of Labour Migration on the Demographic Development of Georgia in the post-Soviet period

(Abstract)

Demographic development in Georgia in the post-Soviet period had been characterized by three major trends: Depopulation, acceleration of the aging of population and intensive emigration.

The present work discusses the reasons for the changes in the dynamics of Georgia's population in the post-Soviet period and draws the conclusion that labour migration exerts a significant impact on the demographic development of the population. Therefore, there can be observed a considerable reduction both in the demographic as well as in the labour potential of Georgia. Without the normalization of the intensity of emigration, it would be difficult to ensure the stable improvement of reproduction of Georgia's population and of the quality of the human capital as well as the enhancement of the country's economic potential.

მურმან ცარციძე

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი*

შრომის ბაზარი და მიგრაცია საქართველოში

საქართველოში მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირებას, რომელიც პირველ რიგში მოითხოვს სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში მიმდინარე მოვლენების სისტემატურ კვლევას. „ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას როგორც ბიზნეს-გარემოს სრულყოფის, ისე შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების გზით. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობაა“¹. შრომის ბაზრის ფორმირებისა და მისი ფუნქციონირების თავისებურებებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა ჩვენი ქვეყნის რეალურ პრაქტიკაში დღემდე სერიოზულ პრობლემურ საკითხად რჩება, რაზეც არაერთხელ გამოუთქვამთ მოსაზრება ამ სფეროს მკვლევარ ქართველ მეცნიერებს. მათგან

¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2013 წლის 2 აგვისტო, ქ. თბილისი.

ძალზე საყურადღებოა პროფესორ მ. ტუხაშვილის მიერ გაკეთებული დასკვნა, რომ „შრომის ბაზრისა და მიგრაციის მართვა, თავის მხრივ, უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციებსა და შესაბამის პროგრამებს, შრომის ბაზრის ფორმირების შესახებ კომპლექსური ხასიათის მეცნიერულ გამოკვლევებს. ამ მხრივ კი ქვეყანაში უპრეცედენტო, შეუწყნარებელი ვითარებაა, რაც მოკლედ გამოიხატება შემდეგში: არ არსებობს საქართველოს შრომის ბაზრის განვითარებისა და მისი რეგულირების კონცეფცია; არ არსებობს საქართველოს მოსახლეობის მიგრაციის (შიგა, გარე, სტაციონალური, შრომითი, ქანქარისებური) მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია...“¹

პრობლემის კვლევის აქტუალობას განაპირობებს ისიც, რომ სწორედ შრომის ბაზრის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირების შედეგად ხორციელდება მდგრადი ეკონომიკური განვითარების ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა, კერძოდ:

- სტრუქტურული გარდაქმნები ეკონომიკაში, მატერიალურ-ტექნიკური ფაქტორების განვითარება, ინოვაციების დაწერგვა;

- ადამიანური კაპიტალის განვითარება, საზოგადოების წევრთა საერთო და პროფესიული ცოდნის დონის, კულტურის, შემოქმედებითი შესაძლებლობების, მორალური ღირებულებების განვითარება;

- საზოგადოებრივი ურთიერთობების, განსაკუთრებით კი სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარება.

აღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავენ საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველს, მის შინაარსს. სწორედ ამიტომ, რომ

¹ ტუხაშვილი მ. „აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა“, მიგრაცია N2, ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2008, გვ.11.

„შრომის ბაზარი, როგორც ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო, ყოველთვის წარმოადგენდა ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის კვლევის საინტერესო სფეროს“¹.

საქართველოში შრომის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა და ფუნქციონირების თავისებურებანი განსაზღვრულია საერთოდ ქვეყნაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და რიგი ფაქტორებით, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და საერთოდ ეკონომიკურ სტაბილურობაზე. ჩვენი აზრით, მათგან მნიშვნელოვანია შემდეგი:

1. ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ტემპები, სიღარიბის დონე და მასშტაბები. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ქვეყანაში გარკვეული პოზიტიური ძვრები განხორციელდა, უმუშევრობისა და სიღარიბის დამლევა მაინც ვერ მოხერხდა. „სიღარიბის მასშტაბები და სიმწვავე კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება“. UNDP-ის ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 70% სოციალურად ან ეკონომიკურად დაუცველია². აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა ცხოვრობს. 2000-2014 წლებში, აღნიშნული მაჩვენებელი მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ, საშუალოდ 22,3%-ს შეადგენ-

¹ მესხია ი. შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, თბილისი, 2008, ტ.6, გვ.58.

² ათასწლეულების განვითარების მიზნები საქართველოში, ეროვნული ანგარიში, 2014 წელი. მომზადებული საქართველოს მთავრობის მიერ გაეროს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით. UNDP, ეკონომიკური და სოციალური დაუცველობა საქართველოში, 2012, <http://www.ge.undp.org/>

და (ფარდობითი სიღარიბე). 2005 წელს ქვეყნის მოსახლეობის 54.9% სიღარიბის ოფიციალურად დადგენილ ზღვარზე¹ დაბლა ცხოვრობდა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის (437 238 კაცი) წილი (რეგისტრირებული სიღარიბე) მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობასთან (4490500 კაცი) მიმართებაში 2013 წელს 9.7%-ს, ხოლო ზრდასრულ მოსახლეობასთან (15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა) მიმართებაში 14.5%-ს შეადგენდა. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის 5 ნოემბრის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობა 3 713 700 კაცით განისაზღვრა, ხოლო რეგისტრირებული სიღარიბის დონე 11.6%-მდე გაიზარდა.² თუმცა შესამჩნევია, რომ მისი ზრდა ძირითადად მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებითაა გამოწვეული. მართლაც აშკარაა, რომ „ეკონომიკური ზრდით მიღებულმა შედეგმა ვერ უზრუნველყო სიღარიბის დონის მნიშვნელოვანი შემცირება. ბოლო ათწლეულში სიღარიბის მაჩვენებლები თითქმის არ შეცვლილა“³.

სიღარიბის ასეთი დონითა და მასშტაბებით არსებობა საქართველოში განპირობებულია რიგი მიზეზებით, რომელთაგან ძირითადად უნდა გამოვყოთ:

¹ აღნიშნული მაჩვენებელი იანგარიშებოდა 2005 წლის ჩათვლით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გაანგარიშებული საარსებო მინიმუმის საშუალო დონესთან მიმართებაში. www.geostat.ge

² საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის 5-19 ნოემბრის საყოველთაო აღწერის შედეგები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge

³ საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“, 2014 წლის 17 ივნისი, ქ. თბილისი.

- უმუშევრობის მაღალი დონე და მასშტაბები, ქრონიკული უმუშევრობა;
- არაეფექტიანი დასაქმება და ეროვნული მეურნეობის რიგ დარგებში შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე;
- შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის პრობლემები, ხელფასის დაბალი დონე და მისი ძირითადი ფუნქციების შესუსტება;
- შემოსავლების დიფერენციაციის მაღალი დონე;
- ქვეყანაში სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის სისტემის განუვითარებლობა;
- დასაქმებისა და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების რეგულირების მეცნიერულად დასაბუთებული მართვის პრაქტიკისა და საკანონმდებლო ბაზის არარსებობა;
- შრომის ბაზრის ერთიანი ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო სისტემის განუვითარებლობა;
- კადრების მომზადება-გადამზადების ორგანიზაციის დაბალი დონე, რაც შესაბამისად აისახა შრომის ბაზრის კონიუნქტურაზე და სხვა.

2. საქართველოს შრომის ბაზრისათვის განსაკუთრებით ნიშნდობლივია უმუშევრობის მაღალი დონე და ხანგძლივობა. ჩვენი შეფასებით სწორედ ეს უკანასკნელია სიღარიბის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი. ქვეყანაში არსებული ქრონიკული უმუშევრობა არსებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. საექსპერტო შეფასებით, უმუშევრობის დონე საქართველოში 32.0-36.0%-ის ფარგლებშია, ხოლო საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2000-2014 წლებში მისი დონე ქვეყანაში 10.3%-დან (2000 წელი) 12.4%-მდე მერყეობდა (2014 წელი), ხოლო მაქსიმალურ დონეს- 16.9%-ს მან 2009 წელს მიაღწია¹. 2014 წელს, წინა წელთან შედარებით, უმუშევრო-

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge.

ბის დონის შემცირებას (2.2%-ით) თან ახლდა ქვეყნის მოსახლეობის დასაქმებისა და ეკონომიკურად აქტიურობის დონის ზრდა შესაბამისად 1.7% და 0.3%-ით. უმუშევრობის რეალური დონის შეფასებაში ძალზე საინტერესოა ცალკეული სპეციალისტებისა და ექსპერტების დასკვნებიც. მაგალითად, პროფესორი ი.არჩვაძე აღნიშნავს: „სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის რეალური შრომითი რესურსების დასაქმების შესაძლებლობა (პოტენციალი, რესურსი, დონე) შეადგენს მხოლოდ 60.3%-ს, ხოლო უმუშევრობის დონე 39.7%-ს“... „უმუშევართა რაოდენობა საქართველოში 0.3 მლნ კი არა, თითქმის 0.8 მლნ კაცი (ჩვენი შეფასებით, 766.0 ათასი კაცი) იქნება. ეს კი საქართველოს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 39.1%-ია“.¹ ანუ მისი შეფასებით უმუშევრობის დონე 39.0%-40.0%-ის ფარგლებშია.

3. არაეფექტიანი დასაქმება და შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე. უმუშევრობის სფეროში არსებული პრობლემები ადეკვატურ ასახვას პოულობს ქვეყნის მოსახლეობის დასაქმების დონეზე, ხასიათსა და მასშტაბებზე. შრომის ბაზრის ელემენტებისა და განსაკუთრებით საქართველოს მოსახლეობის დასაქმების კომპლექსური ანალიზის შედეგად ჩვენს მიერ გამოვლენილ იქნა აღნიშნულ სფეროში არსებული მდგომარეობა და გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

➤ დასაქმებულთა ხელოვნური ზრდა თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონის გადიდებით, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში;

➤ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმება არასრული სამუშაო დროით;

¹ არჩვაძე ი. შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელ ინდიკატორებზე. მიგრაცია N6, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „უნივერსალი“, თბილისი, 2013, გვ.111, გვ.115.

➤ ფარული უმუშევრობისა და არაფორმალური დასაქმების დიდი მასშტაბები;

➤ მოსახლეობის მაღალი ეკონომიკური აქტივობის პირობებში დასაქმების დაბალი დონე;

➤ პროფესიონალი კადრების გადადინება სხვა სფეროში, მათი დაკავება არაპროფესიული შრომით, რაც გამოწვეულია შრომის ანაზღაურების დაბალი დონითა და სამუშაო ადგილების დეფიციტით;

➤ მომუშავეთა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის გაუარესება;

➤ მეორადი და „ღარიბი“ დასაქმების დიდი მასშტაბები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შრომის მწარმოებლურობის დაცემა და არაეფექტიანი დასაქმება განსაკუთრებით თვალშისაცემია საქართველოსათვის ტრადიციულ დარგშიდ სოფლის მეურნეობაში, რომ არაფერი ითქვას მრეწველობაზე. 1990 წლის ჩათვლით სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 695,0 ათასი კაცი (საერთო დასაქმებულთა – 25,2%). დარგი აწარმოებდა მშპ-ის 29,8%-ს, რაც შეადგენდა 4454,0 მლნ მანეთს¹. 2014 წელს კი მთლიანად ეკონომიკაში დასაქმებული 1745.2 ათასი კაციდან სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 1100.8 ათასი კაცი ანუ 63,1%, რომელმაც აწარმოა მშპ-ის მხოლოდ 11,6% (3378.1/29187.0)². მამასადამე, თუ 2014 წელს, 1990 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა გაიზარდა 25,2%-დან 63,1%-მდე, მშპ-ის მთლიან მოცულობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წონა 29,8%-დან 11,6%-მდე შემცირდა. აღნიშნულიდან გამომდინარე საინტერესოა დასაქმებულთა სტატუსის გარკვევაც. 2014 წელს სულ ეკონომიკაში და-

¹ Tsartsidze Murman. Labour Market Regulation and Employment Policies in Georgia. European Applied Sciences N2/2, 2013. Stuttgart, Germany. p.184.

² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge.

საქმებული მოსახლეობის 60,33% თვითდასაქმებული იყო, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 79,07%-ია თვითდასაქმებული. 2000-2014 წლებში ქალაქის დასაქმებულ მოსახლეობაში თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონა საშუალოდ 31,1%-ია, მაშინ როცა, აღნიშნული მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში საშუალოდ 82,6%-ს შეადგენს.¹ აღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ „საქართველოს მთავარ გამოწვევას უმუშევრობა და თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებლები წარმოადგენს როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში². პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ის, რომ უმუშევრებში მაღალია უმაღლესი განათლების მქონე პირებისა და ახალგაზრდების (სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში უმუშევართა თითქმის 1/3-ს უმაღლესი განათლება აქვს), ასევე ხანგძლივი უმუშევრების წილი. „შერბილებული კრიტერიუმით („იმედგაცრუებული“ პირების ჩათვლით) ხანგრძლივი დროით უმუშევართა წილი უმუშევართა საერთო რაოდენობის - 46,0%-ს შეადგენდა (საქსტატი 2013 წ.), იგივე მაჩვენებელი მკაცრი კრიტერიუმით („იმედგაცრუებულების“ გამოკლებით) 2013 წლებში შესაბამისად 42,1%-ს შეადგენდა“³.

4. შრომის ბაზრის არაფორმალური სექტორისა და არაფორმალური დასაქმების მასშტაბების ზრდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. მასში აქტიურად არის ჩაბმული მოსახლე-

-
- ¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge.
 - ² ათასწლეულების განვითარების მიზნები საქართველოში, ეროვნული ანგარიში, 2014წელი. მომზადებული საქართველოს მთავრობის მიერ გაეროს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით.
 - ³ საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2013 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი.

ობის თითქმის ყველა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი. საექსპერტო შეფასებებითა და მსოფლიო ბანკის გამოკვლევებით, საქართველოში დასაქმებულთა მინიმუმ 32,0% ჩართულია რაიმე სახეობის არაფორმალურ საქმიანობაში. მისთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის, რომ დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის აღნიშნული საქმიანობა საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებაა, ხოლო მცირე ნაწილისათვის-დამოუკიდებლობის გამოვლენის, მოქნილი შრომის რეჟიმით მუშაობის შესაძლებლობის ან სოლიდური შემოსავლების უფრო იოლი გზით მიღების საშუალება.

5. კვალიფიციური კადრების დეფიციტი. თანამედროვე ეტაპზე ეროვნული შრომის ბაზრის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ, სამუშაო ძალაზე მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა მისი კონიუნქტურის შერეული ტიპი. კერძოდ, მასობრივი, ქრონიკული უმუშევრობის პირობებში ადგილი აქვს გარკვეული პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის დეფიციტს, რაც განპირობებულია პროფესიული კადრებისა და სპეციალისტების მომზადება-გადამზადების სათანადო სისტემის არარსებობით. საინტერესოა, რომ საქართველოში კვალიფიციური კადრების დეფიციტი შეინიშნება ეკონომიკური საქმიანობის იმ სფეროებშიც, სადაც შრომის ანაზღაურება შედარებით მაღალია. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის მცდელობა იყო საქართველოში ბოლო პერიოდში გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმები და განსაკუთრებით ათი წლის უკან დაწყებული განათლების სისტემის რეფორმა, რომელიც მთავარ პრიორიტეტად მართლაც არ ყოფილა შემთხვევითი. უმაღლესი და ზოგადი განათლების შესახებ ახალი ქართული კანონები, რომლებიც მიღებულ იქნა 2004-2005 წლებში მიზნად ისახავდა სისტემის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაზრდას და დაახლოებას ევროსტანდარტებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს „შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული და მომავალში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის კომპეტენციების განვითარებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის“.¹

6. თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ეპოქაში საქართველოს შრომის ბაზრის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესები, განსაკუთრებით კი მასობრივი შრომითი მიგრაცია, რომელიც სათანადო ასახვას პოულობს ქვეყნის შრომითი პოტენციალის დინამიკაზე და საერთოდ ეკონომიკურ განვითარებაზე. მართლაც ძნელია არ დაეთანხმო პროფესორ მ. ტუხაშვილის დასკვნას, რომ ქვეყანაში „კრიზისის წლებში უკიდურესად შემცირდა მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობით მიღებული დადებითი ეფექტი და უკიდურესად გაძლიერდა მიგრაციის უარყოფითი ზეგავლენა შრომის ბაზარსა და მთელს ეკონომიკაზე: ეთნოკონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულთა დიდი მასის წარმოქმნამ, ცხოვრების პირობების გაუარესებამ, მასობრივმა მუდმივმა და შრომითმა ემიგრაციამ დიდი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს შრომითი პოტენციალისა და შრომის ბაზრის ფორმირებაზე“.² თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის პრობლემა საქართველოსათვის საბჭოთა პერიოდშიც სერიოზული ყუ-

¹ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N300 „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები) დამტკიცების თაობაზე“, 2013 წლის 26 დეკემბერი, ქ.თბილისი.

² ტუხაშვილი მ. „აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა“, მიგრაცია N2, ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2008, გვ.8,9.

რადღების საგანს წარმოადგენდა. აღნიშნული პრობლემის კვლევის შედეგების განზოგადებისას პროფესორი თ.ზუბიაშვილი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „1979-1992 წლებში საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაცია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ხასიათდება მიგრაციის უარყოფითი სალდოთი, რაც 1989 წლის შემდგომ მეტად ინტენსიური გახდა. რადგან მიგრანტთა შორის ჭარბობდა შრომისუნარიან ასაკში მყოფი მაღალი კვალიფიკაციის მქონე მოსახლეობა, გარე მიგრაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა საქართველოს შრომითი პოტენციალი და გააუარესა მოსახლეობის აღწარმოების ბევრი მაჩვენებელი“.¹ სწორედ 1989 წლის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში დაწყებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ როგორც გარე, ისე შიდა მიგრაციულ პროცესებზე. ქართველ სპეცილისტთა შეფასებით, მასობრივი მიგრაციის პროცესი სწორედ აღნიშნული პერიოდიდან აღინიშნება. „მიგრაციის სოციალურ-დემოგრაფიული კვლევის შედეგები, რომელიც წარმოდგენილ იქნა 1991 წელს თბილისის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევების ინსტიტუტის მიერ, გვიჩვენებს რომ 1990-1996 წლებში იმიგრაცია შეადგენდა 378.1 ათას კაცს, ხოლო ემიგრაცია 1384.4 ათას კაცს. მაშასადამე, აღნიშნულ პერიოდში გარე მიგრაციის შედეგად საქართველომ დაკარგა 1.0 მილიონზე მეტი ადამიანი“ (ცხრილი 1). როგორ ვხედავთ ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაცია 1990-1996 წლებში 295.1 ათასი კაცია, მათ შორის 1996 წელს 12.9 ათასი კაცია, მაშინ როცა შეფასებითი მონაცემების მიხედვით აღნიშნულ პერიოდში ემიგრანტთა რაოდენობა 1384.4 ათასი კაცია, ხოლო, მათ შორის, 1996 წელს 200.0

¹ ზუბიაშვილი თ. მიგრაციული პროცესები საქართველოში სსრკ დაშლის წინა პერიოდში. მიგრაცია N4, ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2010, გვ.178-179.

ათასი კაცი. მკვლევართა განმარტებით გარე მიგრაციული ნაკადებიდან 70%-ს დროებითი, ძირითადად შრომითი მიგრანტები შეადგენენ. თუმცა მათი უდიდესი ნაწილი ერთ-ორ წელზე მეტხანს რჩებიან საზღვარგარეთ და ისინი შეიძლება ჩაითვალოს როგორც განუსაზღვრელი ვადით გასულები. გ.წულაძისა და ნ.მალაფერიძის შეფასებით 1996-1997 წლებში შეინიშნებოდა მიგრაციის უარყოფითი სალდოს სწრაფი შემცირება, რის შემდეგაც იგი სისტემატურად მცირდებოდა 1998-2001 წლებში¹. რაც შეეხება

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაცია 1990-1996 წლებში (ათასი კაცი)

წლები	ოფიციალური მონაცემები ²			შეფასებითი მონაცემები ³		
	ჩამოვიდა	წავიდა	სალდო	ჩამოვიდა	წავიდა	სალდო
1990	20,0	-59,0	_39,0	27,2	-42,9	_15,7
1991	16,6	-60,6	_44,0	20,9	-49,5	_28,6
1992	8,0	-49,6	_41,6	50,0	-305,0	_255
1993	12,6	-42,9	_30,3	74,0	-264,0	_190
1994	12,7	-44,2	_31,5	79,0	-277,0	_198,0
1995	5,7	-25,9	_20,2	70,0	-246,0	_176,0
1996	1,2	-12,9	_11,7	57,0	-200,0	_143,0
1990-1996	76,8	-295,1	_218,3	378,1	-1384,4	_1006,3
1996-2001	2.8	-18.8	-16.0	-	-	-355.8

¹ Г.Г. Меладзе, Б.Н. Кутелия. Внешняя миграция в Грузии, 1996–2001 годы. Xreferat.ru

² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge.

³ Б.Н. Кутелия, Г.Г. Меладзе, Г.Е. Цуладзе. Эмиграция из Грузии в постсоветский период. Массовые опросы, эксперименты, монографические исследования. 2001г. www.nir.ru

ბოლო 5 წლის მონაცემებს მიგრაციის სალდო -21,5 ათასიდან -3,4 ათას კაცამდე მერყეობდა, ხოლო 2009, 2010 და 2011 წლებში დადებითი სალდო იყო დაფიქსირებული შესაბამისად 34.2, 18.1 და 20.2 ათასი კაცი¹.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით კიდევ უფრო საინტერესო მოსაზრებებს აყალიბებენ გ.წულაძე და შ.წიკლაური „1992-2006 წლებში გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ შეფასებითი მონაცემებით 1 127.6 ათასი კაცი შეადგინა, ანუ 1 მილიონს გადააჭარბა“. ამასთან ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „მოცემულ შემთხვევაში შეფასებითი მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ იმიტომ მოგვყავს, რომ ის უფრო სანდოდ მიგვაჩნია, ვიდრე სტატისტიკის დეპარტამენტის შესაბამისი მონაცემები, განსაკუთრებით 2004 წლიდან“ და აკეთებენ ძალზე მნიშვნელოვან დასკვნას, რომ „1992 წლიდან გარე მიგრაცია საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის ფორმირების ძირითად კომპონენტს წარმოადგენს“.² ცალკეული ექსპერტების შეფასებით დღესაც ქვეყნის გარეთ ემიგრაციაში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა ერთ მილიონს აღემატება და ეს პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს ყოველგვარი რეგულირებისა და კონტროლის გარეშე, რაც მნიშვნელოვნად აუარესებს ქვეყნის შრომით პოტენციალს, ვინაიდან ემიგრანტთა უმრავლესობა შრომისუნარიანი, საშუალო ასაკის, მაღალკვალიფიციური სპეცილისტებია. მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების მიხედვით საქართველოში მიგრაციის დონე ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობასთან მიმართებაში საკმაოდ მაღალია. ასე მაგალითად, 2002 წელს საქართველოდან უცხოეთში 1.1 მლნ მოქალაქე გავიდა, რაც

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge.

² წულაძე გ., წიკლაური შ. „გარე მიგრაცია - საქართველოს მოსახლეობის ფორმირების კომპონენტი (1960-2035წწ.)“, მიგრაცია N2, ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2008, გვ. 88, 89.

აღნიშნული პერიოდისათვის ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის (4371500 კაცი) 25,2%-ია. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით ემიგრანტთა დიდი ნაწილი რუსეთზე მოდის, ხოლო საერთო შრომით ემიგრანტთა 40% ქალია. საბერძნეთსა და გერმანიაში გასული შრომითი მიგრანტი ქალების ხვედრითი წილი 70%-ია. შრომით მიგრანტთა 44%-ს უმაღლესი განათლება აქვს. ასევე გამოკვლევების შედეგად ცნობილია, რომ კრიზისის პერიოდში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შედეგად შრომის ბაზარზე მაღალკვალიფიციურ მუშახელზე მოთხოვნის შეკვეცამ განაპირობა მათი გადინება დასავლეთის ბაზარზე. მაგრამ სამწუხაროდ ბევრი მათგანი მიმდებ ქვეყანაში ვერ ახერხებს ადამიანური კაპიტალის სრულ რეალიზაციას და მხოლოდ მათი ნაწილი საქმდება სპეციალობის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ემიგრანტთა უმრავლესობისათვის დასაქმება პროფესიულ-კვალიფიციური თვალსაზრისით არაადეკვატურია და ხშირად იგი გარკვეული კუთხით დისკრიმინაციული ხასიათისაა, ხოლო ნაწილი კი ახერხებს თავისი ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის სრულ რეალიზაციას. მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა შრომითი მიგრაცია არ შეიძლება შეფასდეს ცალსახად უარყოფითად. როგორც პროფ. მ.ტუხაშვილი აღნიშნავს, „შრომით მიგრაციას, როგორც იმიგრაციის, ისე ემიგრაციის ქვეყნებისათვის ბევრ მისთვის დამახასიათებელ უარყოფით მხარეებთან ერთად, უფრო მეტი დადებითი შედეგი აქვს“.¹ ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ემიგრანტთა ფულადი გზავნილები, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ამაღლებას, მთლიანი შიდა პროდუქტისა და ფულადი მასის ზრდას, დანაზოგებისა და მოხმარების ზომის

¹ ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ.113.

გადიდებას, ასტიმულირებს ინვესტიციებს და დადებითად ზემოქმედებს საერთო ეკონომიკური განვითარების პროცესზე. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ფულადი გზავნილები საგარეო დაფინანსების ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ წყაროდ რჩება. საქართველოში ემიგრანტთა ფულადი გზავნილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1 476.2 მლნ აშშ დოლარი 2013 წელს დაფიქსირდა, რაც აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში შემოსული უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობას 56.73%-ით აღემატებოდა (ცხრილი 2).

2014 წელს ფულადი გზავნილების საერთო ოდენობა 1 440.0 მლნ აშშ დოლარამდე, ანუ წინა წელთან შედარებით 2,45%-ით შემცირდა, რაც ძირითადად რუსეთის ფედერაციიდან ფულადი გზავნილების შემცირებამ განაპირობა. კერძოდ, ფულადი გზავნილების მთლიან მასაში ძირითადი წილი 49,25% (709.23 მლნ აშშ დოლარი) სწორედ რუსეთზე მოდის და წინა წელთან შედარებით იგი 11,5%-ითაა შემცირებული. ფულადი გზავნილების ნაკადები ასევე მნიშვნელოვანია საბერძნეთიდან, იტალიიდან, აშშ-დან, თურქეთიდან, უკრაინიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან, ისრაელიდან და აზერბაიჯანიდან. ფულადი გზავნილები წინა წელთან შედარებით გაზრდილია საბერძნეთიდან (მეორე უმსხვილესი წყარო) 3,4%-ით და 2014 წელს 204.78 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა; შემდეგ მოდის იტალია-121.4 მლნ აშშ დოლარით (10,2%-იანი ზრდა); აშშ- 82.0 მლნ აშშ დოლარით (9,6%-იანი ზრდა); თურქეთი- 64.3 მლნ აშშ დოლარით (54,1%-იანი ზრდა); უკრაინა- 30.8 მლნ აშშ დოლარით (32,4%-იანი კლება); ესპანეთი - 28.0 მლნ აშშ დოლარით; გერმანია - 24.2 მლნ აშშ დოლარით; ისრაელი - 23,6 მლნ აშშ დოლარით; აზერბაიჯანი - 17.78 მლნ აშშ დოლარით¹. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში

¹ ფულადი გზავნილები საქართველოში 2014 წელს. civil.ge/geo/article.php.

ზოგიერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებისა და ფულადი გზავნილების დინამიკა საქართველოში 2006-2014 წლებში¹

მაჩვენებლები	2006	2010	2012	2013	2014
მშპ მიმდინარე ფასებით (მლნ ლარი)	13790.0	20743.4	26167.3	26824.9	29187.0
მშპ (მლნ აშშ დოლარი)	7762.0	11636.5	15846.8	16126.4	16528.5
მშპ-ის რეალური ზრდა %-ში წინა წელთან შედარებით	109.4	106.3	106.2	103.3	104.8
მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი)	1763.6	2623.0	3523.4	3599.6	3680.8
სახელმწიფო ბიუჯეტი (მლნ ლარი)	4429.9	5865.8	7560.0	7434.3	8118.9
ემიგრანტების ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი) ²	553.0	1052.28	1334.17	1476.2	1440.0
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1190.4	814.5	911.6	941.9	1272.5
ემიგრანტების ფულადი გზავნილები %-ში მშპ-სთან მიმართებაში	7.12%	9.04%	8.42%	7.43%	8.71%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები %-ში მშპ-სთან მიმართებაში	15.34%	7.0%	5.75%	5.84%	7.7%

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. www.geostat.ge

² საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები. www.nbg.ge

ემიგრანტთა ფულადი გზავნილების მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება და იგი მნიშვნელოვნად აჭარბებს უცხოური ინვესტიციების მოცულობას. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ემიგრანტების ფულადი გზავნილების წილი მშპ-სთან მიმართებაში საშუალოდ 8,4%-ის ფარგლებში მერყეობდა მაშინ, როცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-სთან მიმართებაში აღნიშნულ პერიოდში საშუალოდ 6,57% შეადგენდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გასაკვირი არაა, რომ მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის პრობლემა მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არა მარტო სპეციალისტების, არამედ საზოგადოების, მთავრობის და ეკლესიის მსჯელობის საგანიც კი გახდა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოსახლეობის არაეფექტიანი დასაქმების, მათი შემოსავლების, შესაბამისად ცხოვრების დაბალი დონისა და სიღარიბის არსებობა ქვეყანაში სწორედ მასობრივი ემიგრაციის პრობლემას დაუკავშირა. კერძოდ, იგი ხაზს უსვამს ამ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეს და აღნიშნავს, რომ: „უცხოეთი კარგია, როცა ადამიანი იქ სწავლობს, ცოდნას იძენს, მაგრამ უცხოეთში საცხოვრებლად წასვლა მცირერიცხოვანი ერის გადაგვარებაა! ამიტომ მასობრივი მიგრაცია ძალიან საშიში მოვლენაა ქართველებისათვის!“¹

თამამედროვე პირობებში მიგრაციის პრობლემების დარეგულირების მცდელობა ამ სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული კანონმდებლობა, განსაკუთრებით კი მიგრაციის

¹ ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, საკვირაო ქადაგება. ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“ N11, 711, 20-26 მარტი, 2014.

სტრატეგია¹, რომლის ძირითადი მიზანია „2020 წლისთვის საქართველოში მიგრაციის მართვის ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოებას; ხელს შეუწყობს სხვადასხვა რელიგიური, კულტურული და ეთნიკური ჯგუფების მშვიდობიან თანაცხოვრებას, იმიგრანტთა უფლებების დაცვას დასაზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს სტაბილურ მიგრანტების რეინტეგრაციას, მიგრაციის დადებითი ეკონომიკური და დემოგრაფიული ასპექტების გამოყენებას ქვეყნის განვითარებისთვის და გაზრდის საქართველოს მოქალაქეების ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებს. შესაბამისად მიგრაციული პროცესების მართვა მიჩნეულია ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე.

საქართველოში, თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში მიგრაციის პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვის, კოორდინაციისა და განხორციელებისათვის აუცილებელია სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში რიგი გადაუდებელი ღონისძიების გატარება, პირველ რიგში კი შრომის ბაზრის რეგულირებისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის კარდინალური ცვლილება. კერძოდ, აუცილებელია შრომის ბაზრის ცივილიზებული ინფრასტრუქტურის ფორმირება და განვითარება, მისი ძირითადი ელემენტების (მიწოდება-მოთხოვნის) სისტემური კვლევა და შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტი-

¹ საქართველოს მთავრობის დადგენილება №622 „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, 2015 წლის 14 დეკემბერი, ქ.თბილისი. საქართველოს პარლამენტის კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ N3418, 01.04.2015., ქუთაისი.

რებული პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, საკვირაო ქადაგება. ჟურნალი “საპატრიარქოს უწყებანი” N11, 711, 20-26 მარტი, 2014წელი.

ტუხაშვილი მ. „აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა“, მიგრაცია N2, ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2008.

ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998.

არჩვაძე ი. შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელ ინდიკატორებზე. მიგრაცია N6, ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2013.

ზუბიაშვილი თ. მიგრაციული პროცესები საქართველოში სსრკ დაშლის წინა პერიოდში, მიგრაცია N4, ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2010.

მესხია ი. შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ.6. თბილისი, 2008.

წულაძე გ., წიკლაური შ. „გარე მიგრაცია- საქართველოს მოსახლეობის ფორმირების კომპონენტი (1960-2035წწ.)“, მიგრაცია N2, ი.ჯავახიშვილის სახელობის თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2008.

Tsartsidze Murman. Labour Market Regulation and Employment Policies in Georgia. European Applied Sciences N2/2, 2013. Stuttgart, Germany.

Г.Г. Меладзе, Б.Н. Кутелия. Внешняя миграция в Грузии, 1996–2001 годы. Xreferat.ru

Б.Н. Кутелия, Г.Г. Меладзе, Г.Е. Цуладзе. Эмиграция из Грузии в постсоветский период. Массовые опросы, эксперименты, монографические исследования. 2001г. www.nir.ru

კანონები და ნორმატიული აქტები:

საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“, 2014 წლის 17 ივნისი, ქ.თბილისი.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2013 წლის 2 აგვისტო, ქ.თბილისი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N300 „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები) დამტკიცების თაობაზე“, 2013 წლის 26 დეკემბერი, ქ.თბილისი.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N622 „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, 2015 წლის 14 დეკემბერი, ქ.თბილისი.

საქართველოს პარლამენტის კანონი „შრომითი მიგრაციის შესახებ“ N3418, 2015 წლის 01 აპრილი, ქ.ქუთაისი.

სტატისტიკური ინფორმაცია:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.ge

ათასწლეულების განვითარების მიზნები საქართველოში, ეროვნული ანგარიში, 2014წელი. მომზადებული საქართველოს მთავრობის მიერ გაეროს საქართველოს ოფისის მხარდაჭერით. UNDP, ეკონომიკური და სოციალური დაუცველობა საქართველოში, 2012, <http://www.ge.undp.org/>

Murman Tsartsidze

*Doctor of Economic Sciences, Associate Professor,
Faculty of Economics and Business
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Labor Market and Migration in Georgia

(Abstract)

It will be impossible to reduce poverty and rise living standards of population in the country without formation of modern civilized market environment and its corresponding infrastructure. The leading position in this system belongs to labor market. To be exact, normally functioning labor market must become the basis for the country's economic development, able-bodied population's effective employment, for the improvement of the quality of labor life and living standards in the long run. Thus, in Georgia the great importance is attached to systematic studies of socio-economic problems related to labor market peculiarities and its functioning.

In the epoch of globalization and integration the functioning and development of the Georgian labor market is greatly influenced by migration processes. Thus, in this work the proper attention is paid to the noted problem, particularly to the discussion of the peculiarities of mass labor emigration. The latter directly influences the dynamics of the country's labor potential, general processes of economic development and consequently is reflected in the development of human development and country's population's living standards.

თამაზ ზუბიაშვილი

*ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

ნინო ზუბიაშვილი

*ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა
და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრანტი*

მიგრანტთა განათლების დონე საქართველოში (საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდი)

მოსახლეობის და, მათ შორის, მიგრაციული ნაკადების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი და მნიშვნელოვანი სოციალური მახასიათებელია განათლების დონე. განათლების დონის ამაღლების სურვილი ხშირად მიგრაციის მიზეზი ხდება. მიგრანტთა განათლების დონე საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აღწერებში 1979 წლის აღწერამდე არ აღირიცხებოდა. თუმცა ცალკეული შერჩევითი გამოკვლევები ადასტურებდნენ, რომ დასაქმებული მოსახლეობის განათლების დონე უფრო მაღალია, ვიდრე მთელი მოსახლეობისა; მიგრანტთა განათლების დონეც უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისა.

ვ. ტომინი თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ 1940-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში მოსახლეობის მიგრირებულ ნაწილს უფრო დაბალი განათლების დონე ჰქონდა, ვიდრე მთელ მოსახლეობას, და რომ თავისი სოციალური, პროფესიული და განსაკუთრებით განათლების დონით იგი მკვეთრად განსხვავდება 1960-იანი და 1970-იანი წლების მიგრანტებისაგან.¹

¹ Томин В.П. Уровень образования населения СССР: Финансы и статистика, М., 1981. стр.181.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო მიგრანტთა ინტენსიური გადინება სოფლიდან ქალაქად. მათი განათლების დონე მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე ქალაქის მოსახლეობისა და მაშინ ეს პროცესი ატარებდა უეჭველად პროგრესულ ხასიათს. მიგრაცია ამ წლებში, ერთი მხრივ, აქტიურად უწყობდა ხელს მრეწველობის განვითარებას, მეორე მხრივ კი, ამაღლებდა კულტურულ-ტექნიკურ და განათლების დონეს მოსახლეობის დაბალ ფენებში, აღვიძებდა მათში შემოქმედებით საწყისს, ამდიდრებდა სულიერად.

1960-იანი წლების ბოლოს და, განსაკუთრებით, 1970-იანი წლებში მიგრანტთა ხარისხობრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ წლებიდან მოყოლებული მიგრანტთა განათლების დონე გახდა უფრო მაღალი, ვიდრე სსრკ მთელი მოსახლეობისა. განსაკუთრებით ეს ეხება მიგრანტებს, რომლებიც სოფლიდან ქალაქად გადაადგილდებოდნენ. ეს განაპირობა იმან, რომ დაბალი განათლების და დაბალი პროფესიული მომზადების მქონე მიგრანტთათვის სულ უფრო ძნელი ხდებოდა, ეპოვათ სამუშაო თანამედროვე სამრეწველო წარმოებაში, სადაც დაბალკვალიფიციურთა წილი ყოველწლიურად მცირდებოდა. ამას გარდა, თანამედროვე ტექნიკური განათლების ეტაპზე დაბალი განათლების მქონე მიგრანტთა გადაადგილება სოფლიდან ქალაქად მიზანშეუწონელია და როგორც ვ. სტაროვერცოვი შენიშნავს: „დაბალი კულტურულ-ტექნიკური დონით დიდი რაოდენობის მოსახლეობის გადაადგილება სოფლიდან ქალაქად გარკვეულწილად საზიანოა ქალაქისთვის, რადგან იგი აფერხებს ტექნიკური სამუშაოების მექანიზაციას“.¹

საქართველოში 1970-იანი წლების ეკონომიკური აღმავლობის პერიოდიდან ეკონომიკური პოტენციალის ზრდასთან ერ-

¹ Староверов В.И. Социально-демографические проблемы деревни. М., 1975, стр.199.

თად სისტემატურად, განუხრელად იზრდებოდა რესპუბლიკის განათლების პოტენციალიც. ისტორიულად მცირე პერიოდში საქართველომ არნახული ნახტომი გააკეთა განათლების პოტენციალის ზრდაში. განათლების ტემპების მიხედვით იგი უკვე ერთერთ მოწინავე ადგილზეა. ომისწინა და ომის შემდგომი პერიოდის მთელ მანძილზე საქართველო პირველ ადგილზე იყო განათლების პოტენციალის მხრივ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სწრაფი ზრდა განიცადა განათლების პოტენციალმა როგორც მთელ საქართველოში, ისე მის ცალკეულ რეგიონში. ამ პერიოდში შეიცვალა განსხვავება ქალაქისა და სოფლის განათლების პოტენციალების თანაფარდობაში; შესამჩნევად შემცირდა სოფლის მოსახლეობის განათლების დონის ჩამორჩენა როგორც რესპუბლიკის საშუალო მაჩვენებლებთან, ისე ქალაქის მოსახლეობის მაჩვენებლებთან. ზემოთ აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების ცალკეული სახეების მიხედვით: უმაღლესი, საშუალო სპეციალური, ზოგადი საშუალო განათლების პოტენციალი.

ჩვენს მიერ აღებულ საანალიზო პერიოდში (1979-1991წწ.) სოფლიდან ქალაქად 16 წლის და უფროსი ასაკის მიგრანტთა განათლების დონე მოცემულია ცხრილში №1. როგორც ცხრილიდან ჩანს, აღნიშნული მიმართულების მიგრაციაში მიგრანტთა შორის საკმაოდ ჭარბობდნენ საშუალო განათლების მქონე პირნი. ეს ლოგიკურად ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მთელ მოსახლეობაში საშუალო განათლების მქონე მოსახლეობა ჭარბობს დანარჩენი სხვა დონის განათლების მქონე მოსახლეობას. მიგრაციულ ნაკადში განათლების დონის მიხედვით შემდეგ ადგილებზე მოდიან საშუალო სპეციალური, უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე მიგრანტები.

სოფელსა და ქალაქს შორის 16 წლის და უფროსი ასაკის მიგრანტთა განაწილება განათლების დონის მიხედვით¹ (%)

მიგრანტთა განათლების დონე	1979-1980		1984-1984		1986-1987		1988-1989		1990-1991		1992	
	ჩამოვიდა სოფლიდან ქალაქად	წავიდა ქალაქიდან სოფლად	სოფლიდან ქალაქად	ქალაქიდან სოფლად	სოფლიდან ქალაქად	ქალაქიდან სოფლად	სოფლიდან ქალაქად	ქალაქიდან სოფლად	სოფლიდან ქალაქად	ქალაქიდან სოფლად	სოფლიდან ქალაქად	ქალაქიდან სოფლად
სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100	100
მათ შორის:												
უმალღესი	8,0	11,1	9,7	16,6	10,5	16,8	11,8	17,7	11,8	13,1	11,7	13,1
დაუმთავრ. უმალღესი	9,9	12,2	6,4	3,5	6,1	3,6	3,9	2,4	5,3	1,9	5,3	2,1
საშუალო სპეციალური	21,2	21,1	22,7	26,9	23,3	27,2	21,9	24,5	19,6	21,3	15,4	22,0
ზოგ. საშუალო	49,9	42,6	54,4	43,2	53,4	44,1	57,0	48,6	58,8	55,2	65,0	57,3
არასრული საშუალო	5,6	6,1	4,8	7,1	4,8	5,7	3,8	5,1	3,0	5,9	1,9	4,6
დაწყებითი და დაწყებითამდე	2,0	3,0	1,8	2,5	1,7	2,1	1,6	1,7	1,5	2,6	0,7	0,9
განათლება არ უჭვენა	3,4	3,9	0,2	0,2	0,2	0,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე

ჩვენი აზრით, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების მქონე პირთა აღრიცხვა შეიძლება რამდენადმე უზუსტო იყოს, რადგან მოსახლეობის ამ ჯგუფში შედიოდა სტუდენტთა ის ნაწილი, რომელიც სწავლის პერიოდში (განსაკუთრებით მაღალ კურსებზე) ახდენდა ამოწერას წასვლის ადგილიდან და ეწერებოდა ჩასვლის პუნქტში. აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღნიშნული განათლების დონის მქონე მიგრანტთა ხვედრითი წილი სოფლიდან ქალაქად წასულთა შორის გაცილებით უფრო მაღალი უნდა იყოს. ამ ჯგუფში შედის ასევე ის ნაწილი, რომელთაც სხვადასხვა მიზეზების გამო მიატოვეს სწავლა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლიდან ქალაქში ჩამოსული საშუალო განათლების მქონე მიგრანტთა ხვედრითი წილი ჭარბობს ქალაქიდან სოფლად წასულთა ხვედრით წილს. ეს განპირობებულია იმით, რომ სოფლიდან ქალაქში ჩამოსული საშუალო განათლების მქონე პირნი უკან ბრუნდებიან საშუალო სპეციალური, უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლების დონით, და ცხადია, აღრიცხვის დროს ისინი სხვა განათლების დონის ჯგუფში შედიან. ამიტომ არის, რომ ქალაქიდან სოფლად დაბრუნებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მიგრანტთა ხვედრითი წილი აღემატება სოფლიდან ქალაქად ჩამოსულთა იგივე მაჩვენებლებს.

საანალიზო პერიოდში ქალაქიდან სოფლად მიმართულ მიგრაციაში რამდენადმე გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონე მიგრანტთა ხვედრითი წილი. აღნიშნული ტენდენცია შეიძლება ჩაითვალოს დადებით და სასურველ მოვლენად მაშინდელი საქართველოს სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის.

სოფლიდან ქალაქად მიმართულ მიგრაციულ ნაკადში არასრული საშუალო და დაწყებითი განათლების მქონე მიგრანტთა ხვედრითი წილი უფრო დაბალი მაჩვენებლითაა წარმოდგენილი,

ვიდრე უკუმიგრაციაში, ქალაქიდან სოფლად. ეს განპირობებულია იმით, რომ პენსიაზე გასვლის შემდეგ ბევრი ქალაქის მაცხოვრებელი დაუბრუნდა თავის უწინდელ საცხოვრებელ ადგილს სოფელში. უფროს ასაკობრივ ჯგუფებში კი საკმაოდ მაღალია აღნიშნული განათლების მქონე პირთა რაოდენობა. 1979-1989 წლებში აღწერებს შორის პერიოდში შემცირდა ამ კატეგორიის მიგრანტთა წილი ორივე მიმართულების მიგრაციაში, სოფლიდან ქალაქად და ქალაქიდან სოფლად. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ამ პერიოდში მათი რაოდენობა რესპუბლიკაში შემცირდა 33%-ით.

სოფლიდან ქალაქად მიმართულ მიგრაციაში 1985-1991 წწ-ში 16 წლის და უფროსი ასაკის მიგრანტთა შორის 45%-ს პროცენტს მამაკაცები შეადგენდნენ, 55%-ს - ქალები; 1992 წელს მამაკაცები შეადგენდნენ 35%-ს, ქალები - 65%-ს, ხოლო უკუმიგრაციაში ორივე სქესის თანაბარი რაოდენობაა წარმოდგენილი (ცხრილი 2).

მიგრანტთა შორის სოფლიდან ქალაქად მამაკაცებისა და ქალების თითქმის თანაბარი რაოდენობა ჩადის, რომელთაც აქვთ უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი და არასრული საშუალო განათლება. ზოგადი საშუალო განათლების მქონე ქალები საკმაოდ ჭარბობენ იმავე განათლების მქონე მამაკაცებს, ხოლო უკუმიგრაციაში მათი მაჩვენებლები რამდენადმე უახლოვდება ერთმანეთს. ეს განპირობებულია იმით, რომ ზოგადი საშუალო განათლების მქონე ქალები, რომლებიც იღებენ სხვა დონის განათლებას, საცხოვრებლად რჩებიან ქალაქში. ეს აისახა უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცთა და ქალთა ხვედრითი წილის თანაფარდობაზეც, სადაც ქალაქიდან სოფლად წასული უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცები ჭარბობდნენ შესაბამისი განათლების ქალებს. რაც შეეხება დაწყებითი განათლების მქონე მიგრანტებს, აქ ორივე მიმართულებაში ქალები აშკარად ჭარბობენ მამაკაცებს. ეს განპირობებულია იმით, რომ დაწყებითი განათლება უმეტესად აქვთ უფროსი ასაკის მოსახლეობას, სადაც ქალთა რაოდენობა საკმაოდ ჭარბობს მამაკაცების რაოდენობას.

სოფელსა და ქალაქს შორის 16 წლის და უფროსი ასაკის მიგრანტთა განაწილება
განათლების დონისა და სქესის მიხედვით 1985-1992 წწ.¹ (%)

	1985-1991წწ.				1992წ.			
	ჩამოვიდა სოფლიდან ქალაქად		წავიდა ქალაქიდან სოფლად		წავიდა ქალაქიდან სოფლად		წავიდა ქალაქიდან სოფლად	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
სულ	45,0	55,0	50,0	50,0	35,0	65,0	50,3	49,7
მათ შორის:								
უმალღესი	51,0	49,0	52,1	47,9	48,0	52,0	58,5	41,5
დაუმთავრ. უმალღესი	48,7	51,3	54,2	45,8	50,7	49,3	64,2	35,8
საშუალო სპეციალური	42,0	58,0	45,7	54,3	30,7	69,3	51,3	48,7
ზოგ. საშუალო	44,5	55,5	49,6	50,4	32,7	67,3	48,6	51,4
არასრული საშუალო	52,5	47,5	51,7	48,3	48,8	51,2	42,7	57,3
დაწყებითი და დაწყებითამდე	29,8	70,2	30,8	69,2	33,3	66,7	28,0	72,0
განათლება არ უჩვენა	57,4	42,6	41,4	58,6	-	-	-	-

¹ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის საფუძველზე

განათლების დონეებში მნიშვნელოვანი სხვაობებია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მიგრანტთა შორის. სხვადასხვა ეროვნებების განათლების დონეებში არსებული განსხვავება, როგორც მ.ტუხაშვილი შენიშნავს, „განპირობებულია, ერთი მხრივ, მათი ისტორიულ-კულტურული განვითარების სპეციფიკით, მეორე მხრივ, რელიგიურ-ყოფითი ტრადიციებით“. ამის გამო განათლებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნისას ცალკეულმა ეროვნებებმა განათლებისადმი გამოამყლადენეს არათანაბარი ინერციულობა¹.

გარდა აღნიშნულისა, განათლების დონეებში არსებული განსხვავება გარკვეულწილად განპირობებულია ქალაქის, სოფლის და ცალკეული რეგიონების მოსახლეობის შემადგენლობაში ცალკეულ ეროვნებათა განსხვავებული ხვედრითი წილით.

საანალიზო პერიოდში საქართველოდან რესპუბლიკის გარეთ გადოდა არამკვიდრი მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც განათლების მაღალი პოტენციალით გამოირჩევა. მიგრაციის უარყოფითი სალდო კი განათლების დონეზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორია.

განხილული პერიოდის ბოლოს ცალკეული ეროვნებების განათლების დონეებში არსებული განსხვავება მინიმუმამდეა შემცირებული. მოსახლეობის 1979 და 1989 წლების აღწერებს შორის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ეროვნებების განათლების პოტენციალი, რომელთაც განათლების დონის ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ (ბერძნები, ქურთები, აზერბაიჯანელები). 1979 წელს უმაღლესი განათლება ყოველ ათას კაცზე ბერძენ მოსახლეობაში ჰქონდა 48 კაცს, ქურთებში 10-ს, აზერბაიჯანელებში 27-ს, ხოლო 1989 წელს ამ მაჩვენებლებმა შეადგინა შესაბამისად 104, 25 და 63 კაცი.²

¹ ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი. თბილისი, თსუ, 1998. 212გვ.

² მონაცემები აღებული სტატისტიკური კრებულიდან: საქართველოს მოსახლეობის განათლების დონე, თბილისი, 1991, გვ. 126–129.

უნდა აღინიშნოს, რომ სსრკში ერთი რესპუბლიკის ფარგლებში, სადაც მრავალი ეროვნება ცხოვრობდა, შეუძლებელი იყო განათლების დონის ამაღლების იდეალურად თანაბარი პირობების შექმნა. აქ გარკვეული უპირატესობა აქვთ აბორიგენ მოსახლეობას. ამითაცაა განპირობებული, რომ ხდებოდა სასწავლებლად სომეხთა, რუსთა და აზერბაიჯანელთა ემიგრაცია მათ ეროვნულ რესპუბლიკებში. მათი ნაწილი აღარ დაბრუნდა საქართველოში, რამაც, საბოლოო ჯამში, იმოქმედა ჩვენში ამ ეროვნებათა განათლების დონის საშუალო მაჩვენებლებზე.

ამრიგად, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: სსრკ დაშლის წინა პერიოდში საქართველოს რესპუბლიკას გააჩნდა განათლების მაღალი პოტენციალი. მიგრაციული პროცესების მართვისათვის და რეგულირებისათვის აუცილებელი შეიქმნა მოჭარბებული უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის შემცირება. ეს სწორი პოლიტიკა იყო. ვეღარ ხდებოდა შეძენილი პროფესიის გამოყენება. უმუშევრობის ზრდამ გამოიწვია კადრების განუზომელი სიჭარბე ქვეყანაში. შეიქმნა სოციალური კატასტროფის საფრთხე.

ამრიგად, საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სსრკ დაშლის წინა პერიოდში განათლების დონეებში მიმდინარეობდა რეგიონალური გამოთანაბრების პროცესი, რაც კონკრეტულად გამოიხატებოდა იმაში, რომ მცირდებოდა განსხვავება: ა) სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის განათლების დონეებში; ბ) სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მოსახლეობის განათლების დონეებში; გ) სხვადასხვა ეროვნების განათლების დონეებში. ყოველივე ეს კი ქმნიდა იმის წინაპირობას, რომ მყარი საფუძველი შექმნოდა საქართველოს ტერიტორიაზე საწარმოო ძალთა უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრას, რაც სამწუხაროდ ვეღარ განხორციელდა შემდგომი კატასტროფული მოვლენების განვითარების გამო.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ზუბიაშვილი თ. ურბანიზაციის გავლენა საქართველოს სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიულ განვითარებაზე მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში. შრომების კრებული: ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება. თსუ, 11-12 ოქტომბერი, 2013. გვ. 186-188.
- ზუბიაშვილი თ. მიგრაციული პროცესები საქართველოში სსრკ-ის დაშლის წინა პერიოდში. წიგნში: მიგრაცია №4, გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2010. გვ.174-188.
- ზუბიაშვილი თ. ემიგრაციული პროცესები თბილისში. წიგნში: მიგრაცია №3, გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2009. გვ.61-75.
- გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. გაერო. თბილისი, 1997.
- საქართველოს მოსახლეობის განათლების დონე, თბილისი, 1991.
- ტუხაშვილი მ. შრომითი რესურსების ფორმირება და გამოყენება საქართველოს საშუალო და პატარა ქალაქებში. თბ., 1990. გვ. 91.
- ტუხაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის მიგრაცია. თბილისი, ლამპარი, 1995. 58გვ.
- ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი. თბილისი, თსუ, 1998. 212გვ.
- ჭელიძე ნ. შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოდან. თბილისი, 2006.
- Староверов В. И. Социально-демографические проблемы деревни. М., 1975.
- Томин В. П. Уровень образования населения СССР: Финансы и статистика, М., 1981
- Zubiashvili Tamaz. Educational and Labor Emigration of Youth from Georgia. In the book: Youth Employment: Challenges and Opportunities. The West University of Timisoara, Romania. “Eurostampa”, 2012. pp.317-327.
- Zubiashvili Tamaz. Population Territorial Distribution Processes in Georgia in the Period before the Collapse of the USSR. University of Westminster, Kocaeli University, Silesian University. 2011. pp.161-163.

Tamaz Zubiashvili

*Doctor of Economics, Associate Professor
I. Javakhishvili Tbilisi State University*

Nino Zubiashvili

*MA at Faculty of Economics and Business,
I. Javakhishvili Tbilisi State University*

**MIGRANTS EDUCATION LEVEL IN GEORGIA
(in the period before the dissolution of the Soviet Union)**

(Abstract)

The level of education has always been one of the main indicators and important social characteristics of population and migration flows. This is particularly relevant in the current period, when the scientific and technical progress puts a number of requirements before population and provides necessity for systematic improvement of education level. The reason for migration frequently is a desire to improve an education level.

In the 70-80-ies of the last century the potential of education increased rapidly as a whole in the republic as well as in its separate regions. The difference in the ratio of education potentials between urban and rural areas underwent significant changes in this period; backwardness of the education level among rural population significantly declined as compared with average indicators of the country as well as with the indicators of urban population. In the above-noted period there was a significant increase in separate kinds of education: higher education, specialized secondary education, general secondary education potential.

There are significant differences in education levels among migrants of various ethnic groups. The existing difference in education levels among different ethnic groups is, on the one hand, due to the specificity of their historical and cultural development, and on the other hand, due to their religious and life traditions. In addition to the above-noted, the existing differences in education levels is to some extent due to the different

share of separate ethnic groups in urban and rural population in different regions of the country.

მანანა ლობჯანიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

დიმიტრი ლობჯანიძე*

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

ყარაჩაელთა დეპორტაცია და რაჭველთა და სვანთა ჩასახლება ჩრდილოეთ კავკასიაში მეორე მსოფლიო ომის დროს

საქართველოს ისტორიამ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული არაერთი ორგანიზებული გადასახლება იცის როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე მის გარეთაც. თავისი პრობლემებითა და შედეგებით მეტად დიდ ინტერესს იწვევს მეორე მსოფლიო ომის დროს განხორციელებული საქართველოს მთიანი რეგიონებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობის ჩასახლება.

მთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში სპეციალური წერილი მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ: „ჩვენ ვამბობთ მამა-პაპის ადგილიდან აყრაზე და სხვაგან გახიზვნად მამულების საშოვრად. უმთავრესი მიზეზი ამისთანა მოვლენისა ყველგან ერთი და იგივე ყოფილა: გამრავლება ხალხისა და ვიწროობა ადგილ-მამულისა...”

ამ მოვლენამ ყველაზე უწინ თუ არა, ყველაზე შესამჩნევად მაინც თავი იჩინა რაჭაში: - აყრა, მამულის, ბინის მოშლა და სხვაგან გადასახლება აქ დაიწყო იმ ზომით, რომ შეუძლებელია

* ავტორი უშუალო მონაწილე და აღმნუსხველია ამ მოვლენებისა. იგი სხვა ჩასახლებულებთან ერთად 14 წელი ცხოვრობდა ქლუბორის რაიონში

კაცმა ყური არ ათხოვოს. პირველი შემთხვევა გადასახლებისა მოხდა 1879 წელს. ამ წელიწადს აყრილა და გადასულა ალაგორში მარტო ერთი კაცი ონიდამ. მერე 1880 წლიდამ ეს აყრა და გადასახლება გახშირდა ასე, რომ 1882 წლის დამლევამდე 120 კომლი გადასულა. ამ ცნობების შემკრებელი ამბობს, რომ ასეთი გაძლიერება გადასახლებისა უნდა მიეწეროს სხვათა შორის იმასა, რომ 1882 წელს რაჭაში დიდი მოუსავლობა იყო და შიმშილმა ბევრი აიძულა გადასახლებულიყო.

სად უნდა ვეძებოთ სამუდამო მიზეზი გლეხთა გადასახლებისა რაჭიდან. თუ ეს სამუდამო მიზეზი არ მოისპო, გადასახლება რაჭიდან იმ ზომამდე მიაღწევს, რომ ბოლოს დიდად საზრუნველი საგანი შეიქნება მთავრობისა და საზოგადოებისათვის¹.

მზარდი მოსახლეობისა და ადგილზე ეფექტიანი დასაქმების პირობების უქონლობის გამო მოსახლეობის მიგრაცია რაჭიდან და სვანეთიდან მთელი მე-20 საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა. იყო ორგანიზებული ჩასახლებებიც. ამ მხრივ განსაკუთრებული თავისებურებებით და უარყოფითი შედეგით გამოირჩევა მეორე მსოფლიო ომის დროს დეპორტირებულ ჩრდილოეთ კავკასიელთა ტერიტორიის მიერთება და იქ საქართველოს მთის მოსახლეობის ორგანიზებული ჩასახლება. როგორც მოვლენების შემდგომ განვითარებამ დაადასტურა, მაშინ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილება მიიღო: პოლიტიკური მოსაზრებით, ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ხალხი პირწმინდად აყარა საკუთარი მიწა-წყლიდან და ყაზახეთში, შუა აზიასა და აღმოსავლეთ ციმბირში გადაასახლა. 1943 წლის 12 ოქტომბერს გამოიცა სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება „ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ლიკვიდაციისა და მისი ტერიტორიის ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ“. 1943

¹ ილია ჭავჭავაძე. „მიგრაცია საქართველოდან“, თხზულებები, 1984. გვ. 583-586.

წლის 14 ოქტომბერს კი ხელი მოეწერა სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას „ყაზახეთისა და ყირგიზეთის სსრ-ებში ყარაჩაელთა გადასახლების შესახებ“. ამისათვის მობილიზებული იყო სამხედრო შენაერთები 53327 კაცის ოდენობით. დეპორტაციის გეგმით გათვალისწინებული იყო 62842 სულის გადასახლება, მათგან ზრდასრული მხოლოდ 37429 იყო.

დეპორტაცია დაიწყო 1943 წლის 2 ნოემბერს. გადასახლეს 69267 კაცი, მათ შორის 12500 მამაკაცი, 19444 ქალი, 36670 ბავშვი.¹ ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ტერიტორია გადაანაწილეს. უჩკულისა და მიქოიანის რაიონები საქართველოს მიეკუთვნა. ყარაჩაის ავტონომიური ოლქი საბჭოთა კავშირის რუკიდან გაქრა. ამ სიცარიელის შევსება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ იქართველების ჩასახლებით გადაწყვიტა.

მდინარე ყუბანის სათავეებში ძირითადად სვანები ჩაასახლეს, თებერდის ხეობაში კი - რაჭველები. ასე შეიქმნა კავკასიის ქედს მიღმა ქართული ქლუხორის რაიონი, რომელიც აღმოსავლეთ მთიანეთის საზღვრის ჩრდილოეთით გაფართოებულ ახალხევის რაიონთან ერთად საქართველოს სსრ ფარგლებში მოექცა.

უფრო დეტალურად, მოვლენები ასე განვითარდა: 1943 წლის ნოემბერში, ღამის პირველ საათზე, ყარაჩაის ავტონომიური ოლქის მცხოვრებთა თითოეულ ოჯახში სატვირთო მანქანა გაჩერდა, რომელშიც ორი შეიარაღებული რიგითი და ერთი ოფიცერი იჯდა.

ოფიცრებმა თითოეულ ოჯახს გააცნეს ბრძანება შუა აზიაში გადასახლების შესახებ. გამოუცხადეს, რომ მანქანაზე დაელაგებინათ ყველაფერი, რისი წაღებაც სურდათ ანუ რაც მანქანაზე დაეტეოდა და ყოველგვარი უკმაყოფილების და წინააღმდეგობის

¹ Депортация Карачаевцев. Кавказский узел. 2112012. www.kavkaz-uzel.ru/articles/176142

გარეშე დამორჩილებოდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილ განაჩენს გადასახლების შესახებ.

მთავრობის განკარგულებით, ხალხისაგან დაცლილი ქლუხორის რაიონის სოფლების შევსება რაჭისა და სვანეთის, კერძოდ, ონისა და მესტიის რაიონების მოსახლეობის გადასახლებით გადაწყდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება ჩრდილოეთ კავკასიის, კერძოდ, ქლუხორის რაიონის რამდენიმე სოფელში ნებაცოფლობითი გადასახლების შესახებ, ადგილობრივმა ხელმძღვანელებმა რაიონების და სოფლების მოსახლეობას გააცნეს. ტრანსპორტირების ხარჯებს ადგილობრივი ხელისუფლება იღებდა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, მათგან, ვისაც ნებაცოფლობითი გადასახლების სურვილი ჰქონდა, მთის რაჭის ოთხი სოფელი შეარჩია: ღები, ჭიორა, გლოლა და უწერა.

ზოგი ოჯახი ორად იყოფოდა: ერთი ნაწილი ადგილზე რჩებოდა, მეორე მამაპაპათა ნასახლარს ტოვებდა და უცხო მხარეში მიემგზავრებოდა, მანამდე სახელიც რომ არ სმენიათ. გაურკვეველი იყო, რას მოუტანდა ან წამსვლელს, ან დამრჩენ ოჯახებს ორად გაყოფა და გადასახლება. მგზავრობის პროცესი, რამაც ორ კვირას გასტანა, საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

სოფლები, სადაც საქართველოდან ჩასული მოსახლეობა უნდა დასახლებულიყო, ქლუხორის რაიონს ეკუთვნოდა.

1944 წელს ონისა და მესტიის რაიონებიდან ქლუხორის რაიონის სოფლებში ჩასახლებულთა შესახებ საარქივო მასალების მიხედვით ასეთი სურათია დაფიქსირებული:

ღებში მცხოვრები 1744 კომლიდან ქლუხორის რაიონის სოფელ „ქვემო თებერდაში“, რომელსაც ეწოდა სოფელი „მზისა“, ჩასახლდა 195 ოჯახი, სოფელ ჭიორიდან - 150-მდე ოჯახი, ხოლო სოფელ გლოლადან- 127 ოჯახი.

როგორც საარქივო მასალებშია აღნიშნული, სოფელ უწერიდან 1944 წელს ადგილობრივი 1348 მცხოვრებთაგან სოფლიდან

გასულია 446 ოჯახი. უწერის მოსახლეობის ამ 446 ოჯახის მეორე ნაწილი ჩასახლდა ადიგენის რაიონში.

აქედან ქლუხორის რაიონის სოფელ „კამენამოსტში“, რომელსაც „ახალშენი“ ეწოდა, დასახლდა ამ ხალხის ნაწილი.

მესტიის რაიონიდან გადასახლებული სვანები დასახლდნენ ყუბანის ხეობაში, ნაწილი - სოფელ „უჩქულანში“, რომელსაც ეწოდა „მადნისხევი“, მეორე ნაწილი - სოფელ „კარჯუტში“, რომელსაც ეწოდა „მთისძირი“, ხოლო მესამე ნაწილი - სოფელ „ხურძუკში“, რომელსაც ეწოდა „ზედვაკე“.

1947 წელს ზემოაღნიშნულ ქართულ სოფლებს დაემატა კიდევ ერთი ახალი ქართული სოფელი „ბარი“, სადაც ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ, ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები მთიულები დასახლდნენ.

1944 წლის 4 სექტემბრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის აულებს სახელი გადაერქვა და სასოფლო და სადაბო საბჭოები შეიქმნა¹:

1. აულ „ზემო ტებერდას“- სოფელი „თებერდა“
2. აულ „ქვემო ტებერდას“- სოფელი „მზისა“
3. აულ „კამენამოსტს“- სოფელი „ახალშენი“
4. აულ „უჩქულანს“- სოფელი „მადნისხევი“
5. აულ „კარჯუტს“ – სოფელი „მთისძირი“
6. აულ „ხურძუკს“ –სოფელი „ზედვაკე“

გაერთიანდა ხუტორები: „ლასტორკა“, „მელნიჩნაია“, „ბოინია“, „ტებერდა პირველი“, „ტებერდა მეორე“ და „ტებერდა მესამე“ ერთ სოფლად და ეწოდა სოფელი „ხიდისკარი“.

ქლუხორის რაიონის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია ქართული კულტურის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რასაც

¹ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, 1944წ, 4 სექტემბერი, ქ. თბილისი.

თვალნათლივ ადასტურებს 1946-1947 წლებში ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ, პროფესორ გიორგი გოზალიშვილის ხელმძღვანელობით, ამ რაიონის ტერიტორიაზე ჩატარებული გამოკვლევები.

პროფესორ გ. გოზალიშვილის ვარაუდით, ტოპონიმები „კლუხორი“ და „თებერდა“ ძველი კოლხი ტომების „კულხას“ და „თუბალების“ სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს.

„კლუხორის“ გადასასვლელი კავკასიონის ქედზეა. სახელწოდება წარმოიშვა ძველი ქართული ტომის კოლხებისაგან. ამ სიტყვის საწყისი ფორმა იყო „კოლხოორ“, „კუხოორ“, „კლუხორი“.¹

კლუხორს სახელწოდება რამდენჯერმე შეეცვალა. 1930 წლიდან მას მიქოიან-შახარი ერქვა. 1944 წლიდან 1957 წლამდე კლუხორი. ხოლო ამჟამად ყარაჩაევსკი ჰქვია.

¹ „გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება“, თბილისი, 1965.



საქართველოს სსრ
ქლუხორისა და ახალხევის რაიონები.

უწერელები და ღებელების რამდენიმე ოჯახი რაიონის ცენტრიდან ორი კილომეტრის მოშორებით, მდ. ყუბანის გაღმა-გამოღმა მდებარე სოფელ „კამინამოსტში“ ჩასახლეს. ეს სახელი სოფელს მდინარე ყუბანის გაღმა-გამოღმა ნაპირების შემაერთებული ქვის ხიდის გამო ერქვა. შემდეგ მას სახელი შეეცვალა და „ახალშენი“ ეწოდა.

ღებელები რაიონის ცენტრიდან ოცი კილომეტრის დაშორებით, მდ. თებერდის მარჯვენა ნაპირას, სოფელ ქვემო თებერდაში დასახლდნენ, რომელსაც „მზისა“ ეწოდა, ხოლო ჭიორლებს და გლოველებს ზემო თებერდა ერგოთ საცხოვრებლად.

მესტიის რაიონის სოფლებიდან წამოსულმა სვანებმა საცხოვრებლად ყუბანის ხეობის სოფლები აირჩიეს. სვანების ეს არჩევანი უთუოდ იმან განაპირობა, რომ ეს ადგილები ახლოს არის ზემო სვანეთთან. სოფლებიდან: უჩკულანი, კარჯუტი და ხურძუკი, სადაც მესტიის რაიონის სოფლებიდან წამოსული სვანები დასახლდნენ, ზემო სვანეთიდან ერთი დღის სავალზეა. ამ სოფ-

ლებიდან დილით წასული მუხლმაგარი კაცი საღამოს მესტიაში იქნებოდა. სვანები ამ ტერიტორიულ სიახლოვეს მშობლიურ ადგილებთან მუდმივად იყენებდნენ. სვანები გარდაცვლილ ახლობლებს იქვე როდი კრძალავდნენ, მიცვალებულის ნეშტი ოჯახის წევრებს, ნათესაებს და თანასოფლელებს მთებზე მხრებით გადაჰქონდათ და მშობლიურ სოფლებში მამაპაპურ სასაფლაოზე კრძალავდნენ. ამ ფაქტში მიცვალებულის მიმართ პატივისცემასთან ერთად, მშობლიური კუთხის მიმართ ვაჟასეული დამოკიდებულება მჟღავნდებოდა: „მიწაც ტკბილია მშობლიური, გულს რომ ეყრება ფხვიერი“.

თუმცა ეს გრძნობა არც ქლუხორში მცხოვრები სხვა ქართველებისათვის იყო უცხო, მაგრამ სვანების მსგავსად მათ თავიანთი მიცვალებულების მიმართ ამგვარად ვალის მოხდა იმ საპატიო მიზეზის გამო არ შეეძლოთ, რომ ქლუხორიდან მათი მშობლიური ადგილები ბევრად შორს იყო, ვიდრე სვანეთი.

შემდგომ, როდესაც პოლიტიკური ამინდი შეიცვალა, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, სამშობლოს ღალატისთვის დასჯილი, გადასახლებული ყარაჩაელების პოლიტიკური რეაბილიტაცია მოხდა და ისინი საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნეს. ქართველები იძულებული გახდნენ, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ქლუხორიდან საბოლოოდ წამოსვლისას არაერთმა ქართველმა ოჯახმა, თავიანთი მიცვალებულები გადმოასვენა და მამა-პაპათა საძვალეში დაკრძალა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ოჯახებსა და ადგილობრივ ყარაჩაელებს შორის არათუ კონფლიქტი, უბრალო გაუგებრობაც კი არ ყოფილა. პირიქით, დიდსულოვნად დაუთმეს კარგად მოვლილი და გაკეთილშობილებული კარ-მიდამო და მათ პირადი ნივთების გარდა საქართველოში არაფერი წაუღიათ¹.

¹ დ. ლობჯანიძე „ქართველები ქლუხორში“, გამომცემლობა მერანი, 2006.

ქლუხორის რაიონი დიდებული კუთხეა როგორც მდებარეობით, ისე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებითა და თვალწარმტაცი ბუნებით, მაგრამ როგორც შემდგომი მოვლენების განვითარებამ დაადასტურა, შეცდომა იყო ქართული მოსახლეობის მამაკაპური ისტორიული საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი გადასახლება, თუნდაც ისეთ დიდებულ მხარეში, როგორც ქლუხორის რაიონი იყო, რადგან ამ პროცესებმა დააჩქარა საზღვრისპირა მთის სოფლების მოსახლეობისგან დაცლა.

საქართველოს საზღვრისპირა მთის სოფლებში მცხოვრებლები იმ თავიდან მესაზღვრეები იყვნენ, ისინი ცხოვრობდნენ და სახელმწიფო საზღვრებსაც იცავდნენ როგორც მთის რაჭაში, ისე ხევსურეთში, თუშეთსა და სვანეთში. ბუნებრივია, მათმა მასობრივმა აყრამ ეს ფუნქციაც შეასუსტა.

ყარაჩაელების თავიანთი საცხოვრებლებიდან პირწმინდად, დედაბუდიანად აყრა და სადღაც უცხო ადგილას გადასახლება არაგონივრული ნაბიჯი იყო. რაჭველების და სვანების ჩასახლება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. სამთავრობო გადაწყვეტილებამ მკვეთრად შეიცვალა რეალობა და ამ ცვლილების შედეგად, თოთხმეტი წლის შემდეგ ქართველი მოსახლეობა საქართველოში დაბრუნდა და კიდევ ერთხელ ახლიდან დაიწყო მათთვის მეტად მძიმე და რთული ცხოვრება.

1957 წელს ქლუხორიდან უკან დაბრუნებულები ჩაასახლეს:

1. დედოფლისწყაროს სოფელ მირზაანში;
2. ბოლნისის რაიონის სოფელ რაჭისუბანში;
3. გარდაბნის რაიონის სოფელ ჭანდარაში;
4. თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში;
5. თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში;
6. გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში;
7. გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლებაში;

8. გალის რაიონის სოფელი ჭუბურხინჯში (სვანების ჩასახლება);

9. ზუგდიდში (სვანების ჩასახლება)

უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში ჩასახლებულთა საქართველოში დაბრუნებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ახალ ჩასახლების ადგილებში დემოგრაფიული ვითარება და შრომითი პოტენციალი, თუმცა ეს მოხდა ორჯერ გადასახლებულთა უდიდესი ძალისხმევითა და მორალური ზარალის ხარჯზე.

გამოყენებული ლიტერატურა

გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბილისი, 1965.

ლობჯანიძე დ. „ქართველები ქლუხორში“, გამომცემლობა მერანი, 2006.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, 1944წ, 4 სექტემბერი, ქ. თბილისი.

ჭავჭავაძე ი. „იმიგრაცია საქართველოდან“, თბულებები, 1984. გვ. 583-586.

Депортация Карачаевцев. Кавказский узел.2112012. www.kavkaz-uzel.ru/articles/176142

Полян П. Не по своей воле: История и география принудительных миграций в СССР. О.Г.И- Мемориал. Москва.2001

Manana Lobzhanidze

*Doctor of Economics, Ivane Javakishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business*

Dimitri Lobzhanidze

Member of Writers' House of Georgia

**Deportation of Karachay population and settlement
of Rachians and Svans in northern Caucasus during
World War II.**

(Abstract)

Due to the political situation during World War II Karachay population were exiled in Kazakhstan and in the Middle Asia. These places were used to settle Rachians and Svans from Georgian mountains. Karachay Autonomous Region was split and one part of it was joined to Georgia, toponymy was also changed. Resettlement was associated with many difficulties and migrated people took great pains. After 14 years people from Karachay returned to their land and were rehabilitated. This was followed by settlement of Rachians and Svans in different Georgian regions, which resulted into improved demographic situation and labour capacity in this region

ქართული დიასპორა თურქეთში: გვარ-სახელები იმერხევეში

იმერხევის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, ადგილმონაცვლეობის (მიგრაციის), ზოგადად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული სურათის დასახასიათებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გვარობრივი სტრუქტურის შესწავლას. თითოეული გვარი ერის ისტორიის ერთი პატარა აგური, მათი ერთობლიობა კი ამ ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამ საკითხების რკალში ექცევა ისტორიული საქართველოდან თანამედროვე საქართველოში (და პირიქით) მოსახლეობის „მიმოქცევები“. უმრავლეს შემთხვევაში, გვართა სადაურობის, წარმომავლობის შესახებ შეკრებილი ეთნოგრაფიული მონაცემებით მიგრაციის მოტივაციის შესწავლაცაა შესაძლებელი.

იმერხევი (ისევე, როგორც ზოგადად საქართველო, განსაკუთრებით მისი მთიანეთი) მეტად რთული სტრუქტურისაა დასახლების მორფოლოგიის თვალსაზრისით. მასში აშკარად იკვეთება გვართა ადგილმონაცვლეობანი, შიგასახეობები „მიმოქცევები“, საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონებიდან გადასახლებული ფენები. ცხადია, ადგილი ჰქონდა პირუკუ პროცესებსაც. აქ მკვიდრობდა იმერეთიდან, გურიიდან, აჭარიდან, სამცხე-ჯავახეთიდან სხვადასხვა მიზეზების გამო ჩასახლებული ან ლტოლვილი არაერთი საგვარეულოს წარმომადგენელი. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ჯერ კიდევ ფეოდალური ხანიდან სხვადასხვა მიზეზით ლტოლვილი მოსახლე-

ობა მიუვალ, მთიან ადგილებში აფარებდა თავს. ეთნოგრაფიული მონაცემები, ხალხური გადმოცემები, ისტორიული დოკუმენტები ნათლად ადასტურებენ აჭარაში შავშური (და პირიქით) ელემენტების კვალს, მაგალითად, ხელვაჩაურის რაიონის თხილნარსა და ჭარნალში მაჭახლის ხეობიდან ჩამოსახლებული გაბრუშიძეების წინაპრები შავშეთიდან არიან გადმოსახლებულნი. თხილვანელი (ხულოს რაიონი) ქამაშიძეების საგვარეულო შტოს წარმომადგენლებითაა დასახლებული შავშეთის ერთ-ერთი სოფელი. შავშეთიდან ჩანან მოსულები კვირიკაძეების, მიქელაძეების, დავითაძეების, ლომსაძეების, გამიშიძეების, ბოლქვაძეების და ზოგიერთი სხვა საგვარეულოს ცალკეული წარმომადგენლები. საგულისხმოა, რომ ტაო-კლარჯეთში არსებობს შესაბამისი ტოპონიმები: გამეშეთი, დავლათი, დავითეთი, თურმანიძე, შუახევი, შუბანი და ა.შ. იმერხევის სოფელ ხევწრულში არის ტოპონიმი „მეგრელები“, სადაც ცხოვრობენ მეგრელიშვილები. სვირევანში მცხოვრები „ფუტები“ ფუტკარაძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები უნდა იყონ. ფუტკარაძეები ცხოვრობენ ბორჩხის რაიონის სოფელ ტრაპენსა და მურღულის რაიონის სოფელ ისკებში.

იმერხევის მოსახლეობის გვარობრივი შემადგენლობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XII-XVII საუკუნეების ძეგლს „ტბეთის სულთა მატიანეს“¹ (დოკუმენტი აღმოაჩინა გ. ყაზბეგმა 1874წ. ტბეთის ტაძარში). ეს დოკუმენტი სწორედ შავშეთში, საკუთრივ ტბეთში იწერებოდა. იგი გამოირჩევა ისტორიულ-გენეალოგიური მასალის სიმრავლით. მასში 348 გვარი და 21 ტოპონიმია მოხსენიებული (<http://www.geogen.ge>). ეს სახელები მიეკუთვნება შავშეთს, კლარჯეთსა და ნაწილობრივ აჭარას. გვართა უმეტესობა უკავშირდება პროფესიულ საქმიანობას, ამა თუ იმ ნაკეთობათა წარმოებას, რაც დასახელებულ საგვა-

¹ ტბეთის სულთა მატიანე. გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ენუქიძემ, თბილისი, 1977.

რეულოთა სოციალური მდგომარეობის დახასიათების საშუალებასაც იძლევა. მაგალითად, მჭედელი - მჭედლიძე, მეფუტკრე - მეფუტკრიძე და ა.შ. დაბალი სოციალური ფენების გვარებთან ერთად მოხსენებულნი არიან საეკლესიო ფენების წარმომადგენლებიც (დიაკონი, მღვდელი და ა.შ.).

საგულისხმოა, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას შეუცვალეს ძე და შვილ-სუფიქსიანი გვარები და მათ ნაცვლად გაბატონდა ოლლი დაბოლოება, თუმცა ქართველებმა შეძლეს უფრო ძველი ფორმანტის - „ენთი“ დაბოლოებიანი გვარების შენარჩუნება. ოფიციალურ დოკუმენტებში ისინი თურქული გვარებით არიან რეგისტრირებულნი, არაოფიციალურად კი მრავლადაა ძე, შვილი, ურ, ულ, ში, ია და უფრო ძველი - ენთი-თ დაბოლოებული გვარები: აბასისძე, შატრიკისძე, ახალასძე, ახალაური, სამხარაული, ფოთელაური, ბაზანდრისშვილი, გათენიანთი, ტომარაენთი, ეგნატეთი, ერგელი, სავჩიტა, ტრაპეზისძე, ფობოტიშვილი, ქერტაში, შავჩიტყვი, წანგარი, წანლოა, ხებელი და ა. შ. (<http://www.geogen.ge>). გვარსახელები დაედო საფუძვლად იმერხევში ზოგიერთი სოფლისა და ადგილის სახელწოდებას.

ეთნოგრაფიული და მატრიანისეული მონაცემებით ირკვევა, რომ იმერხევში მოსულეობად ითვლებიან ყასმიენტების, ცვარიენტების, ბოლქვამეების, ფალაზების, ბალამეების, აბდიოღლების, ფუქშების, ბაირახტაროღლების, ასლანიენტების, გორგამეების, სევინჩოღლების, მეგრელიშვილების, ტალახამეების, ქურციკიძეების, ფანჯიკიძეების, გოჩიშვილების, სარაჯიშვილების, თედორამეების, ზაზალაშვილების, მოლაშვილების, დარჩიძეების, ჭივიძეების საგვარეულო შტოს წარმომადგენლები. რესპონდენტთა ინფორმაციით, ზოგი მათგანი მუჰაჯირთა შთამომავალია, ნაწი-

ლი სხვადასხვა მიზეზით ჩამოსახლებულა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კი ადგილობრივი - „იერლია“.¹

შავშეთში საკმაოდაა წარმოდგენილი თურქული ელემენტიც, რაც პოლიტიკური მიზანდასახულობით განპირობებულ მიგრაციულ პროცესებთან არის დაკავშირებული. რესპონდენტები ადასტურებენ, რომ იმერხევში ადრე მრავლად მოდიოდნენ თურქი ეროვნების რელიგიის მსახურნი, პედაგოგები, სხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც შემდეგ აქ მკვიდრდებოდნენ: „თურქი მოვდა ხოჯად, მასწავლებლად და აქ დარჩა, ისტამბულ კაცი მოკლა, გამეიქვა და აქ დარჩან. აღნიშნულმა ფაქტორმა რამდენადმე შეცვალა რეგიონის ეთნიკური სურათი.

გვარსახელების კვლევა დაკავშირებულია სეროიზულ სირთულეებთან. იგი მკვლევარისაგან მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ენათმეცნიერების მიღწევათა გამოყენების აუცილებლობას. ამ სირთულეების გამო აღნიშნულ სფეროში კვლევა-ძიების აშკარა დეფიციტია. არც ჩვენ ვისახავთ მიზნად ამ ხარვეზის შევსებას. ამჯერად ჩვენი ამოცანაა იმერხევის საველე ექსპედიციის დროს შეკრებილი მონაცემების საფუძველზე წარმოვადგინოთ ამ მეტად მრავალმხრივ საინტერესო ხეობის გვარობრივი შემადგენლობა (ცხრილი 1).

ცხრილი 1

იმერხევის გვარობრივი შემადგენლობა

სოფელი	უბნები	ამჟმინდელი გვარი	ძველი ქართული გვარი	საიდან გადმოსახლდნენ
ბაზვირეთი	ქომუზანი	ბეზინგაროლი	ბეზგიენთი	მკვიდრი
		კეფუოლი	კეფომე/	

¹ ფუტკარაძე თ. საველე ექსპედიცია, შავშეთი, 2009.

			კეფონთი	
		თეთრიოლლი	თეთრაძე/ თეთრიენთი	
		ბისონოლლი	ბისონიენთი	
		ჯივანოლლი	ჯივანიენთი	
		ეიჩაროლლი	-	
		ხოჯიოლლი	-	
	ზემუზანი	ყასიმოლლი	ყასმიენთი	მოსულან კარჩხალიდან
		თამთოლლი	ცვარიძე ცვარიენთი, დაბლიენთი	მოსულან ციხისხევიდან
		ალიოლღები/ ერთეჟინ	ზოლქვაძე	მოსულან არტანუჯიდან
	გამეშეთი	სირიანოლლი	გამეშიძე	
		დეღჰასან- ოლლი	-	
		ზოიანჩიოლლი	ზოიანჩი- შვილი	მოსულან შავშეთის სინქოთიდან
	კარჩხალი	ყასიმოლლი	ყასმიენთი	
		მემედოლლი	მეჰმედიენთი	
		დეღიჰასანოლ ლი		
ზოსი	ზემო მაჰალე	მოდლოლლი		
		თურანოლლი	სარვანიძე	ადგილობრივი (იერლი)
		ფალაზოლლი/ ფალაზები		“გურჯისტანი დან მოსულობას იტყვიან“
		ჰიმურბეი		
	ქვემო მაჰალე	ხეირულოლლი	ბალაძე	არდაანიდან მოსულან
აბდიოლლი			მოსულან ფიცხოვიდან	

ხევწრული	მიხელ- ყმაზე	გიუმიმ	ჭენჭაძე	ბათუმიდან მოსულან
		ზაბითოღლი	-	
		ხეირულოღლი	-	
	ფუქშები	გიულ	ფუქშები	მოსულან მაჭახლიდან
		სევენჩოღლი	-	მოსულან მაჭახლიდან
	მეგრელები	აკვან	მეგრელიშვი ლი	მაჭახლიდან
	რეზო- ღლები	აიდინ	რევაზიენ- თები	
			ოდიენტები	
			ფალაზიენტე ბი	
	ჯამი- მეჭეღე	დემირელი	ტალახაძე	მაჭახლიდან
		ახალთუნ	ქურციკიძე	გორიდან დიობანში, დიობანიდან ხევწრულში
		ილმაზ	ფანჯიკიძე	იმერეთიდან
		ოზჯან	დავლაძე	იმერეთიდან
	ჯიმუხებუ	გუნ	ჯიმუხაძე	
		ბილირ	ფუქშები	მაჭახლიდან
გოჩოღ- ღები	გოჩოღლი/ თეჟინ	გოჩიშვილი, სარაჯიშვილი	ბათუმიდან	
ბერკიეთი	ბულბულ	თედორაძე	ერგედან	
	სუნერ	გამრეკლიძე		
	ოსქან	დავლაძე	სამტრედიიდან	
	ილდუხ	ზაზალა- შვილი	ბათუმიდან	
ზაქეთი	უნიაღები/ თურანოღ ღები	უნიაღ	ორდუდან	
	შობერები	ჩითინყაია აიდენ/ ჯიროღლი		
	ჩაქური-	აითექ	ჩაქურიძე	

	ძეები			
	მიქაძეები	იაშარ	მიქაძეები, გოგჩიგნები ჯარაბიძეები	
	ხევი	ილდრინ, ყავეჯოლი		
	ჯამი- მეჰელე	იაზიჯ		
დაბა	დევიეთი	ჭედლოლი ქოროლი თათროლი გოჩოლი		მაჭახლიდან ზაქიეთიდან მიქელეთიდან წყალს- იმერიდან
	ზემო მაჰალე	ტაბიკოლი ტადაშოლი ხიდოლი სანიოლი		ერზრუმიდან ზაქიეთიდან
	ჯამე მაჰალე/ ტბეთი	რეჯებოლი შირინოლი მაზმანოლი მუსოლი ჰაჯიოლი		
სვირევანი (დუთლუ)	ოთხკლდე/ (უდუქენდ)	ბაირახ- ტალოლი უსუფოლი ხუჩუოლი პეტროლოები თანთოლი ყარალოლი იქიენთი სეირეგი კუკუები ასლანიენთი		მაჭახლიდან
		ფუცხები მურუკები სუსანიენთი შარიენთი		იფხრევიდან
	კუთალეთი (ულახლი)	ყავაზები უსუფოლი	დარჩიძე უხვანჯურები	შუახევიდან მაჭახლიდან

		ფუტები ემრეფოლი	მუყალიძე იზინთი ფუტები ზუტიძეები/ ზუტიენტები დღვაბიძეები	ოთხკალიდან იფხრევიდან უბიდან	
	ჯამი- მეჰელე	ზაზალოლი ლაზოლი თანდოლი პეტროლი სუსანოლი	ზაზალაძე ხაჯალიძე შარაძე იქიეთები ასლანიენთი	უბიდან იფხრევიდან	
	დავითეთი (იამურლუ მაჰალესი)	ქოსოლი შარმათოლი			
	ფარნუს/ ბაღბაში მეჰელესი	მელიქოლი	ჭალაძე ჭივაძე კახიძე		
	ჯვარსხევი (სეზხელი მეჰელე)				
	დღვა- ბიზელა		ფუტკარა- ძეები		
	დიდმერე				
	სხალფილა				
უბი	ორთამეჰელე	დუმან	პაჭალიძე (მესამლოა კიკნაძე)		
		ილმაზ	ზობიშვილი	გიუმრიდან	
	იბიზა მაჰელე	გიუმში			
		ალთუნ	მოლაშვილი	შუახევიდან, ახალდაბიდან	
		ილდეზ/ შუბაშოლი			
	გორგიეთი	მეიდან	დავრიშა- შვილი	ბათუმიდან	
		ბილურ	გორგაძე	მაჭახლიდან	
		ჭივიეთი	გიულ (ვარდი)	ჭივიძე	აჭარიდან
	ყაიან	ჭივიძე	აჭარიდან		

	კორტოხაზე ე მეჰელე	დურსუნ	ბოლქვაძე	კორტოხიდან (ხულო)
		თურან	ბოლქვაძე	კორტოხიდან

წარმოდგენილ მონაცემებს არა აქვთ სრულყოფილების პრეტენზია. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა გრძელდება. ჩვენებურთაგან ზოგიერთს ადარ ახსოვს თავისი ნამდვილი გვარი და ჩვენ გვთხოვს დაზუსტებას. ზოგიერთს (მცირე ნაწილს) კი თავის ქართულ წარმომავლობაშიც ეპარება ეჭვი და მიიჩნევს, რომ მისი სამოსახლო ადრე „თურქების“ ან „ერმენების“ სამკვიდრო ყოფილა. შესაბამისად ქართული კულტურის ძეგლებს – ეკლესიებს, თაღიან ხიდებს, ციხეებს არაქართველების შემოქმედებად მიიჩნევს. ცხადია აღნიშნული ტრანსფორმაცია ისტორიული ბედუკულმართობის შედეგია. დასახელებულ კულტურის ძეგლებთან ხდებოდა მათი ეროვნული იდენტიფიცირება, რაც იქ არსებული რეჟიმის პირობებში ერთობ სარისკო იყო. ყოველივე ამან ღრმა კვალი დააჩნია ჩვენებურთა ცნობიერებას. ამიტომაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ისტორიული საქართველოს მოსახლეობის გვარობრივი სტრუქტურის საკითხების შესწავლას. წინამდებარე ნაშრომებიც ამ ამოცანას ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა:

„ტბეთის სულთა მატანეს“. გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ენუქიძემ, თბილისი, 1977.
ფუტკარაძე თ. საველე ექსპედიცია, შავშეთი, 2009.
ქართული გენეალოგია. <http://www.geogen.ge>

Tamaz Putkaradze
Batumi University, Professor

The Georgian Diaspora in Turkey: the Names in Imerkhevi
(Abstract)

In order to characterize national structure of Imerkhevi population, relocation (migration), generally historical-ethnographic picture, particular importance is attached to the study of the names structure.

In terms of the morphology of the settlement, Imerkhevi has very difficult structure. It's clearly indicates alternation of places of the names, from the Georgia's different historical-ethnographic regions exiled groups. Here was dwelling displaced and refugees from Imereti, Guria, Ajara, Samtskhe-Javakheti. This article discusses these issues.

შინაარსი

წინათქმა

1. **ორინა მოლოდიკოვა**
საბჭოთა კავშირის რღვევიდან 25 წელი:
თავისუფალი გადაადგილების ტრანსფორმაცია
2. **ელენა მალინოვსკაია**
მიგრაციული პროცესების თანამედროვე
ტენდენციები უკრაინაში
3. **ევგენი ბურდელნი**
მაღალკვალიფიციური საერთაშორისო მიგრაციის
მართვა: მიგრაციული პრობლემების სელექციური
ანალიზი
4. **ციური ანთაძე, გიორგი ბუნტური**
საერთაშორისო შრომითი მიგრაციის ტენდენციები,
შედეგები და პერსპექტივები საქართველოსთვის
5. **მარიამ ჭუმბურიძე, თამარ ზურაბიშვილი**
იმიგრანტების საქართველოში: ინტეგრაციის
გამოწვევები და პერსპექტივები
6. **მირიან ტუხაშვილი**
საქართველოს მოსახლეობის ტერიტორიული
მობილობის კვლევის სტრატეგიის შესახებ
7. **ციური ანთაძე**
შრომითი მიგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა
საქართველოში
8. **ნათია ჭელიძე**
დაბრუნებულ მიგრანტთა სოციალურ-
ეკონომიკური რეინტეგრაცია საქართველოში
9. **მზია შელია**
შრომითი ემიგრაციის გავლენა საქართველოს
დემოგრაფიულ განვითარებაზე პოსტსაბჭოთა
პერიოდში
10. **მურმან ცარციძე**
შრომის ბაზარი და მიგრაცია საქართველოში

11. **თამაზ ზუბიაშვილი, ნინო ზუბიაშვილი**
მიგრანტთა განათლების დონე საქართველოში
(საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდი)
12. **მანანა ლობჯანიძე, დიმიტრი ლობჯანიძე**
ყარაჩაელთა დეპორტაცია და რაჭველთა და სვანთა
ჩასახლება ჩრდილოეთ კავკასიაში მეორე მსოფლიო
ომის დროს
13. **თამაზ ფუტყარაძე**
ქართული დიასპორა თურქეთში: გვარ-სახელები
იმერხევში

CONTENT

Foreword

1. **Irina Molodikova**
Twenty five Years after the Dissolution of the USSR:
the Transformation of the Free Visa Movement
2. **Olena Malynovska**
Contemporary Tendencies of Migration Processes in
Ukraine
3. **Eugeniu Burdelnii**
Managing International Highly Skilled Migration: a selective
analysis of existing migration challenges
4. **Tsiuri Antadze, Giorgi Bunturi**
International Labour Migration Trends, Outcomes and Per-
spectives for Georgia
5. **Mariam Chumburidze, Tamar Zurabishvili**
Immigrants to Georgia: Integration Challenges and Per-
spectives
6. **Mirian Tukhashvili**
About the Research Strategy of the Georgia's Population
Territorial Mobility
7. **Tsiuri Antadze**
State Policy of Labour Migration in Georgia
8. **Natia Chelidze**
Social-Economic Reintegration of Returnee Migrants in
Georgia
9. **Mzia Shelia**
Impact of Labour Migration on the Demographic
Development of Georgia in the post-Soviet period
10. **Murman Tsartsidze**
Labor Market and migration in Georgia
11. **Tamaz Zubiashvili, Nino Zubiashvili**
Migrants Education Level in Georgia
(in the period before the dissolution of the Soviet Union)
12. **Manana Lobzhanidze, Dimitri Lobzhanidze**
Deportation of Karachay population and settlement of
Rachians and Svans in northern Caucasus during World

War II.

13. Tamaz Putkaradze

The Georgian Diaspora in Turkey: the Names in Imerkhevi

